# 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები

26 ივლისი 2021 წ.

# სარჩევი


შესავალი ................................................................................................................ 5

**2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველი და საქმიანობა** ........................................ 9

1. საგამოძიებო კომისიის შექმნის სამართლებრივი საფუძველი და ამოცანა ........................ 9
2. საგამოძიებო კომისიის მიერ გაწეული სამუშაო ........................................................ 11

**საარჩევნო გარემოს კვლევა და ანალიზი** ........................................................................ 16

1. არჩევნების სამართლებრივი უზრუნველყოფა ........................................................ 16
2. სახელმწიფო ორგანოების ფუნქცია და გავლენა საარჩევნო გარემოზე ............................ 18
3. გასაჩივრების უფლების რეალიზაცია და დავების ანალიზი ........................................ 26
4. საარჩევნო ადმინისტრაციის როლი და ეფექტურობა .................................................. 27

**საარჩევნო უბნების გადათვლა და შედეგების ანალიზი** .................................................... 32

1. გადასათვლელი უბნების და მთვლელების შერჩევის მეთოდოლოგიისა და რაოდენობის განსაზღვრა ........................................................................................................ 32
2. საარჩევნო უბნების გადათვლა ................................................................................ 38
3. შერჩეული მეთოდოლოგიით მიღებული შედეგების ანალიზი ........................................ 40

**საგამოძიებო კომისიის მიერ მოწვეულ პირთა ახსნა-განმარტების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი** ........................................................................................ 45

1. საარჩევნო ადმინისტრაცის წარმომადგენლებისგან მიღებული ახსნა-განმარტების შედეგების ანალიზი ........................................................................................ 46
   - 1.1 №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 02.02.41 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებები ........................................................ 46
   - 1.2 №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 09.12.03 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებები .................................................... 48
   - 1.3 №09 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 07.09.66 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებები .................................................... 49
   - 1.4 №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 13.22.89 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებები .................................................... 50
   - 1.5 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას ახსნა-განმარტება ................................................................................................ 51
2. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან მიღებული ახსნა-განმარტების შედეგების ანალიზი ........................................................................................ 54
   - 2.1 არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ წარმომადგენლის ახსნა-განმარტება ........................................................................................ 54

2.2 არასამთავრობო ორგანიზაციის საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ წარმომადგენლების ახსნა-განმარტებები .......... 56
2.3 არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წარმომადგენლების ახსნა-განმარტებები .......... 57
2.4 არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“ წარმომადგენლის ახსნა-განმარტება .......... 60
3. საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებისგან მიღებული ახსნა-განმარტების შედეგების ანალიზი .......... 61
დასკვნა .......... 64
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი .......... 83
დანართი №1. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმეებზე .......... 86
დანართი №2. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეებზე რეგიონების მიხედვით .......... 87
დანართი №3. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეებზე რეგიონების მიხედვით .......... 92
დანართი №4 .......... 97
დანართი №5. საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლისა და საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემების შემოწმების ინსტრუქცია .......... 98
დანართი № 6. გადათვლის ოქმი .......... 99
დანართი №7 .......... 100
დანართი №8 .......... 102
დანართი №9 .......... 103
დანართი №10 .......... 105

## შესავალი

2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის არჩევნები. ქვეყანაში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების საფუძველზე მიღებული სრულად პროპორციულთან მიახლოებული საარჩევნო სისტემის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებმა ოთხი წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიეს საქართველოს პარლამენტის 150 (ასორმოცდაათი) წევრი, მათ შორის 120 (ასოცი) წევრი – პროპორციული საარჩევნო სისტემით და 30 (ოცდაათი) წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით.

2020 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების I ტურისთვის ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 3 511 338-ს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 992 891-მა ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 56.8 % იყო.

პარლამენტის არჩევნები გაიმართა 3847 საარჩევნო უბანზე, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ - 3795, ხოლო საზღვარგარეთ – 52 საარჩევნო უბანზე. ამასთანავე, საპარლამენტო არჩევნებზე, საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობაში 127 საარჩევნო უბანი შედიოდა სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი პირებისთვის.

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ იქნა 9 (ცხრა) საარჩევნო სუბიექტი, რომლებმაც მოიპოვეს შემდეგი რაოდენობის მანდატები:

- „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 60 (სამოცი) მანდატი
- საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია““ – 36 (ოცდათექვსმეტი) მანდატი
- „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ – 5 (ხუთი) მანდატი
- „ლელო - მამუკა ხაზარაძე“ – 4 (ოთხი) მანდატი
- საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“ – 4 (ოთხი) მანდატი
- „გირჩი“ – 4 (ოთხი) მანდატი
- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - 4 (ოთხი) მანდატი
- „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ – 2 (ორი) მანდატი
- „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ - 1 (ერთი) მანდატი

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად (მაჟორიტარი პარლამენტის წევრთა ასარჩევი II ტურის შედეგების ჩათვლით) 30-ვე სამაჟორიტარო ოლქში გამარჯვება მოიპოვეს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატებმა, რის საფუძველზეც ამ უკანასკნელმა მე-10 მოწვევის პარლამენტში მოიპოვა 90 (ოთხმოცდაათი) მანდატი და ჩამოაყალიბა საპარლამენტო უმრავლესობა.

2020 წლის პირველ ნოემბერს გამოქვეყნდა ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წინასწარი მიგნებები და დასკვნები 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით[1], სადაც მითითებულია, რომ „31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში და ზოგადად ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა“. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ „არჩევნები ჩატარდა

[1] იხ. https://www.osce.org/files/f/documents/a/d/469005.pdf

არსებითად შეცვლილ სამართლებრივ ჩარჩოში, რასაც წინ უძღოდა ფართო საზოგადოებრივი კონსულტაციები, რამაც მოიტანა გაუმჯობესება დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის, თუმცა საჭიროა მეტი ძალისხმევა რათა ხარვეზები აღმოიფხვრას". აქვე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ხარვეზებთან დაკავშირებული საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა მმართველი პარტიისა და ოპოზიციის მიერ ერთობლივად შემუშავებულ კანონპროექტში, რაც საბოლოო ჯამში პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის ივნისის თვეში იქნა მიღებული.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის[2] მიხედვით, საზოგადოებამ პოზიტიურად შეაფასა სიტუაცია საარჩევნო უბნებზე 2020 წლის 31 ოქტომბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების დროს. გამოკითხულთა 92% თვლიდა, რომ კორონავირუსთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები კარგად იყო დაცული; 94% თვლიდა, რომ საარჩევნო უბნები იყო მოწესრიგებული; 89% თვლიდა, რომ არჩევნებზე პასუხისმგებელი პირები კარგად იყვნენ მომზადებული; 89% თვლიდა, რომ საარჩევნო უბანი არ იყო გადატვირთული და 92%-ის აზრით საარჩევნო უბანზე შემავიწროებელი/შემაშინებელი გარემო არ იყო.

2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნები დადებითად შეაფასა საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI). კერძოდ, IRI-ს დასკვნაში ხაზგასმულია, რომ „საარჩევნო რეფორმებმა, რომლებმაც მცირე პარტიებს საშუალება მისცა შესულიყვნენ პარლამენტში და გადაელახათ ბიპოლარული სისტემა, შედეგად გამოიღო გაუმჯობესებული პოლიტიკური და გენდერული წარმომადგენლობა. საარჩევნო მართვის ორგანოებმა უსაფრთხოების ზომები მიიღეს COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით არჩევნებამდე და არჩევნების დღეს. ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომ ტექსტში - „ცესკო"), საარჩევნო სუბიექტები და ამომრჩეველები მზად აღმოჩნდნენ COVID-19-ის გამო შექმნილ გამოწვევებთან რეაგირებისთვის".[3]

IRI-ს შეფასებით 31 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობამ, COVID-19-ით ინფიცირების მაღალი რისკის მიუხედავად, არჩევნებზე წასვლით, დემოკრატიული პროცესის მიმართ საკუთარი ენთუზიაზმი გამოხატა. საარჩევნო სუბიექტების, საინიციატივო ჯგუფების, პარტიული სიების და ინდივიდუალური კანდიდატების ინკლუზიურმა რეგისტრაციამ, აგრეთვე საარჩევნო მოხელეების ტრენინგებმა და სამოქალაქო განათლების ინიციატივამ ცესკოს კომპეტენციის მაღალი ხარისხი აჩვენა. გარდა ამისა, საყურადღებოა ცესკოს მზაობა გლობალური პანდემიის დროს საკარანტინო სივრცეში, თვითიზოლაციაში მყოფი და ინფიცირებული ამომრჩევლების ხმის მიცემის ხელშესაწყობად. არჩევნების ადმინისტრირება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა, რომელსაც ცესკო ხელმძღვანელობდა. COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირების ფარგლებში განხორციელებული ცვლილებების ფონზე საარჩევნო ადმინისტრაცია კანონით დაწესებულ ვადებს იცავდა და არჩევნების ტექნიკურ ასპექტებს ზოგადად ეფექტურად მართავდა. ცესკო რეგულარულად ატარებდა სხდომებს, რომლებიც ღია იყო საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის, დამკვირვებლებისა და მედიისთვის.[4]

---

[2] იხ.ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით, CRRC საქართველოს მიერ 2020 წლის 17-24 დეკემბრის პერიოდში ჩატარდა კვლევა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით, 2 053 დასრულებული ინტერვიუს სახით, ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე. კვლევა წარმომადგენლობითია თბილისის, ურბანული და სოფლის ტიპის დასახლებებისთვის. სატელეფონო გამოკითხვის შედეგები 2021 წლის 25 იანვარს გამოქვეყნდა. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202020%20Poll_GEO_FINAL.pdf

[3] იხ. არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისია: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები (IRI) https://cesko.ge/res/docs/IRIReportGEOMarch2021.pdf

[4] იხ. არჩევნების ტექნიკური შეფასების საერთაშორისო მისია: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები (IRI) https://cesko.ge/res/docs/IRIReportGEOMarch2021.pdf

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური პარტიების მიერ არჩევნების შედეგები არაერთხელ დადგა ეჭვქვეშ, მათ მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რასაც შეეძლო არსებითი ზეგავლენა მოეხდინა არჩევნების საბოლოო შედეგებზე. მეტიც, ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ, რომელთა მიზანსაც ქვეყნის შიგნით სამოქალაქო საზოგადოებისა და ქვეყნის გარეთ საქართველოს პარტნიორების და მოკავშირეების შეცდომაში შეყვანა წარმოადგენდა, ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს პარლამენტს და მათი წარმომადგენლების აბსოლუტურმა უმრავლესობამ პარლამენტს მიმართა განცხადებებით უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. ამასთანავე, რიგმა ბარიერგადალახულმა ოპოზიციურმა პარტიამ სიების ჩახსნის მოთხოვნით მიმართა ცესკოს.

ზემოხსენებულის საპირისპიროდ, საქართველოს საერთაშორისო პარტნიორების მიერ არაერთხელ იქნა განცხადებული, რომ არჩევნების ლეგიტიმურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობდა. მეტიც, ისინი მოუწოდებდნენ ყველა მხარეს სადავო საკითხები გადაეწყვიტათ მოლაპარაკების გზით, ოპოზიციური პარტიები შესულიყვნენ პარლამენტში, ჩაეტარებინათ საპარლამენტო გამოძიება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) და საარჩევნო პროცესში გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით განეხორციელებინათ საკანონმდებლო რეფორმები. აღნიშნულის ერთ-ერთი დამადასტურებელია 2021 წლის 15 იანვარს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წლიური ანგარიში, რომელშიც კომიტეტი წუხილს გამოთქვამს, რომ ოპოზიციამ საქართველოს ახალ პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა; ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამოვლენილი დარღვევები საერთო შედეგზე გავლენას ვერ მოახდენდა; ხაზგასმულია, რომ ამ არჩევნებში ოპოზიციური პარტიების შედეგები მათ ძლიერ პოზიციას მისცემს საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელებაში და სწორედ პარლამენტი არის პოლიტიკისა და დებატების წარმოების ადგილი. ამასთანავე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს მოუწოდა, სრულად და გამჭვირვალედ გამოიძიოს 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისას ყველა საარჩევნო გადაცდომაზე ბრალდებები. მეტიც, ასამბლეამ მოუწოდა ყველა პოლიტიკურ პარტიას, დაეკავებინათ მათ მიერ ახალ პარლამენტში მოპოვებული ადგილები და ძირი არ გამოეთხარათ მისი დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის.[5]

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების მხრიდან, ჯერ კიდევ 2020 წლის დეკემბრის თვეში, მას შემდეგ რაც უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ცნო მე-10 მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილება, გაჟღერდა ინიციატივა, საპარლამენტო ფორმატში შესწავლილი ყოფილიყო არჩევნებზე ყველა შესაძლო დარღვევა და მათი გავლენა საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგებზე. მმართველი პარტიის ლიდერების მხრიდან არაერთხელ განხორციელდა ოპოზიციური პარტიებისთვის შეთავაზება საარჩევნო უბნის შედეგების გადათვლასთან და საარჩევნო უბნებში დამონტაჟებული ვიდეოკამერების ჩანაწერის გაცნობასთან დაკავშირებით, რათა დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ საარჩევნო უბნებზე არავითარი სისტემური ხარვეზი არ ყოფილა.[6] აღნიშნული შეთავაზება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა იმ საარჩევნო სუბიექტებისთვის, რომლებსაც 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე არ ჰყავდათ წარმომადგენლები საარჩევნო კომისიებში. მმართველი პარტიის ლიდერების მხრიდან ასევე არაერთხელ იქნა განცხადებული, რომ თუ ჩატარებული არჩევნების შესწავლისას აღმოჩნდებოდა თუნდაც 1%-იანი ცდომილება მმართველი პარტიის მონაცემებთან დაკავშირებით, ცესკოს მიერ

[5] Progress of the Assembly's monitoring procedure (January-December 2020)
https://pace.coe.int/en/files/28915/html?fbclid=IwAR0OYXJhUZ869Vv6rF5-DYhVOvetaLO_HtHmDepanlbNW3Wi4oZkUmlMQv8

[6] იხ. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" აღმასრულებელი მდივანის, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ირაკლი კობახიძის განცხადება (09.12.2020)
https://gd.ge/news?page=3

დაფიქსირებულ შედეგებსა და ჩატარებული გამოძიების შედეგად მიღებულ შედეგებს შორის, მაშინ მმართველი პარტია იღებდა ვალდებულებას ჩაეტარებინა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები[7].

გარდა ხსენებულისა, ბარიერგადალახულ ოპოზიციურ პარტიებს მათი მიღებული მანდატების რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლებლობა ჰქონდათ საპარლამენტო საქმიანობაში ჩართვის შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის მოქმედი რეგლამენტის 62-ე მუხლის შესაბამისად, დაენიცირებინათ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი (აღნიშნულს სჭირდება 30 (ოცდაათი) პარლამენტის წევრის თანხმობა), რომლის მხარდაჭერისთვის საკმარისი იყო პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედი (50 (ორმოცდაათი) პარლამენტის წევრი). თუმცა, მათ არ გამოუყენებიათ აღნიშნული შესაძლებლობა. საპარლამენტო ოპოზიციის ასეთი ფართო უფლებამოსილება, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველო პარლამენტის მხრიდან ქვეყანაში საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში, განპირობებულია საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტით, რომელიც მე-9 მოწვევის პარლამენტის მიერ იქნა მიღებული 2018 წელს და იმავე წლის 16 დეკემბერს შევიდა ძალაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მანამდე მოქმედი პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა[8].

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ცალსახა იყო 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა, მმართველი პარტიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა ჩათვლილი საქართველოს პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის ფორმატში სიღრმისეულად შესწავლილი ყოფილიყო თითოეული საკითხი ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით და შესაბამისად გაცემულიყო ყველა შესაძლო კითხვაზე პასუხი.

---

[7] იხ. „არჩევნებთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისია შეიქმნება თებერვლის პირველივე კვირაში, მოვიწვევთ ყველა საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას“ - ირაკლი კობახიძე https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-archevnebtan-dakavshirebit-sagamodziebo-komisia-sheiqmneba-tebervlis-pirvelive-kvirashi-mis-mushaobashi-monawileobtvis-moviwvevt-yvela-saertashoriso-da-adgilobriv-sadamkvirveblo-o/

[8] იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 56 (22.06.2012) (ძალადაკარგულია 06.12.2018) https://matsne.gov.ge/document/view/1691403?publication=44

## 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველი და საქმიანობა

### 1. საგამოძიებო კომისიის შექმნის სამართლებრივი საფუძველი და ამოცანა

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 61-ე მუხლისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტების შესაბამისად, 2021 წლის 17 თებერვალს, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების" ინიციატივის (№07-3/24,03.02.2021) საფუძველზე, საქართველოს პარლამენტში შეიქმნა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია[9] (შემდგომ ტექსტში „საგამოძიებო კომისია"). საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 17 თებერვლის 238-IVმს-Xმპ დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის გამოსაკვლევ საკითხთა წრედ განისაზღვრა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებული საარჩევნო დარღვევები და მათი შესაძლო გავლენა არჩევნების საბოლოო შედეგებზე. საგამოძიებო კომისიის საქმიანობის მანდატი შეეხო წინასაარჩევნო პერიოდს, არჩევნების დღესა და არჩევნების შემდგომ პერიოდს. საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადად განისაზღვრა 3 (სამი) თვე.

საგამოძიებო კომისიის საქმიანობაში ჩართვის სურვილი უმრავლესობის გარდა, ოპოზიციურმა პარტიამ, „ევროპელი სოციალისტებმა" გამოთქვა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 62-ე მუხლის თანახმად უმრავლესობის წარმომადგენლობა საგამოძიებო კომისიაში არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა რაოდენობის ნახევარს, საგამოძიებო კომისია დაკომპლექტდა ფრაქცია „ქართული ოცნების" 2 (ორი) და პარტია „ევროპელი სოციალისტების" 2 (ორი) წევრით, ჯამში 4 (ოთხი) წევრით. საგამოძიებო კომისიის წევრებად ფრაქცია „ქართული ოცნების" კუთვნილი კვოტით წარდგენილი იქნა ფრაქციის წევრები გივი მიქანაძე და ალუდა ღუდუშაური, ხოლო ოპოზიციის უფრაქციო წევრებიდან წარმოდგენილი იყვნენ დავით ზილფიმიანი და ფრიდონ ინჯია.

საგამოძიებო კომისიამ გაითვალისწინა რა ევროკავშირისა და აშშ-ს ელჩების მიერ წარმოებული ფასილიტაციისა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ მედიაციის პროცესში ჩართული დასავლელი პარტნიორების რჩევა - საგამოძიებო კომისიას არსებითი საქმიანობა დაეწყო მას შემდეგ, რაც შედგებოდა შეთანხმება მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის, რომელიც ოპოზიციის ფართო სპექტრის მხრიდან ბოიკოტის შეწყვეტასა და აქტიურ საპარლამენტო საქმიანობაში ჩართვის საფუძველი გახდებოდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ საგამოძიებო კომისია მისი შექმნის დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში აქტიურად არ ახორციელდებდა მანდატით მინიჭებულ საქმიანობას.

2021 წლის 19 აპრილს ხელი მოეწერა მმართველს პარტიასა და ოპოზიციური პარტიების დიდ ნაწილს შორის ევროპული საბჭოს პრეზიდენტის - შარლ მიშელის, მიერ შემუშავებულ შეთანხმების დოკუმენტს „სამომავლო გზა საქართველოსთვის", რომლის საფუძველზე ოპოზიური პარტიების დიდი სპექტრი აპრილის ბოლოდან შეუერთდა საპარლამენტო საქმიანობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საგამოძიებო კომისიამ დაიწყო მანდატით მინიჭებული აქტიური საქმიანობა. მმართველი პარტიის მხრიდან გაკეთდა ოპოზიციის მისამართით მოწოდებები, რომ ჩართულიყვნენ საგამოძიებო კომისიის საქმიანობაში და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით საგამოძიებო

[9] იხ. საქართველოს პარლამენტის დადგენილება №238-IVმს-Xმპ (17 თებერვალი 2021 წ.) (მომხრე - 78, წინააღმდეგი - 0) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

კომიისათვის წარმოედგინათ ყველა მტკიცებულება, რასაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

2021 წლის 13 მაისს შედგა საგამოძიებო კომისიის პირველი, საორგანიზაციო შეხვედრა, რომელზეც მხარდაჭერილ იქნა საგამოძიებო კომისიის დებულება და კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გივი მიქანაძე, ხოლო მდივნად - დამოუკიდებელი დეპუტატი „ევროპელი სოციალისტებისგან" - დავით ზილფიმიანი.

საგამოძიებო კომისიის საქმიანობის ეფექტური განხორციელების მიზნით, შეიქმნა საგამოძიებო კომისიის აპარატი (შემდგომ ტექსტში - „აპარატი"), რომელიც დაკომპლექტდა 3 (სამი) თანამშრომლით და რომელიც საგამოძიებო კომისიას მთელი საქმიანობის პერიოდში უზრუნველყოფდა სამართლებრივი და ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარდაჭერით. კერძოდ, გასამართი სხდომების დღის წესრიგის შედგენა და სხდომის ორგანიზება, გამართული სხდომის ოქმების პროექტის შედგენა, სხვადასხვა უწყებებიდან ინფორმაციის გამოსათხოვად წერილის პროექტის მომზადება, მიღებული ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და საგამოძიებო კომისიისთვის წარდგენა, მთვლელებისა და გადასათვლელი საარჩევნო უბნების შერჩევის პროცესის ორგანიზება, გადათვლილი საარჩევნო უბნების შედეგების ანალიზი და საგამოძიებო კომისიისთვის წარდგენა, საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ახსნა-განმარტების მისაღებად მოსაწვევ პირთა დაბარების ორგანიზება, საგამოძიებო კომისიის მანდატით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით სხვადასხვა დოკუმენტაციის პროექტის მომზადება, საგამოძიებო კომისიის დასკვნისა და დადგენილების პროექტის მომზადება და საგამოძიებო კომისიისთვის წარდგენა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საგამოძიებო კომისიის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, საგამოძიებო კომისიის გამოსაკვლევ საკითხთა წრედ განისაზღვრა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებული საარჩევნო დარღვევები, რომელთაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინა არჩევნების საბოლოო შედეგებზე. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში მის სხდომაზე გამოცხადება სავალდებულოა[10], ხოლო გამოუცხადებლობის შემთხვევაში პირს ეკისრება კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.[11] ყველა სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის პირი, იურიდიული და ფიზიკური პირი ვალდებული არიან საგამოძიებო კომისიას მიაწოდონ მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია ან სხვა მასალა (ფორმის მიუხედავად). შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიას შეუძლია მოიწვიოს და წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას ნებისმიერ პირს, გარდა კანონითა და პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, ასევე მიიღოს ახსნა-განმარტება მოწვეული პირისგან საგამოძიებო კომისიის სხდომაზე.[12] საგამოძიებო კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს და მის მიერ განსაზღვრულ ვადაში, დადგენილი წესით მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან, თანამდებობის პირებისგან, იურიდიული და ფიზიკური პირებისგან გამოკვლევისათვის აუცილებელი ინფორმაცია და სხვა საჭირო მასალები.[13]

[10] იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 67, პუნქტი 1 (06.12.2018) https://matsne.gov.ge/document/view/4401423?publication=24
[11] იხ.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 349 (22.07.1999) https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=233
[12] იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 67, პუნქტი 2 (06.12.2018) https://matsne.gov.ge/document/view/4401423?publication=24
[13] იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, მუხლი 67, პუნქტი 4 (06.12.2018) https://matsne.gov.ge/document/view/4401423?publication=24

2021 წლის 18 მაისს გამართულ სხდომაზე, საგამოძიებო კომისიამ დაამტკიცა საქმიანობის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებიდან, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხოვა;
- საინფორმაციო, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე არჩევნებზე მონიტორინგის განმახორციელებელი ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;
- გადასათვლელი უბნების შერჩევის მეთოდოლოგიისა და რაოდენობის განსაზღვრა; საარჩევნო უბნების მიხედვით ბიულეტენების გადათვლა, საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მოსაწვევ პირთა სიის შედგენა და დამტკიცება;
- მოსაწვევ პირებზე ახსნა-განმარტების ჩამორთმევა, დასკვნისა და დადგენილების პროექტის მომზადება, კენჭისყრა და დამტკიცება, პარლამენტის ბიუროსა და პარლამენტისთვის წარდგენა.

## 2. საგამოძიებო კომისიის მიერ გაწეული სამუშაო

საგამოძიებო კომისიამ აქტიური საქმიანობის დაწყებიდან (13.05.2021) ბოლო სამუშაო შეხვედრამდე (26.07.2021), მანდატით მინიჭებული გარემოებების გამოსაკვლევად:

- 2021 წლის 13 მაისიდან 26 ივლისის ჩათვლით განახორციელა: 1 (ერთი) საორგანიზაციო შეხვედრა, 1 (ერთი) გაცნობითი ხასიათის შეხვედრა დიპლომატიურ კორპუსთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და 14 (თოთხმეტი) სამუშაო სხდომა გამართა (სულ 16 სამუშაო შეხვედრა);
- ინფორმაციის გამოთხოვისა და საგამოძიებო კომისიის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით 12 (თორმეტი) წერილით მიმართა ცესკოს, 3 (სამი) წერილით - საქართველოს პროკურატურას, 2 (ორი) წერილით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და 1 (ერთი) წერილით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს (სულ 18 წერილი);
- განსაზღვრა გადასათვლელი საარჩევნო უბნების შერჩევის მეთოდოლოგია და რაოდენობა;
- შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე შეარჩია 20 (ოცი) გადასათვლელი საარჩევნო უბანი და 12 (თორმეტი) ნეიტრალური პროფესიონალი მთვლელი;
- ცესკოდან გამოითხოვა შერჩეული საარჩევნო უბნების საარჩევნო დოკუმენტაცია;
- გადათვალა შერჩეული საარჩევნო უბნების ბიულეტენები;
- საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მოიწვია და ახსნა-განმარტებები მიიღო - 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დასაქმებული 02.02.41 (ვაკე), 07.09.66 (ნაძალადევი), 09.12.03 (გურჯაანი), 13.22.89 (მარნეული) საარჩევნო უბნების კომისიის წევრებისგან, №02 ვაკის, №09 ნაძალადევის, №12 გურჯაანის, №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისგან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების", „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს" და საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველოს" წარმომადგენლებისგან, ცესკოს თავმჯდომარისგან, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებისგან (სულ 38 პირი).
- მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე რეაგირების 2 (ორი) წერილით მიმართა ცესკოს;

- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები და აღნიშნულის თაობაზე წერილობით მიმართა საქართველოს პარლამენტსა და ცესკოს.
- მოამზადა საგამოძიებო კომისიის საბოლოო დასკვნა და პარლამენტის დადგენილების პროექტი.

საგამოძიებო კომისია, განხორციელებული საქმიანობის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ყველა დოკუმენტაციას მყისიერად ანთავსებდა საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.parliament.ge), საგამოძიებო კომისიისათვის სპეციალურად შექმნილ განყოფილებაში[14]. ვებ-გვერდი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის; ასევე, საგამოძიებო კომისიის ყველა სხდომა უწყვეტ რეჟიმში, პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ე.წ. „ლაივსტრიმით“. საგამოძიებო კომისიის სხდომებზე გადასათვლელი საარჩევნო უბნების ბიულეტენების და მთვლელების შერჩევის, ბიულეტენების გადათვლის, მოწვეულ პირთაგან ახსნა-განმარტების მიღების და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის პროცესი, აგრეთვე საბოლოო დასკვნისა და დადგენილების პროექტის განხილვა და კენჭისყრა უწყვეტად და მუდმივი დაფარვით შუქდებოდა სხვადასხვა მედიასაშუალებების წარმომადგენლების თავისუფალი დასწრებით. თითოეული სხდომის დასრულების შემდეგ საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე და წევრები ატარებდნენ მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან ბრიფინგს მიღებული გადაწყვეტილებებისა და დაგეგმილი ღონისძიებების საზოგადოების ინფორმირების მიზნით. დამატებით, საზოგადოების დეტალურად ინფორმირების მიზნით, 2021 წლის 13 მაისიდან 26 ივლისის ჩათვლით, საგამოძიებო კომისიის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტელეკომპანიისა და რადიომაუწყებლობის მიერ საგამოძიებო კომისიის საქმიანობის გაშუქების მიზნით ორგანიზებულ 30-ზე (ოცდაათი) მეტ ტელე და რადიოგადაცემაში, აგრეთვე სხვადასხვა ტელეკომპანიების მიერ მიძღვნილ არაერთ სიუჟეტში. საგამოძიებო კომისიის საქმიანობის საანგარიშო პერიოდში, პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსდა საგამოძიებო კომისიის საქმიანობის ამსახველი 30-მდე (ოცდაათი) ახალი ამბავი.

საგამოძიებო კომისიამ გამართა 16 (თექვსმეტი) სამუშაო სხდომა. კერძოდ:

- სხდომა №1[15] (13.05.2021) - საორგანიზაციო სხდომაზე შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა საგამოძიებო კომისიის დებულება; საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გივი მიქანაძე; საგამოძიებო კომისიის მდივნად არჩეულ იქნა დავით ზილფიმიანი; მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საგამოძიებო კომისიის მანდატის, პარლამენტის რეგლამენტის 66-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, 1 (ერთი) თვის ვადით გაგრძელების თაობაზე პარლამენტის წინაშე შუამდგომლობის დაყენებასთან დაკავშირებით; შემუშავებულ იქნა საგამოძიებო კომისიის მანდატის გასაგრძელებლად 2021 წლის 17 თებერვლიდან 13 მაისამდე საგამოძიებო კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

- სხდომა №2[16] (18.05.2021) - შემუშავებულ იქნა და დამტკიცდა საგამოძიებო კომისიის საქმიანობის სამოქმედო გეგმა; მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ცესკოდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და საქართველოს პროკურატურიდან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ; შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა გამოსათხოვი ინფორმაციის თაობაზე წერილების შინაარსი.

[14] https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies
[15] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №1 (13.05.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies
[16] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №2 (18.05.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

- სხდომა №3[17] (20.05.2021) - შედგა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა დიპლომატიურ კორპუსთან, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სადაც საგამოძიებო კომისიის წევრებმა მოწვეულ სტუმრებს გააცნეს საქმიანობის სამოქმედო გეგმა და შერჩეული მეთოდოლოგია.

- სხდომა №4[18] (24.05.2021) - დამტკიცდა საგამოძიებო კომისიის საქმიანობის მეთოდოლოგია, კერძოდ განისაზღვრა როგორც გადასათვლელი უბნების, ასევე მთვლელების შერჩევის მეთოდი და რაოდენობა; შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა ცესკოდან დამატებით გამოსათხოვი ინფორმაციის შესახებ წერილის შინაარსი.

- სხდომა №5[19] (31.05.2021) - შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე, დოლურას მეშვეობით შერჩეულ და გამოვლენილ იქნა გადასათვლელი 20 (ოცი) საარჩევნო უბანი; შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე, დოლურას მეშვეობით შერჩეულ და გამოვლენილ იქნა 12 (თორმეტი) ძირითადი და 12 (თორმეტი) სათადარიგო მთვლელი.

- სხდომა №6[20] (02.06.2021) - განხილულ იქნა და დამტკიცდა საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლისა და საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემების შემოწმების ინსტრუქცია.

- სხდომა №7[21] (03.06.2021) - საგამოძიებო კომისიის მიერ გადათვლილ იქნა შემდეგი საარჩევნო უბნები: 01.01.12 (მთაწმინდა), 01.04.17 (კრწანისი), 02.02.41 (ვაკე), 03.03.41 (საბურთალო), 03.03.77 (საბურთალო), 03.03.81 (საბურთალო), 05.06.92 (სამგორი), 06.07.13 (ჩუღურეთი), 07.09.66 (ნაძალადევი), 07.09.98 (ნაძალადევი).

- სხდომა №8[22] (04.06.2021) - საგამოძიებო კომისიის მიერ გადათვლილ იქნა შემდეგი საარჩევნო უბნები: 09.12.02 (გურჯაანი), 09.12.03 (გურჯაანი), 13.22.69 (მარნეული), 13.22.89 (მარნეული), 23.59.85 (ქუთაისი), 23.59.98 (ქუთაისი), 23.59.118 (ქუთაისი), 28.79.12 (ბათუმი), 28.79.33 (ბათუმი), 28.79.63 (ბათუმი).

- სხდომა №9[23] (07.06.2021) - გადათვლილი უბნების ანალიზის საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მოსაწვევ პირთა შესახებ. შერჩეულ იქნა 4 (ოთხი) საარჩევნო უბანი - 02.02.41 (ვაკე), 09.12.03 (გურჯაანი), 07.09.66 (ნაძალადევი), 13.22.89 (მარნეული). სხდომაზე საგამოძიებო კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ დასახელებული უბნებიდან ახსნა-განმარტების მისაღებად მოეწვიათ რეგისტრატორი კომისიის წევრები, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნები, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები და შერჩეული საარჩევნო უბნების შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“ და საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ წარმომადგენლები, ცესკოს თავმჯდომარე, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საგამოძიებო კომისიის მანდატის,

---

[17]იხ. https://parliament.ge/media/news/2020-tslis-31-oktombris-saparlamento-archevnebis-shemstsavlelma-sakartvelos-parlamentis-droebitma-sagamodziebo-komisiam-diplomatiur-korpustan-da-saertashoriso-organizatsiebis

[18] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №3 (24.05.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

[19] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №4 (31.05.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

[20] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №5 (02.06.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

[21] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №6 (03.06.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

[22] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №7 (04.06.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

[23] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №8 (07.06.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

პარლამენტის რეგლამენტის 66-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, 1 (ერთი) თვის ვადით გაგრძელების თაობაზე პარლამენტის წინაშე შუამდგომლობის დაყენებასთან დაკავშირებით. შემუშავებულ იქნა საგამოძიებო კომისიის მანდატის გასაგრძელებლად გასული თვის გაწეული საქმიანობის ანგარიში.

- სხდომა №10[24] (14.06.2021) - საგამოძიებო კომისიამ №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან და 02.02.41 (ვაკე) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისგან მიიღო ახსნა-განმარტებები; განისაზღვრა საგამოძიებო კომისიის შემდგომი სხდომების გრაფიკი; საგამოძიებო კომისიამ გაანალიზა პროკურატურის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია.

- სხდომა №11[25] (17.06.2021) - საგამოძიებო კომისიამ №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან, 09.12.03 (გურჯაანი) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისგან, №09 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან, 07.09.66 (ნაძალადევი) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისგან მიიღო ახსნა-განმარტებები; შემუშავდა და დამტკიცდა საგამოძიებო კომისიის ახალი მეთოდოლოგია, შემოთავაზებული საგამოძიებო კომისიის მდივნის დავით ზილფიმიანის მიერ.

- სხდომა №12[26] (18.06.2021) – საგამოძიებო კომისიამ №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან, 13.22.89 (მარნეული) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციების - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ წარმომადგენლებისგან მიიღო ახსნა-განმარტებები.

- სხდომა №13[27] (21.06.2021) - საგამოძიებო კომისიამ ცესკოს თავმჯდომარისგან, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებისგან მიიღო ახსნა-განმარტებები; განხილული იქნა საგამოძიებო კომისიის მდივნის დავით ზილფიმიანის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიის გამოყენებით მიღებული შედეგები და ცნობად მიიღო მეთოდოლოგიიდან გამომდინარე დაფიქსირებული მონაცემები.

- სხდომა №14[28] (30.06.2021) - საგამოძიებო კომისიამ გაანალიზა სხდომებზე დაბარებული პირების ახსნა-განმარტებების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია და შეთანხმდა 02.02.41 (ვაკე), 09.12.03 (გურჯაანი) და 13.22.89 (მარნეული) საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრების საარჩევნო ადმინისტრაციაში სამომავლოდ დასაქმების მიზანშეუწონლობის თაობაზე ცესკოსთვის რეაგირების წერილით მიმართვის შესახებ.

- სხდომა №15[29] (12.07.2021) - მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საგამოძიებო კომისიის მანდატის, პარლამენტის რეგლამენტის 66-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, 1 (ერთი) თვის ვადით გაგრძელების თაობაზე პარლამენტის წინაშე შუამდგომლობის დაყენებასთან დაკავშირებით. შემუშავებულ იქნა საგამოძიებო კომისიის მანდატის გასაგრძელებლად გასული თვის გაწეული საქმიანობის ანგარიში.

[24] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №9 (14.06.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies
[25] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №10 (17.06.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies
[26] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №11 (18.06.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies
[27] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №12 (21.06.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies
[28] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №13 (30.06.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies
[29] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №14 (12.07.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

- სხდომა №16[30] (26.07.2021) - საგამოძიებო კომისიამ შეაჯამა გაწეული სამუშაო, დაამტკიცა საგამოძიებო კომისიის დასკვნა თანდართული რეკომენდაციებით და საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი, რაც წარედგინა საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

[30] იხ. დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №15 (26.07.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

## საარჩევნო გარემოს კვლევა და ანალიზი

### 1. არჩევნების სამართლებრივი უზრუნველყოფა

საგამოძიებო კომისიამ თავისი საქმიანობის ფარგლებში შეისწავლა 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის არსებული სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხები და დაადგინა, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, რომლითაც არსებითად შეიცვალა საარჩევნო სისტემა, დაიხვეწა ზოგიერთი ნორმა, აღმოიფხვრა შეუსაბამობები, ხარვეზები და გამარტივდა ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა, კერძოდ:

• შეიცვალა საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა, პარლამენტის არჩევნების შედეგად არჩეული იქნა პროპორციული სისტემით 120 (ასოცი), ხოლო მაჟორიტარული სისტემით - 30 (ოცდაათი) პარლამენტის წევრი[31];

• შეიცვალა პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი და ის განაწილდა იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების ერთი პროცენტი მაინც მიიღეს, ასევე იმ საარჩევნო ბლოკებზე, რომელთა მიერ მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული მაჩვენებელი ერთი პროცენტისა და საარჩევნო ბლოკში შემავალი პოლიტიკური პარტიების რაოდენობის ნამრავლს შეადგენდა[32];

• შემცირდა პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერების მინიმალური რაოდენობა კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული პარტიებისთვის, რომლებსაც ამგვარი ხელმოწერების წარმოდგენის ვალდებულება გააჩნდათ [33];

• განისაზღვრა საარჩევნო სუბიექტების კატეგორია, რომლებიც გათავისუფლდნენ მხარდამჭერების სიის წარდგენის ვალდებულებისგან[34];

• შეიცვალა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის წესი, კერძოდ ექვს წევრს ირჩევდა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერდა, მათ შორის, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ ხუთი წლის ვადით არჩეული სამი წევრი მაინც. არჩევის პროცედურაში არ მონაწილეობდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი, თუ ის იყო შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ოჯახის წევრი. დაუშვებელად იქნა მიჩნეული საუბნო საარჩევნო

---

[31] იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხლი $2^1$-ის 1-ლი ნაწილი (29.06.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4904761?publication=0

[32] იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხლი $2^1$-ის მე-2 ნაწილი (29.06.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4904761?publication=0

[33] იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხლი $2^1$-ის მე-5 ნაწილი (29.06.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4904761?publication=0

[34] იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მუხლი $2^1$-ის მე-5 ნაწილი (29.06.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4904761?publication=0

კომისიის წევრად იმ პირის არჩევა, რომელიც ბოლო საერთო არჩევნებში რომელიმე დონის საარჩევნო კომისიის წევრად პოლიტიკური პარტიის მიერ იყო დანიშნული[35];

• აიკრძალა კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება. ასევე, კენჭისყრის შენობაში ან ამ შენობიდან 25 მეტრის მანძილზე პირის მიერ არჩევნებზე გამოცხადებული ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება (გარდა ეგზიტპოლის მიზნით განხორციელებული საქმიანობისა)[36];

• დაზუსტდა იმ საჯარო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელთა თანამშრომლებს აეკრძალათ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა და აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან უშუალოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას[37];

• ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით განისაზღვრა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიება და ვადა[38];

• განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მონაწილეობის დროებითი წესი[39];

• საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში საარჩევნო სიებთან დაკავშირებით დაწესდა სავალდებულო გენდერული კვოტირების პრინციპი, კერძოდ განისაზღვრა პარტიულ სიაში სქესთა ბალანსთან დაკავშირებული სავალდებულო კვოტა პარტიის საარჩევნო რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისთვის[40];

• განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის პარლამენტის წევრობის კანდიდატების მიერ საარჩევნო რეგისტრაციის პროცესში ნარკოლოგიური შემოწმებისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენის საკითხები და შესაბამისი რეგისტრაციის წესი[41];

• შემცირდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენისა და საქმის განხილვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადები[42].

მნიშვნელოვანი იყო ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა და საჯაროობა, ხოლო ამ მიზნით ცესკო რეგულარულად და დროულად აქვეყნებდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებულ განკარგულებებსა და სხდომების ოქმებს ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

---

[35] იხ. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, მე-13 პუნქტი (02.07.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=1#DOCUMENT:1;

[36] იხ. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 24-ე პუნქტი (02.07.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=1#DOCUMENT:1;

[37] იხ. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, მე-10 პუნქტი (15.07.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4919677?publication=0

[38] იხ. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 53-ე პუნქტი (02.07.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=1#DOCUMENT:1;

[39] იხ. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 53-ე პუნქტი (02.07.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=1#DOCUMENT:1;

[40] იხ. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მე-15 პუნქტი (02.07.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4914411?publication=0#DOCUMENT:1;

[41] იხ. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 47-ე პუნქტი (02.07.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=1#DOCUMENT:1;

[42] იხ. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 41-ე პუნქტი (02.07.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=1#DOCUMENT:1;

## 2. სახელმწიფო ორგანოების ფუნქცია და გავლენა საარჩევნო გარემოზე

საგამოძიებო კომისიამ, მანდატით მინიჭებული საქმიანობის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან (შემდგომ ტექსტში - შსს) გამოითხოვა ინფორმაცია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდსა და კენჭისყრის დღეს ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულებების შესახებ. საგამოძიებო კომისიამ შსს-დან მიღებული ინფორმაციის (იხ. ცხრილი №1) ანალიზის შედეგად დაადგინა:

- შსს-მ წინასაარჩევნო პერიოდსა და კენჭისყრის დღეს გამოძიება დაიწყო 61 (სამოცდაერთი) სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის, სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) - 25 (ოცდახუთი) საქმეზე; სსკ-ის 164-ე მუხლით (ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება) – 14 (თოთხმეტი) საქმეზე; სსკ-ის 126-ე (ძალადობა), 154-ე (ჟურნალისტისათვის პროფესიონალურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) და 187-ე მუხლებით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის 115-ე (თვითმკვლელობამდე მიყვანა), 339-ე (ქრთამის მიცემა), 150-ე (იძულება) და 151-ე მუხლებით (მუქარა) - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის 126-ე (ძალადობა) და 187-ე მუხლებით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის $162^1$ მუხლით (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა ) - 9 (ცხრა) საქმეზე; სსკ-ის 154-ე მუხლით (ჟურნალისტისათვის პროფესიონალურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის 187-ე (ნივთის დაზიანება ან განადგურება) და 124-ე მუხლებით (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით) - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და 236-ე მუხლებით (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) - 2 (ორი) საქმეზე; სსკ-ის 126-ე (ძალადობა) და $126^1$ მუხლებით (ოჯახში ძალადობა) - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის $164^1$-ე მუხლით (ამომრჩევლის მოსყიდვა) - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის $162^1$ (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა) და 187-ე (ნივთის დაზიანება ან განადგურება) მუხლებით - 2 (ორი) საქმეზე; სსკ-ის 181-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე.

- შსს-ს მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმეებიდან გამოძიება მიმდინარეობს 45 (ორმოცდახუთი) სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის, სსკ-ის 164-ე მუხლით - 14 (თოთხმეტი), სსკ-ის 126-ე მუხლით - 15 (თხუთმეტი) საქმეზე; სსკ-ის 115-ე მუხლით - 1 საქმეზე; სსკ-ის 126-ე და 187-ე მუხლებით - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის $162^1$ მუხლით - 7 (შვიდი) საქმეზე; სსკ-ის 154-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის 120-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის 117-ე და 236-ე მუხლებით - 2 (ორი) საქმეზე; სსკ-ის $164^1$-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის $162^1$ და 187-ე მუხლებით - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის 181-ე მუხლით (გამოძალვა) - 1 (ერთი) საქმეზე.

- გამოძიება შეწყდა 5 (ხუთი) სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის, სსკ-ის 126-ე მუხლით - 4 (ოთხი); სსკ-ის 187-ე და 124-ე მუხლებით - 1 (ერთი) საქმეზე;

- სასამართლოში წარიმართა 12 (თორმეტი) საქმე. მათ შორის, სსკ-ის 126-ე მუხლით - 6 (ექვსი) საქმე; სსკ-ის 126-ე, სსკ-ის 154-ე და სსკ-ის 187-ე მუხლებით - 1 (ერთი) საქმე; სსკ-ის 115-ე, 339-ე, სსკ-ის 150-ე და სსკ-ის 151-ე მუხლებით - 1 (ერთი) საქმე; სსკ-ის $162^{1}$ მუხლით - 2 (ორი) საქმე; სსკ-ის 126-ე და სსკ-ის $126^{1}$ მუხლებით - 1 (ერთი) საქმე; სსკ-ის $162^{1}$ და სსკ-ის 187-ე მუხლებით - 1 (ერთი) საქმე.

**ცხრილი №1. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით**

| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება შეწყდა (საქმე) | სასამართლოში წარიმართა |
|---|---|---|---|---|---|
| სსკ-ის 126-ე მუხლი | ძალადობა | 25 | 15 | 4 | 6 |
| სსკ-ის 126-ე, 154-ე და 187-ემუხლი | 1.ძალადობა 2.ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა 3.ნივთის დაზიანება ან განადგურება | 1 | | | 1 |
| სსკ-ის 115-ე, 339-ე, 150-ე და 151-ე მუხლით | 1..ქრთამის მიცემა 2.იძულება 3.მუქარა | 1 | | | 1 |
| სსკ-ის 115-ე მუხლი | თვითმკვლელობამდე მიყვანა | | 1 | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლი და 187-ე მუხლი | 1.ძალადობა 2. ნივთის დაზიანება განადგურებით | 1 | 1 | | |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლი | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | 9 | 7 | | 2 |
| სსკ-ის 154-ე მუხლი | ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა | 1 | 1 | | |
| სსკ-ის 120-ე მუხლით | ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება | 1 | 1 | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლი და 124-ე მუხლი | 1.ნივთის დაზიანება ან განადგურება 2.ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით | 1 | | 1 | |
| სსკ-ის 117-ე მუხლი და 236-ე მუხლი | 1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება 2.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | 2 | 2 | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლი და 126-ე პრიმა მუხლი | 1.ძალადობა 2.ოჯახში ძალადობა | 1 | | | 1 |
| სსკ-ის 164-ე მუხლი | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 14 | 14 | | |
| სსკ-ის 164-ე პრიმა მუხლი | ამომრჩევლის მოსყიდვა | 1 | 1 | | |
| სსკ-ის 162 პრიმა და 187-ე მუხლები | 1.კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა. 2.ნივთის დაზიანება ან განადგურება | 2 | 1 | | 1 |
| სსკ-ის 181-ე მუხლები | გამოძალვა | 1 | 1 | | |
| | | 61 | 45 | 5 | 12 |

№1 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების განაწილება რეგიონების მიხედვით იხ. დანართი №2.

ცხრილი №2. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით რეგიონების მიხედვით

| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო (საქმეების სართო რაოდენობა) | შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი | ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტი | იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი | სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტი | ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტი | გურიის პოლიციის დეპარტამენტი | შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტი | სამცხე- ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტი | კახეთის პოლიციის დეპარტამენტი | მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სსკ-ის 126-ე მუხლი | ძალადობა | 25 | 2 | 10 | 4 | 1 | 2 | 3 | 1 | 1 | | 1 | |
| სსკ-ის 126-ე, 154-ე და 187-ემუხლი | 1.ძალადობა 2.ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა 3.ნივთის დაზიანება ან განადგურება | 1 | | 1 | | | | | | | | | |
| სსკ-ის 115-ე, 339-ე, 150-ე და 151-ე მუხლით | 1..ქრთამის მიცემა 2.იძულება 3.მუქარა | 1 | | 1 | | | | | | | | | |
| სსკ-ის 115-ე მუხლი | თვითმკვლელობამდე მიყვანა | | | | | | | | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლი და 187-ე მუხლი | 1.ძალადობა 2. ნივთის დაზიანება განადგურებით | 1 | | | | | | 1 | | | | | |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლი | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | 9 | 1 | | 2 | 2 | | 4 | | | | | |
| სსკ-ის 154-ე მუხლი | ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა | 1 | | | | | | 1 | | | | | |
| სსკ-ის 120-ე მუხლით | ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება | 1 | | | | | | 1 | | | | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლი და 124-ე მუხლი | 1.ნივთის დაზიანება ან განადგურება 2.ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით | 1 | | | | | | 1 | | | | | |
| სსკ-ის 117-ე მუხლი და 236-ე მუხლი | 1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება 2.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | 2 | | | | | | 2 | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლი და 126-ე პრიმა მუხლი | 1.ძალადობა 2.ოჯახში ძალადობა | 1 | | | | | | 1 | | | | | |
| სსკ-ის 164-ე მუხლი | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 14 | | 4 | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 |
| სსკ-ის 164-ე პრიმა მუხლი | ამომრჩევლის მოსყიდვა | 1 | | | | | | | | 1 | | | |
| სსკ-ის 162 პრიმა და 187-ე მუხლები | 1.კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა. 2.ნივთის დაზიანება ან განადგურება | 2 | 1 | | | | | | | | 1 | | |
| სსკ-ის 181-ე მუხლები | გამოძალვა | 1 | | | | | | | | | 1 | | |
| | | 61 | 4 | 16 | 6 | 4 | 3 | 15 | 2 | 3 | 3 | 3 | 2 |

საგამოძიებო კომისიამ, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულებების შესწავლის მიზნით ინფორმაცია გამოითხოვა ასევე საქართველოს პროკურატურიდან (იხ. ცხრილი №3). მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დაადგინა:

- საქართველოს პროკურატურამ წინასაარჩევნო კამპანიისა პერიოდსა და კენჭისყრის დღეს გამოძიება დაიწყო 119 (ასცხრამეტი) სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის, სსკ-ის 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) - 34 (ოცდათოთხმეტი) საქმეზე, სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილითა (ნივთის დაზიანება ან განადგურება) და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება,

გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილითა (ნივთის დაზიანება ან განადგურება) და სსკ-ის 124-ე მუხლით (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით) -1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) - 31 (ოცდათერთმეტი) საქმეზე, სსკ-ის 126-ე მუხლის 1[1] -ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტითა და სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 154-ე მუხლით (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) - 3 (სამი) საქმეზე, სსკ-ის 164-ე მუხლით (ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება) - 11 (თერთმეტი) საქმეზე, სსკ-ის 151-ე მუხლით (მუქარა) -7 (შვიდი) საქმეზე, სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილითა (ძალადობა) და სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) - 5 (ხუთი) საქმეზე, სსკ-ის 162-ე მუხლით (არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა) - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 162[1] მუხლით (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა) - 6 (ექვსი) საქმეზე, 164[1] მუხლით (ამომრჩევლის მოსყიდვა) - 6 (ექვსი) საქმეზე, სსკ-ის 120-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) - 2 (ორი) საქმეზე, სსკ-ის 188-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით) - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის მე-19 (დანაშაულიც მცდელობა), 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (ქურდობა) - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 339-ე მუხლით (ქრთამის მიცემა) - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 150-ე მუხლით (იძულება) - 2 (ორი) საქმეზე, სსკ-ის 181-ე მუხლით (გამოძალვა) - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 229-ე მუხლით (აფეთქება) - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებითა (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) და 239-ე მუხლის პირველი ნაწილით (ხულიგნობა) - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 236-ე მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) - 1 (ერთი) საქმეზე.

- გამოძიება მიმდინარეობს 80 (ოთხმოცი) სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის, სსკ-ის 187-ე მუხლით - 20 (ოცი) საქმეზე, სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 236-ე მუხლების მე-3 და მე-4 ნაწილებით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 126-ე მუხლით - 16 (თექვსმეტი) საქმეზე, სსკ-ის 126-ე მუხლის 1[1]-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტითა და სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 (ერთი) საქმეზე; სსკ-ის 154-ე მუხლით - 2 (ორი) საქმეზე, სსკ-ის 164-ე მუხლით - 11 (თერთმეტი) საქმეზე, სსკ-ის 151-ე მუხლით - 5 (ხუთი) საქმეზე; სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 (ორი) საქმეზე, სსკ-ის 162-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 162[1] მუხლით - 5 (ხუთი) საქმეზე, 164[1] მუხლით - 5 (ხუთი) საქმეზე, სსკ-ის 120-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე,

სსკ-ის 188-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 339-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 150-ე მუხლით - 2 (ორი) საქმეზე, სსკ-ის 181-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 229-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებითა და 239-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით - 1 (ერთი) საქმეზე.

- გამოძიება შეწყდა 20 (ოცი) სისხლის სამართლის საქმეზე. მათ შორის, სსკ-ის 187-ე მუხლით - 11 (თერთმეტი) საქმეზე, სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 124-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 126-ე მუხლით - 2 (ორი) საქმეზე, სსკ-ის 151-ე მუხლით - 2 (ორი) საქმეზე, სსკ-ის $164^1$ მუხლით -1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 236-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე - დანაშაულის ნიშნების არასებობის გამო, ხოლო 126-ე მუხლით - 2 (ორი) საქმეზე - 2021 წლის 11 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

- სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 17 (ჩვიდმეტი) პირის მიმართ. მათ შორის, სსკ-ის 187-ე მუხლით - 2 (ორი) პირის მიმართ, სსკ-ის 126-ე მუხლით - 8 (რვა) პირის მიმართ, სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 120-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 (ერთი) პირის მიმართ, სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 (ერთი) პირის მიმართ, სსკ-ის $162^1$ მუხლით - 3 (სამი) პირის მიმართ, სსკ-ის 120-ე მუხლით - 1 (ერთი) პირის მიმართ, სსკ-ის 118-ე მუხლით - 1 (ერთი) პირის მიმართ.

- სისხლის სამართლებრივი დევნა, 2021 წლის 11 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეწყდა 4 (ოთხი) პირის მიმართ. მათ შორის, სსკ-ის 126-ე მუხლით - 3 (სამი) პირის მიმართ, სსკ-ის 154-ე მუხლით - 1 (ერთი) პირის მიმართ.

- სასამართლოს განსახილველად გადაეცა 14 (თოთხმეტი) სისხლის სამართლის საქმე. მათ შორის, სსკ-ის 187-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 126-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 (ერთი) საქმეზე - სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი; სსკ-ის 187-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე, სსკ-ის 126-ე მუხლით - 2 (ორი) საქმეზე, სსკ-ის $162^1$ მუხლით - 3 (სამი) საქმეზე და სსკ-ის 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით - 1 (ერთი) საქმეზე - სასამართლოში მიმდინარეობს საქმეების არსებითი განხილვა; სსკ-ის 126-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი გასაჩივრებულია პროკურატურის მიერ ზემდგომ ინსტანციაში; სსკ-ის 126-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე და სსკ-ის 120-ე მუხლით - 1 (ერთი) საქმეზე სასამართლომ შეწყვიტა წარმოება 2021 წლის 11 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ კანონის საფუძველზე.

## ცხრილი №3. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით

| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება შეწყდა (საქმე) | | დევნა დაიწყო (პირები) | დევნა შეწყდა (2021 წლის 11 იანვრის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე) (პირები) | სასამართლოში განხილვა (საქმე) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო | 2021 წლის 11 იანვრის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე | | | მიმდინარეობს არსებითი განხილვა | გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი | გასაჩივრებულია პროკურატურის მიერ | საქმე შეწყდა 2021 წლის 11 იანვრის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე |
| სსკ-ის 187-ე მუხლი | ნივთის დაზიანება ან განადგურება | 34 | 20 | 11 | | 2 | | 1 | 1 | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლი | ძალადობა | 31 | 16 | 2 | 2 | 8 | 3 | 2 | 1 | 1 | 1 |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და და 120-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ძალადობა 2.ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება | | | | | 1 | | | 1 | | |
| სსკ-ის 164-ე მუხლით | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 11 | 11 | | | | | | | | |
| სსკ-ის 151-ე მუხლი | მუქარა | 7 | 5 | 2 | | | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ძალადობა 2. ნივთის დაზიანება განადგურებით | 5 | 2 | | | | | | | | |
| სსკ-ის 162 მუხლის | არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლი | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | 6 | 5 | | | 3 | | 3 | | | |
| სსკ-ის 164$^{1}$ მუხლის | ამომრჩევლის მოსყიდვა | 6 | 5 | 1 | | | | | | | |
| სსკ-ის 154-ე მუხლის | ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა | 3 | 2 | | | | 1 | | | | |
| სსკ-ის 120-ე მუხლი | ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება | 2 | 1 | | | 1 | | | | | 1 |
| სსკ-ის 188-ე მუხლის | ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 19,177 მუხლის მეორე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით | დანაშაულის მცდელობა, ქურდობა | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 339-ე მუხლი | ქრთამის მიცემა | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 150-ე მუხლი | იძულება | 2 | 2 | | | | | | | | |
| სსკ-ის 181-ე მუხლი | გამოძალვა | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 229-ე მუხლი | აფეთქება | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და 124-ე მუხლით | 1.ნივთის დაზიანება ან განადგურება 2.ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით | 1 | | 1 | | | | | | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით | 1.ნივთის დაზიანება ან განადგურება 2.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის 1$^{1}$ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და187-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ძალადობა 2.ნივთის დაზიანება ან განადგურება | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 236-ე მუხლი | ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | 1 | | 1 | | | | | | | |
| სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით | 1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება 2.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 239-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება 2.ხულიგნობა | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი და 162-ე მუხლის პირველი ნაწილებით | 1.ნივთის დაზიანება ან განადგურება 2. არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა | | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა 2. ძალადობა | | | | | 1 | | | 1 | | |
| სსკ-ის 118-ე მუხლი | ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება | | | | | 1 | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის 1 პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით | 1. ძალადობა 2. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება | | | | | | | 1 | | | |
| | | 119 | 80 | 18 | 2 | | | 7 | 4 | 1 | 2 |
| | | | | 20 | | 17 | 4 | 14 | | | |

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები რეგიონების მიხედვით იხილეთ დანართი №3-ში.

**ცხრილი №4. პროკურატურის ინფორმაცია სსკ-ის 187-ე, 126-ე, $164^1$-ე, 120-ე და 150-ე მუხლების შესაბამისი პუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებებზე საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით**

| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი (ძალადობა, ნივთის დაზიანება ან განადგურება, ამომრჩევლის მოსყიდვა, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, იძულება) | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება შეწყდა (საქმე) | | დევნა დაიწყო (პირები) | დევნა შეწყდა (2021 წლის 11 ივნისის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე) (პირები) | სასამართლოში განხილვა (საქმე) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო | 2021 წლის 11 ივნისის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე | | | მიმდინარეობს არსებითი განხილვა | გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი | გასაჩივრებულია პროკურატურის მიერ | საქმე შეწყდა 2021 წლის 11 ივნისის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | ნივთის დაზიანება ან განადგურება | 33 | 19 | 11 | | 2 | | 1 | 1 | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით | | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“ | ძალადობა | 10 | 9 | | | | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით | | 17 | 6 | 1 | 2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით | | 2 | | 1 | | | | 1 | | | |
| სსკ-ის 126 მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით | | 2 | 1 | | | 1 | | | | | |
| სსკ-ის $164^1$ მუხლის პირველი ნაწილით | ამომრჩევლის მოსყიდვა | 3 | 2 | 1 | | | | | | | |
| სსკ-ის $164^1$ მუხლის მეორე ნაწილით | | 3 | 3 | | | | | | | | |
| სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილი | ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება | 1 | | | | | | | | | 1 |
| სსკ-ის 120-ე მუხლით | | 1 | 1 | | | 1 | | | | | |
| სსკ-ის 150-ე მუხლით პირველი ნაწილი | იძულება | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 150-ე მუხლით | | 1 | 1 | | | | | | | | |
| | | 75 | 44 | 14 | 2 | 11 | 3 | 3 | 2 | 1 | 2 |
| | | | | 16 | | | | 8 | | | |

რაც შეეხება ტერიტორიული თვალსაზრისით, საპარლამენტო არჩევნებზე, საქართველოს პროკურატურის მიერ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს იხ. ცხრილი №5.

## ცხრილი №5. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით რეგიონების მიხედვით

| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | აჭარის საოქმედო ტერიტორია და გურიის რეგიონი | თბილისის პროკურატურა | დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა | სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა | სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა | შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა | კახეთის პროკურატურა | ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | ნივთის დაზიანება ან განადგურება | 6 | 7 | 7 | | | | | 11 |
| სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით | | | 1 | | | | | 2 | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“ | ძალადობა | 2 | 6 | | | | 1 | | 1 |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით | | 3 | 4 | 5 | | | | 1 | 4 |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით | | | 2 | | | | | | |
| სსკ-ის 126 მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით | | | | | | | | | 2 |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და და 120-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ძალადობა 2.ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება | | | | | | | | |
| სსკ-ის 164-ე მუხლით | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 2 | 2 | | | 1 | 3 | 2 | 1 |
| სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით | მუქარა | | 2 | | | | | 1 | 4 |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ძალადობა 2. ნივთის დაზიანება განადგურებით | | 3 | | | 1 | | | 1 |
| სსკ-ის 162 მუხლის პირველი ნაწილი | არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა | | | | 2 | | | | 1 |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | | | 2 | | | | | 2 |
| სსკ-ის $164^1$ მუხლის პირველი ნაწილით | ამომრჩევლის მოსყიდვა | 1 | 1 | | | | 1 | | |
| სსკ-ის $164^1$ მუხლის მეორე ნაწილით | | | | 2 | | 1 | | | |
| სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით | ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა | | 2 | | | | | | 1 |
| სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილი | ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება | | | 1 | | | | | |
| სსკ-ის 120-ე მუხლით | | | | | | | | | 1 |
| სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილი | ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით | 1 | | | | | | | |
| სსკ-ის 19,177 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით | დანაშაულის მცდელობა, ქურდობა | | 1 | | | | | | |
| სსკ-ის 339-ე მუხლის პირველი ნაწილით | ქრთამის მიცემა | | 1 | | | | | | |
| სსკ-ის 150-ე მუხლით პირველი ნაწილი | იძულება | | | | 1 | | | | |
| სსკ-ის 150-ე მუხლით | | | | | | | | | 1 |
| სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით | გამოძალვა | | | | | 1 | | | |
| სსკ-ის 229-ე მუხლის პირველი ნაწილით | აფეთქება | | | | | 1 | | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და 124-ე მუხლით | 1.ნივთის დაზიანება ან განადგურება 2.ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით | | | | | | | | 1 |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით | 1.ნივთის დაზიანება ან განადგურება 2.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | | | | | | | | 1 |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და187-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ძალადობა 2.ნივთის დაზიანება ან განადგურება | | | | | | | | 1 |
| სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით | ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | | | | | | | | 1 |
| სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით | 1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება 2.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | | | | | | | | 1 |
| სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 239-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება 2.ხულიგნობა | | | | | | | | 1 |
| | | 15 | 32 | 17 | 3 | 5 | 5 | 6 | 36 |

### 3. გასაჩივრების უფლების რეალიზაცია და დავების ანალიზი

საგამოძიებო კომისიამ წერილით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომლითაც მოითხოვა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით, სასამართლოში წარდგენილი სარჩელების სტატისტიკა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას წარდგენილი სარჩელების რაოდენობასთან დაკავშირებით, სასარჩელო მოთხოვნებს შესაბამისი სარჩელის ავტორთა მითითებით, სამართალწარმოების შედეგებსა და სარჩელთა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საფუძვლებს (იხ. ცხრილი №6). საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საგამოძიებო კომისიისათვის 2021 წლის 07 ივნისს მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით საქალაქო და რაიონულ სასამართლოებში წარდგენილი იყო 117 (ასჩვიდმეტი) სარჩელი. მათგან 63 (სამოცდასამი) სარჩელი წარდგენილი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო რეგიონებში - 54 (ორმოცდათოთხმეტი) სარჩელი, რომლებზეც რაიონულმა და საქალაქო სასამართლოებმა მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

**ცხრილი №6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სასამართლოში წარდგენილ სარჩელებსა და მათი განხილვის შედეგებთან დაკავშირები**

| საქმე | თბილისის საქალაქო სასამართლო | ქუთაისის საქალაქო სასამართლო | რუსთავის საქალაქო სასამართლო | ბათუმის საქალაქო სასამართლო | ფოთის საქალაქო სასამართლო | ამბროლაურის რაიონული სასამართლო | ახალქალაქის რაიონული სასამართლო | ახალციხის რაიონული სასამართლო | ბოლნისის რაიონული სასამართლო | გორის რაიონული სასამართლო | გურჯაანის რაიონული სასამართლო | ზესტაფონის რაიონული სასამართლო | ზუგდიდის რაიონული სასამართლო | თელავის რაიონული სასამართლო | მცხეთის რაიონული სასამართლო | ოზურგეთის რაიონული სასამართლო | სამტრედიის რაიონული სასამართლო | სენაკის რაიონული სასამართლო | ხაშურის რაიონული სასამართლო | ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შეწყდა | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | 1 |
| გაერთიანდა სხვა საქმესთან | 4 | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | 1 | | 6 |
| გაერთიანდა ერთ წარმოებად | | | | 2 | | | | | | | | | | | 2 | | | | | | 4 |
| დატოვებულია განუხილველად | 8 | 1 | | | | 1 | | | 1 | | | | | 1 | 2 | | 1 | | | | 15 |
| დაკმაყოფილდა ან ნაწ.დაკმაყოფილდა | 5 | | | 1 | | | | | 1 | | 1 | | | | | | | | | 1 | 9 |
| არ დაკმაყოფილდა (უსაფუძვლობის გამო) | 46 | 3 | 3 | 6 | 2 | | 1 | 1 | 3 | 3 | 4 | 3 | 3 | 1 | 1 | 2 | | 1 | 1 | | 84 |
| სარჩელების საერთო რაოდენობა | 63 | 4 | 3 | 8 | 3 | 1 | 1 | 2 | 5 | 3 | 5 | 3 | 3 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 117 |

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ შეტანილი სარჩელებთან დაკავშირებით, საქალაქო და რაიონული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან, საარჩევნო სუბიექტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა სულ 71 (სამოცდათერთმეტი) გადაწყვეტილება გაასაჩივრეს შესაბამის, თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში, მათ შორის 54 (ორმოცდათოთხმეტი) გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 17 (ჩვიდმეტი) გადაწყვეტილება - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. მათ შორის:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოში 50 (ორმოცდაათი) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, 1 (ერთი) საჩივარი დარჩა განუხილველი, ხოლო 3 (სამი) საჩივართან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება;
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 13 (ცამეტი) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, 1 (ერთი) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, 2 (ორი) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა სახელმწიფო ბაჟის ნაწილში, ხოლო 1 (ერთი) საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება.

## 4. საარჩევნო ადმინისტრაციის როლი და ეფექტურობა

საგამოძიებო კომისიის მიერ შესწავლილ იქნა საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო ადმინისტრაციის გაწეული საქმიანობა. საგამოძიებო კომისიამ დეტალური ანალიზი მოახდინა საარჩევნო ადმინისტრაციის განხორციელებულ საქმიანობაზე იმ მიზნით, რომ დაედგინა რამდენად ეფექტური იყო ცესკო როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე კენჭისყრის დღესა და მის შემდგომ პერიოდში, რამდენად უზრუნველყოფილი იყვნენ საარჩევნო სუბიექტები საკუთარი საარჩევნო უფლების გამოყენების შესაძლებლობით და რამდენად თავისუფლად და უსაფრთხოდ მიეცათ საშუალება ამომრჩევლებს მისულიყვნენ საარჩევნო უბანზე და თავისუფლად მოეხდინათ საარჩევნო უფლების რეალიზაცია, რამდენად ეფექტური იყო ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ცესკოს მიერ განხორციელებული საქმიანობა.

საგამოძიებო კომისიის მიერ ცესკოს გაწეული საქმიანობის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ:

- 2020 წლის 31 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებისთვის სულ შეიქმნა 3852 საარჩევნო უბანი, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე – 3795, ხოლო საზღვარგარეთ, 39 სახელმწიფოში – 57 საარჩევნო უბანი. არჩევნების ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე, პანდემიიდან გამომდინარე, საზღვარგარეთ 5 საარჩევნო უბანი გაუქმდა, რის გამოც არჩევნები საბოლოო ჯამში გაიმართა 3847 საარჩევნო უბანზე, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ 3 795, ხოლო საზღვარგარეთ – 52 საარჩევნო უბანზე. ამასთანავე, საპარლამენტო არჩევნებზე, საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობაში 127 საარჩევნო უბანი შედიოდა სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი პირებისთვის.

- 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების უსაფრთხო პირობებში ჩასატარებლად, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და კენჭისყრის დღის შესაბამისი პროცედურების რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, ცესკომ მიიღო კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი და დადგენილება[43], რომლითაც განისაზღვრა სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების ყველა ჯგუფის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები.

  არჩევნების დანიშვნისთანავე, 2020 წლის 01 სექტემბერს გამართულ სხდომაზე ცესკომ მიიღო დადგენილება №24[44], რომლის თანახმადაც განსაზღვრა საარჩევნო კომისიების კუთვნილ ან/და საარჩევნო კომისიებისთვის გადაცემულ შენობებში შესვლისას/გამოსვლისას და შენობებში ყოფნისას/გადაადგილებისას სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები, საარჩევნო კომისიების საქმიანობისთვის საჭირო სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულო იყო როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, ისე არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას და საარჩევნო კომისიის შენობებში მყოფი ნებისმიერი პირისთვის.

  სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი პირების არჩევნებში (I და II ტური) მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით, ცესკოს მიერ მიღებული დადგენილებით №45[45] განისაზღვრა კონკრეტული წესები და პირობები.

---

[43] იხ. ცესკოს დადგენილება №38/2020 (18.09.2020)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4995599?publication=0

[44] იხ. ცესკოს №24/2020 დადგენილება (01.09.2020)
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4982188?publication=0

[45] იხ. ცესკოს №45/2020 დადგენილება (19.10.2020)

თითოეული მუნიციპალიტეტის საზღვრებში შეიქმნა სპეციალური საარჩევნო უბნები. საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციების განსახორციელებლად შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რომელთაც ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგი.

- 2020 წლის 4-9 სექტემბერს ჩატარდა საქართველოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსი. საოლქო საარჩევნო კომისია, როგორც კოლეგიური ორგანო, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ირჩევდა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, არანაკლებ შვიდი ხმით, სახელობითი კენჭისყრის საფუძველზე. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების არჩევის პროცესი წარიმართა საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის ახალი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. ცესკომ დამატებითი რეკომენდაციებით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიებს, რათა საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესში გათვალისწინებული ყოფილიყო შემდეგი კრიტერიუმები:

  • კარგი პროფესიული და საარჩევნო გამოცდილება;
  • საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციურად და მიუკერძოებლად მუშაობის გამოცდილება;
  • საარჩევნო ადმინისტრაციის საგანმანათლებლო პროგრამებში, მათ შორის „საარჩევნო განვითარების სკოლა", „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები" მონაწილეობა;
  • საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობისას, ბოლო ორი წლის განმავლობაში არაერთგზის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების არქონა.

2020 წლის 11-14 სექტემბრის პერიოდში 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ, 3652 საარჩევნო უბანში არსებულ 21942 ვაკანტურ ადგილზე აირჩა საუბნო საარჩევნო კომისიის 21894 წევრი.

საგამოძიებო კომისიამ შეისწავლა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის პროცესის გამჭირვალობის საკითხი და შესწავლისა და ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებში გამართულ სხდომებს, რომელზეც ირჩევდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, დააკვირდა 16 (თექვსმეტი) ადგილობრივი ორგანიზაციის 84 (ოთხმოცდაოთხი) დამკვირვებელი, ხუთი საარჩევნო სუბიექტის 38 (ოცდათვრამეტი) და ერთი მედიასაშუალების 2 (ორი) წარმომადგენელი.

რაც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულ პირებს, არჩეული 21894 წევრიდან 21513 (98.26%) არჩეული იყო მაღალი კვორუმით, კერძოდ 9 (ცხრა) და მეტი ხმით (12 (თორმეტი) ხმით არჩეულია საუბნო საარჩევნო კომისიის 9 (ცხრა) წევრი, 11 (თერთმეტი) ხმით – 1225 წევრი, 10 (ათი) ხმით – 13703 წევრი, 9 (ცხრა) ხმით – 6576 წევრი). 8 (რვა) ხმით აირჩა საუბნო საარჩევნო კომისიის 366 წევრი, ხოლო 7 (შვიდი) ხმით – 15 (თხუთმეტი) წევრი.

- საარჩევნო პროცესებზე დაკვირვების მიზნით ცესკომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაარეგისტრირა ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები. ცესკოს სულ მიმართა 132-მა (ასოცდათორმეტი) ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, მათგან 12-ს (თორმეტი) სხვადასხვა მიზეზების გამო უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, შესაბამისად ცესკოში დარეგისტრირდა 120 (ასოცი).

  ცესკოში რეგისტრირებული 120 (ასოცი) ორგანიზაციიდან 115-მა (ასთხუთმეტი) დაარეგისტრირა 46577 დამკვირვებელი. ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებში

---

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5019260?publication=0

რეგისტრირებული იყო 12 (თორმეტი) ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია, რომლებმაც დაარეგისტრირეს 404 (ოთხასოთხი) დამკვირვებელი.

წინასაარჩევნო პერიოდში ცესკოსა და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს შორის გაფორმდა 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა ქცევის (ეთიკის) კოდექსი.

ცესკოში საპარლამენტო არჩევნებზე ასევე დარეგისტრირდა 48 (ორმოცდარვა) საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია, მათ შორის 5 (ხუთი) ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაცია, 20 (ოცი) ქვეყნის საელჩო და 23 (ოცდასამი) საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლებმაც ჯამში დაარეგისტრირეს 910 (ცხრაასათი) საერთაშორისო დამკვირვებელი.

- 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების თავისუფლად და უწყვეტად გაშუქების მიზნით, აკრედიტაცია გაიარა 118 (ასთვრამეტი) მედია ორგანიზაციის 6016-მა წარმომადგენელმა, აქედან ცესკოში აკრედიტაცია გაიარა 104 (ასოთხი) მედიასაშუალების 5941-მა წარმომადგენელმა, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებში 14 (თოთხმეტი) მედიასაშუალების 75-მა (სამოცდათხუთმეტი) წარმომადგენელმა.

- ცესკოს მიერ შემუშავებული ელექტრონული პროგრამის საშუალებით, საარჩევნო სუბიექტების მიერ ცესკოში რეგისტრირებულმა 50 (ორმოცდაათი) საარჩევნო სუბიექტიდან 46-მა (ორმოცდაექვსი) ისარგებლა ელექტრონული რეგისტრაციის საშუალებით და ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში დაარეგისტრირა საარჩევნო სუბიექტების 2008, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიებში – 78773 წარმომადგენელი. ოთხმა უფლებამოსილმა პარტიამ ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამით საოლქო საარჩევნო კომისიებში დანიშნა 438 დროებითი წევრი და საუბნო საარჩევნო კომისიების 22859 წევრი. რეგისტრირებული 120 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციიდან დამკვირვებლების რეგისტრაცია განახორციელა 115-მა (ასთხუთმეტი) დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, მათ შორის 114-მა (ასთოთხმეტი) დაარეგისტრირა 46493 ადგილობრივი დამკვირვებელი. ცესკოში რეგისტრირებული 48 (ორმოცდარვა) საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციიდან ელექტრონული პროგრამით ისარგებლა 6-მა (ექვსი) ორგანიზაციამ და რეგისტრაცია გაიარა 240-მა (ორასორმოცი) საერთაშორისო დამკვირვებელმა. ცესკოში აკრედიტებული 104 (ასოთხი) მედია საშუალების წარმომადგენლიდან 12-მა (თორმეტი) ისარგებლა ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამით და აკრედიტაცია გაიარა 3924-მა წარმომადგენელმა.

- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ცესკომ დაამუშავა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელი სხვა უწყებების მიერ გადმოცემული მონაცემები. პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლები ან ამომრჩევლები, რომელთა რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა, ამომრჩეველთა ერთიან სიაში შედიოდნენ ბოლო რეგისტრაციის ან ფაქტობრივი

საცხოვრებელი ადგილის მისამართის მიხედვით. რაც შეეხება მისამართის გარეშე რეგისტრირებულ პირებს, ისინი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შედიოდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 184-ე მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პარლამენტის არჩევნების I ტურისთვის ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 3 511 338-ს. ამომრჩეველთა განახლებული სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია ხელმისაწვდომი იყო საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიებისთვის, საარჩევნო ბლოკების, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისთვის, საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და ამომრჩევლებისთვის. 2020 წლის 28 ოქტომბერს, ცესკომ განკარგულებით №354[46] დაამტკიცა ამომრჩეველთა სპეციალური სიები, სულ 12762 ამომრჩეველი, რომლის მიხედვით თვითიზოლაციაში მყოფ ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 3695-ს, ხოლო სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებსა და საკარანტინო სივრცეებში მყოფი ამომრჩევლების (მათ შორის სამედიცინო პერსონალი) რაოდენობა - 7150-ს. რაც შეეხება სპეციალური ჯგუფების წევრებს, რომლებიც ემსახურებოდნენ იზოლაციაში მყოფ ამომრჩევლებს, ასევე საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებს, რომლებიც პროცესს აკვირდებოდნენ და იმავდროულად შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ კენჭისყრაში მონაწილეობა, მათი რაოდენობა შეადგენდა 1917-ს.

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, საარჩევნო უფლების რეალიზაციის მიზნით, შესაძლებლობა ჰქონდა სხვადასხვა საშუალებით გადაემოწმებინა საკუთარი თავი ამომრჩეველთა ერთიან სიაში. ცესკოს მონაცემებით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი და ოჯახის წევრების მონაცემები და საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობა, წინასაარჩევნო პერიოდში ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისებით, ამომრჩევლებმა გადაამოწმეს 2 191 253-ჯერ, აქედან: 2 139 819-მა – ცესკოს ვებ-გვერდის www.voters.cec.gov.ge საშუალებით, 24453-მა სწრაფი გადახდის ტერმინალით, 26981-მა – Android და iOS ოპერაციული სისტემის გამოყენებით.

- პარლამენტის არჩევნებისთვის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მაჟორიტარულ ოლქებში შექმნილი იყო 348 საარჩევნო უბანი, მათ შორის:
  - ქართულ/აზერბაიჯანული – 211;
  - ქართულ/სომხური – 133;
  - ქართულ/სომხურ/აზერბაიჯანული – 4.

  ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საარჩევნო საკითხებზე ინფორმაციის მიღება შეეძლოთ ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში დასაქმებული აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი ოპერატორებისგან. ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ამომრჩევლებს ჰქონდათ ამომრჩეველთა ერთიან სიაში პირადი მონაცემების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გადამოწმების შესაძლებლობა. მონაცემების გადამოწმება შესაძლებელი იყო ცესკოს ვებ-გვერდის, მობილურის, პლანშეტისა და სწრაფი გადახდის აპარატის საშუალებით.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საარჩევნო უბანზე ხელმისაწვდომი იყო შემდეგი სერვისები: ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის – ადაპტირებულ საარჩევნო

[46] იხ. ცესკოს განკარგულება №354/2020 (28.10.2020)
https://cesko.ge/res/docs/cg354.pdf

უბნებზე ხმის მიცემის სპეციალური კაბინა, მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის – ორი ცალი გამადიდებელი ლინზა. ამომრჩევლებისთვის ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული იყო კენჭისყრაში მონაწილეობის ამსახველი პოსტერი. უსინათლო ამომრჩევლებისთვის ცესკომ შეიმუშავა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა განსხვავებული ფორმატით.

პარლამენტის არჩევნებისთვის საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, განისაზღვრა ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის დროებითი წესი[47]. ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით ცესკომ დაამზადა ვიდეორგოლი აღნიშნული ცვლილების შესახებ, რომელიც გადიოდა ეთერში 2020 წლის 25-30 სექტემბრის და 17-21 ოქტომბრის პერიოდში. აღნიშნული სერვისით ისარგებლა და საარჩევნო უბნის ცვლილება მოითხოვა ეტლით მოსარგებლე 14-მა (თოთხმეტი) პირმა.

საქართველოს მასშტაბით, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო 1134 საარჩევნო უბანი (მარტივი ადაპტაცია – 239, პანდუსი – 895). ცესკოს ვებ-გვერდზე ბანერში „საარჩევნო რუკა" განთავსდა დეტალური ინფორმაცია საარჩევნო უბნების შესახებ, მათ შორის დასურათებულ ფორმატში. სმენადაქვეითებული პირებისთვის, ცესკოს მიერ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით მომზადებული ვიდეორგოლები უზრუნველყოფილი იყო სურდოთარგმანით.

[47] იხ. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 53-ე პუნქტი (02.07.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4915093?publication=1

## საარჩევნო უბნების გადათვლა და შედეგების ანალიზი

1. გადასათვლელი უბნების და მთვლელების შერჩევის მეთოდოლოგიისა და რაოდენობის განსაზღვრა

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 24 მაისის სხდომაზე დაამტკიცა საგამოძიებო კომისიის საქმიანობის მეთოდოლოგია[48]. კერძოდ, განისაზღვრა როგორც გადასათვლელი საარჩევნო უბნების, ასევე მთვლელების შერჩევის მეთოდი და რაოდენობა. საგამოძიებო კომისია შეჯერდა, რომ საარჩევნო უბნების გადათვლის პროცესი შეხებოდა მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების ბიულეტენებს, ვინაიდან მაჟორიტარულ ოქმებში შესაძლებელია ყოფილიყო ბუნებრივი ხასიათის დისბალანსი, გამოწვეული იმ მიზეზით, რომ ამომრჩეველი ზოგიერთ საარჩევნო უბანზე ხმას აძლევდა მხოლოდ პროპორციული სისტემით საარჩევნო სუბიექტს და ვერ აძლევდა ხმას მაჟორიტარობის კანდიდატს, ვინაიდან არ წარმოადგენდა იმ საარჩევნო უბნის ამომრჩეველს (სპეციალურ სიაში არსებული ამომრჩეველი, სპეციალურ პენიტენციურ და სტაციონალურ დაწესებულებაში მოთავსებული, ე.წ. კოვიდ უბნები).

ცესკოდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ საქართველოს მასშტაბით 19 (ცხრამეტი) საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევას, როდესაც საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ოდენობა აღემატებოდა ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას. საგამოძიებო კომისიისათვის მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად დადგინდა, რომ 19-ივე (ცხრამეტი) საარჩევნო უბანზე ჯამში დაფიქსირდა 26 (ოცდაექვსი) ბიულეტენით მეტობა. დისბალანსიანი საარჩევნო უბნების უმეტესობაში საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენების ოდენობა ნაკლები იყო ამომრჩეველთა სიებში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების ჯამზე. ბიულეტენების ნაკლებობით დისბალანსიანი საარჩევნო უბნებიდან, 67 (სამოცდაშვიდი) საარჩევნო უბანზე სხვაობა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების ოდენობასა და ბიულეტენებს შორის 10 (ათი) ან 10 (ათი)-ზე მეტი იყო. მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველა საარჩევნო უბანზე ბიულეტენების ნაკლებობით დისბალანსის გამომწვევი ბიულეტენების რაოდენობათა ჯამი შეადგენდა 3088-ს, რაც კენჭისყრის მონაწილეთა ხმების საერთო რაოდენობის 0.15%-ს შეადგენდა. საგამოძიებო კომისიის გადაწყვეტილება, გამოერჩიათ ყველაზე პრობლემური საარჩევნო უბნები დაფიქსირებული დისბალანსების მიხედვით გამომდინარეობდა იქიდან, რომ ერთის მხრივ საარჩევნო ყუთში მოთავსებული ბიულეტენების მეტობა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერაზე, ხოლო მეორეს მხრივ ბიულეტენების რაოდენობის 10 (ათი) ან 10-ზე (ათი) მეტი სხვაობა ამომრჩევლის ხელმოწერების რაოდენობასთან შედარებით, ბადებდა კითხვის ნიშნებს, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო პრაქტიკით დადგენილია, რომ მსგავსი დისბალანსი შესაძლოა გამოწვეული იყოს საარჩევნო კომისიისგან დამოუკიდებელი მიზეზით.

საგამოძიებო კომისია გადასათვლელი საარჩევნო უბნების მეთოდოლოგიის შემუშავებისას შეთანხმდა, რომ საარჩევნო უბნების შერჩევის პროცესში გათვალისწინებულ ყოფილიყო 4 (ოთხი) არასამთავრობო ორგანიზაციის - „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ (შემდგომში „მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები“) გაწეული საქმიანობა, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე წარდგენილი საჩივრების მიხედვით, ვინაიდან ხსენებული არასამთავრობო ორგანიზაციები გამოირჩეოდნენ საარჩევნო სფეროში ხანგრძლივი სადამკვირვებლო საქმიანობის

[48] იხ.დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი №3 (24.05.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

გამოცდილებითა და საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვების მიზნით წარმოდგენილნი იყვნენ დიდი რაოდენობის დამკვირვებლებით (სულ 3 696 დამკვირვებელი).[49]

მოწოდებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის შედეგად, საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საარჩევნო უბნების შედეგებთან დაკავშირებით საჩივრები წარდგენილ იქნა 259 (ორასორმოცდაცხრამეტი) საარჩევნო უბანზე.

2021 წლის 21 მაისს ცესკოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, საგამოძიებო კომისიამ ასევე დაადგინა, რომ ქვეყნის მასშტაბით 19 (ცხრამეტი) საარჩევნო უბანზე, სადაც დაფიქსირდა დისბალანსი ბიულეტინების მეტობით, მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ერთ-ერთს მაინც ჰქონდა გასაჩივრებული 12 (თორმეტი) საარჩევნო უბნის შედეგები, ხოლო ქვეყნის მასშტაბით 67 (სამოცდაშვიდი) საარჩევნო უბნიდან, სადაც სხვაობა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების ოდენობასა და ბიულეტინების რაოდენობას შორის 10 (ათი) ან 10-ზე (ათი) მეტი იყო, მიზნობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს გასაჩივრებული ჰქონდათ 29 (ოცდაცხრა) საარჩევნო უბნის შედეგები.

ვინაიდან, ხსენებულ 41 (ორმოცდაერთი) საარჩევნო უბანში (12+29) (იხ. ცხრილი №7) მოხდა დამთხვევა, როგორც ოქმებში არსებული დისბალანსით, ისე მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივრებით, საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 24 მაისის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ გადასათვლელი უბნების შერჩევა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე, განხორციელებულიყო სწორედ აღნიშნული საარჩევნო უბნებიდან. ეს საარჩევნო უბნები ტერიტორიული დაყოფის თვალსაზრისით განაწილდა შემდეგი სახით: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში 8 (რვა) საარჩევნო ოლქის 19 (ცხრამეტი) საარჩევნო უბანი, ხოლო 7 (შვიდი) რეგიონის მასშტაბით 12 (თორმეტი) საარჩევნო ოლქში 22 საარჩევნო უბანი.

**ცხრილი №7. ცესკოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია 41 (ორმოცდაერთი) საარჩევნო უბნების შესახებ, რომლის შედეგები გასაჩივრდა მიზნობრიგანვი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ**

| მაჟ.ოლქი | ოლქი | უბანი | ამომ.ერთ. | ამომ.სპეც. | მონაწ. | ბათილი | ხმა | სხვაობა | არასამთავრობო ორგანიზაციების საჩივარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მთაწმინდა | 01.01.12 | 1515 | 15 | 892 | 19 | 863 | -10 | სამართლიანი არჩევნები |
| 1 | კრწანისი | 01.04.17 | 1555 | 6 | 828 | 29 | 779 | - 20 | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 2 | ვაკე | 02.02.41 | 986 | 15 | 589 | 7 | 564 | -18 | საია |
| 3 | საბურთალო | 03.03.13 | 1651 | 12 | 968 | 16 | 920 | -32 | 1. საია 2.საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 3 | საბურთალო | 03.03.41 | 1623 | 10 | 890 | 28 | 832 | -30 | 1.საია 2.საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 3 | საბურთალო | 03.03.45 | 1322 | 11 | 819 | 0 | 799 | -20 | 1. საია 2.საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 3 | საბურთალო | 03.03.65 | 1600 | 10 | 939 | 20 | 859 | -60 | 1. საია 2.საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 3 | საბურთალო | 03.03.77 | 1572 | 7 | 862 | 23 | 816 | -23 | 1. საია 2.საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 3 | საბურთალო | 03.03.81 | 1298 | 6 | 685 | 26 | 623 | -36 | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 4 | ისანი | 04.05.22 | 1548 | 8 | 860 | 23 | 817 | -20 | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 4 | ისანი | 04.05.67 | 1355 | 10 | 724 | 47 | 660 | -17 | 1.საია 2.სამართლიანი არჩევნები |

[49] საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისთვის ცესკოში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები https://cesko.ge/geo/list/show/119931-2020-tslis-31-oqtombris-saqartvelos-parlamentis-archevnebistvis-registrirebuli-adgilobrivi-damkvirvebeli-organizatsiebi

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | სამგორი | 05.06.69 | 1372 | 9 | 636 | 11 | 604 | -21 | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 5 | სამგორი | 05.06.92 | 1459 | 6 | 646 | 19 | 628 | 1 | საია |
| 6 | ჩუღურეთი | 06.07.13 | 1030 | 13 | 584 | 16 | 546 | -22 | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 6 | ჩუღურეთი | 06.07.25 | 1146 | 9 | 623 | 20 | 584 | -19 | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 7 | ნაძალადევი | 07.09.62 | 1246 | 7 | 713 | 18 | 696 | 1 | სამართლიანი არჩევნები |
| 7 | ნაძალადევი | 07.09.66 | 1517 | 12 | 841 | 28 | 814 | 1 | სამართლიანი არჩევნები |
| 7 | ნაძალადევი | 07.09.76 | 1482 | 10 | 789 | 18 | 772 | 1 | სამართლიანი არჩევნები |
| 7 | ნაძალადევი | 07.09.98 | 1112 | 13 | 571 | 25 | 525 | -21 | 1.საერთაშორისო გამჭვირვალობა 2.სამართლიანები არჩევნები |
| 9 | გურჯაანი | 09.12.02 | 1235 | 8 | 723 | 27 | 698 | 2 | სამართლიანი არჩევნები |
| 9 | გურჯაანი | 09.12.03 | 1025 | 5 | 643 | 37 | 609 | 3 | სამართლიანი არჩევნები |
| 12 | გარდაბანი | 12.21.29 | 1186 | 5 | 695 | 18 | 646 | -31 | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 13 | მარნეული | 13.22.48 | 1481 | 5 | 631 | 44 | 576 | -11 | სამართლიანი აჩევნები |
| 13 | მარნეული | 13.22.65 | 1423 | 8 | 753 | 30 | 706 | -17 | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 13 | მარნეული | 13.22.69 | 1479 | 10 | 833 | 33 | 786 | -14 | სამართლიანი არჩევნები |
| 13 | მარნეული | 13.22.89 | 1011 | 9 | 742 | 23 | 636 | -83 | 1. საერთაშორისო გამჭვირვალობა 2. სამართლიანი არჩევნები |
| 17 | ახალციხე | 17.37.04 | 1374 | 9 | 824 | 22 | 803 | 1 | 1. სამართლიანი არჩევნები 2. მრავალეროვანი საქართველო |
| 18 | ახალქალაქი | 18.40.68 | 1194 | 3 | 614 | 0 | 576 | -38 | საია |
| 19 | ცაგერი | 19.45.02 | 277 | 2 | 173 | 8 | 166 | 1 | სამართლიანი არჩევნები |
| 23 | ქუთაისი | 23.59.85 | 1285 | 11 | 525 | 16 | 510 | 1 | სამართლიანი არჩევნები |
| 23 | ქუთაისი | 23.59.98 | 1366 | 6 | 635 | 25 | 611 | 1 | სამართლიანი არჩევნები |
| 23 | ქუთაისი | 23.59.118 | 1486 | 8 | 742 | 31 | 682 | -29 | სამართლიანი არჩევნები |
| 26 | სენაკი | 26.64.07 | 1311 | 6 | 753 | 27 | 697 | -29 | 1. საერთაშორისო გამჭვირვალობა 2.სამართლიანი არჩევნები |
| 26 | ხობი | 26.66.26 | 1310 | 7 | 715 | 23 | 674 | -18 | სამართლიანი არჩევნები |
| 27 | ზუგდიდი | 27.67.89 | 1224 | 8 | 317 | 20 | 257 | -40 | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 28 | ბათუმი | 28.79.12 | 1628 | 10 | 874 | 27 | 848 | 1 | 1.საია 2.სამართლიანი არჩევნები |
| 28 | ბათუმი | 28.79.31 | 1624 | 13 | 749 | 22 | 702 | -25 | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 28 | ბათუმი | 28.79.33 | 1581 | 11 | 834 | 24 | 799 | -11 | სამართლიანი არჩევნები |
| 28 | ბათუმი | 28.79.53 | 1507 | 12 | 828 | 18 | 814 | 4 | 1.საია 2.სამართლიანი არჩევნები |
| 28 | ბათუმი | 28.79.63 | 1477 | 10 | 794 | 23 | 751 | -20 | საერთაშორისო გამჭვირვალობა |
| 30 | ხელვაჩაური | 30.83.25 | 557 | 8 | 327 | 8 | 299 | -20 | 1.სამართლიანი არჩევნები 2.საერთაშორისო გამჭვირვალობა |

ცესკოდან დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციით[50] საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, სხვადასხვა საფუძვლით განხორციელდა 39 (ოცდაცხრამეტი) საარჩევნო უბნის შედეგების გადათვლა, ხოლო მათგან 3 (სამი) საარჩევნო უბანი (იხ. ცხრილი №8) მოხვდა საგამოძიებო კომისიის მიერ შერჩეულ 41 (ორმოცდაერთი) საარჩევნო უბნებს შორის. დარჩენილი 38 (ოცდათვრამეტი) საარჩევნო უბნიდან 26 (ოცდაექვსი) საარჩევნო უბანი იყო ბიულეტენების ნაკლებობით, 12 (თორმეტი) საარჩევნო უბანი - ბიულეტენების მეტობით; აგრეთვე ამ ჯამური მოცემულობით წარმოდგენილი იყო თბილისის 18 (თვრამეტი) საარჩევნო უბანი და რეგიონის მასშტაბით 20 (ოცი) საარჩევნო უბანი.

**ცხრილი №8. ცესკოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 41 (ორმოცდაერთი) საარჩევნო უბნიდან გადათვლილი 3 (სამი) საარჩევნო უბანი**

| ოლქი | უბნის № | გადათვლის საფუძველი (საკუთარი ინიციატივით, საჩივარი, სასამართლო გადაწყვეტილება) |
|---|---|---|
| **დიდუბე** | **06.07.25** | საჩივრის საფუძველზე |
| **მარნეული** | **13.22.65** | საჩივრის საფუძველზე |
| **ხელვაჩაური** | **30.83.25** | სასამართლოს გადაწყვეტილება |

საგამოძიებო კომისიის მიერ შერჩეული მეთოდოლოგია (გადასათვლელი უბნების შერჩევისა და მთვლელების გამოვლენის მიზნით) გაზიარებულ იქნა საქართველოს პარლამენტში 2021 წლის 20 მაისს დიპლომატიურ კორპუსთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, რა დროსაც საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას სთხოვა, მოკლე ვადებში წერილობით წარმოედგინათ თავისი შეხედულებები და შენიშვნები საგამოძიებო კომისიის შერჩეულ მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. აღნიშნულ თხოვნას გამოეხმაურა საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო", რომლის ხედვითაც საგამოძიებო კომისიის მიერ შესასწავლ უბნების გამოსავლენად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და განყენებულად გამოყენებული უნდა ყოფილიყო, როგორც მიზნობრივი, ასევე სტატისტიკური (რეპრეზენტატული) შერჩევის მეთოდები. კერძოდ:

1. გამოყენებული ყოფილიყო მიზნობრივი შერჩევის მეთოდი იმ კონკრეტული უბნების გამოსავლენად, სადაც დაიწერა ისეთი საჩივრები, რომლებიც შეეხებოდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში არსებულ დისბალანსს.
2. განხორციელებულიყო საარჩევნო უბნების სტატისტიკურად შერჩევა შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე, რათა შესაძლებელი ყოფილიყო არჩევნების დღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესის ერთიანი სურათის დანახვა, რაც რეპრეზენტატულს გახდიდა კვლევის შედეგებს.

ამავე ორგანიზაციის განმარტება მთვლელების შერჩევასთან დაკავშირებით, ცხადყოფს, რომ შერჩეული საარჩევნო უბნების გადათვლის პროცესი უნდა განეხორციელებინათ ნეიტრალურ პირებს, რომლებიც კარგად ერკვევიან საარჩევნო პროცედურებში.

2021 წლის 24 მაისს ინფორმაციის ანალიზისა და შერჩეული მეთოდოლოგიის საფუძველზე, საგამოძიებო კომისიამ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რომ 38 (ოცდათვრამეტი) საარჩევნო

[50] იხ.საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წერილი N 01-11/523 (28.05.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

უბნიდან შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულიყო 20 (ოცი) საარჩევნო უბანი. გადასათვლელი საარჩევნო უბნების შესარჩევად საგამოძიებო კომისიის წევრებმა მედიის თანდასწრებით დოლურაში განათავსეს 38 (ოცდათვრამეტი) ბურთულა, რომლებშიც საჯარო ვიზუალიზაციით განთავსდა შერჩეული მეთოდოლოგიის პრინციპით იდენტიფიცირებული 38 (ოცდათვრამეტი) საარჩევნო უბნის მონაცემები (საარჩევნო ოლქის დასახელება და კონკრეტული საარჩევნო უბნის მაიდენტიფიცირებელი ნომერი). საგამოძიებო კომისიის 4 (ოთხი) წევრიდან თითოეულმა დოლურადან საჯაროდ ამოიღო ხუთ-ხუთი ბურთულა, გახსნა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული საარჩევნო უბნები. აღნიშნული საარჩევნო უბნების გამოცხადებისთანავე აპარატის წარმომადგენელს შეყავდა მონაცემები კომპიუტერში, რისი მყისიერი ვიზუალიზაცია ხდებოდა სხდომის ოთახში განთავსებულ დიდ მონიტორზე, რაც დამსწრე მედიის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს აცნობდა შერჩეული საარჩევნო უბნების მონაცემებს. 20-ვე (ოცი) საარჩევნო უბნის იდენტიფიცირებისა და გამოცხადების შემდეგ, საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მითითებით, აპარატის წარმომადგენელმა განახორციელა დარჩენილი 18 (თვრამეტი) ბურთულას დოლურადან ამოღება, გახსნა და მოთავსებული საარჩევნო უბნების მონაცემების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადება. აღნიშნულმა შესაძლებელი გახადა პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 20 (ოცი) საარჩევნო უბნიდან 7 (შვიდი) საარჩევნო უბანი იყო ბიულეტენების მეტობით და 13 (ცამეტი) - ნაკლებობით, რომელთაგან 10 (ათი) საარჩევნო უბანი თბილისს, ხოლო 10 (ათი) საარჩევნო უბანი (ბათუმი - 3, ქუთაისი - 3, გურჯაანი - 2, მარნეული - 2) 4 (ოთხი) რეგიონის 4 (ოთხი) საარჩევნო ოლქს ეკუთვნოდა (იხ. ცხრილი №9)

**ცხრილი №9. საგამოძიებო კომისიის სხდომაზე შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით გადასათვლელად შერჩეული 20 (ოცი) საარჩევნო უბანი**

| თბილისი | რეგიონი |
|---|---|
| მთაწმინდა 01.01.12 | გურჯაანი 09.12.02 |
| კრწანისი 01.04.17 | გურჯაანი 09.12.03 |
| ვაკე 02.02.41 | მარნეული 13.22.69 |
| საბურთალო 03.03.41 | მარნეული 13.22.89 |
| საბურთალო 03.03.77 | ქუთაისი 23.59.85 |
| საბურთალო 03.03.81 | ქუთაისი 23.59.98 |
| სამგორი 05.06.92 | ქუთაისი 23.59.118 |
| ჩუღურეთი 06.07.13 | ბათუმი 28.79.12 |
| ნაძალადევი 07.09.66 | ბათუმი 28.79.33 |
| ნაძალადევი 07.09.98 | ბათუმი 28.79.63 |

გამომდინარე იქიდან, რომ საგამოძიებო კომისიის მიერ შერჩეული 20 (ოცი) საარჩევნო უბნის გადათვლა საჭიროებდა გადათვლის პროცესის მცოდნე, გამოცდილების მქონე და ამასთანავე ნეიტრალური სტატუსის მქონე მთვლელებით უზრუნველყოფას, საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 24 მაისის სხდომაზე ასევე იმსჯელა და შეჯერდა მთვლელების შერჩევის მეთოდსა და რაოდენობაზე. კერძოდ, საგამოძიებო კომისიამ ცესკოდან გამოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით იმ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სია, რომლებიც 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე არჩეული იყვნენ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ და შესაბამისად არ იყვნენ დანიშნული პოლიტიკური პარტიების მხრიდან და რომელთა საარჩევნო უბნებზე არ დაფიქსირებულა არცერთი საჩივარი. გადაწყვეტილება მთვლელების

მხოლოდ თბილისის მასშტაბით შერჩევის შესახებ გამომდინარეობდა იმ ობიექტური გარემოებიდან, რომ საგამოძიებო კომისიას არ სურდა შერჩეულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს, დათვლის პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით, გადაადგილებისა და განთავსებისთვის გაეწიათ დამატებითი ხარჯი. ცესკოს მიერ წარმოდგენილი იქნა 299 (ორას ოთხმოცდაცხრამეტი) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, რომლებიც ზემოთ მითითებულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა.[51]

საგამოძიებო კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ცესკოდან გამოთხოვილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სიიდან, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით დოლურას მეშვეობით საჯაროდ გამოვლენილიყო 12 (თორმეტი) ძირითადი და 12 (თორმეტი) სათადარიგო მთვლელი (ძირითადი მთვლელის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან პირადი მიზეზით პროცესში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში), რომლებიც განახორციელებდნენ შერჩეული საარჩევნო უბნების გადათვლას.

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 31 მაისის სხდომაზე შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპის საფუძველზე, დოლურას მეშვეობით, გამოავლინა 12 (თორმეტი) ძირითადი და 12 (თორმეტი) სათადარიგო მთვლელი. მთვლელების შესარჩევად საგამოძიებო კომისიის წევრებმა მედიის თანდასწრებით დოლურაში განათავსეს 299 (ორასოთხმოცდაცხრამეტი) ფურცელი, თითოეული ცესკოს მიერ წარმოდგენილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის სახელისა და გვარის და იმ საარჩევნო ოლქის დასახელებისა და საარჩევნო უბნის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებით, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად ჩართული იყო 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე. საგამოძიებო კომისიის 4 (ოთხი) წევრიდან თითოეულმა დოლურადან საჯაროდ ამოიღო ექვს-ექვსი ფურცელი, რომლისგანაც პირველი 3 (სამი) კომისიის წევრის სახელი და გვარი აღირიცხებოდა ძირითადი მთვლელთა სიაში, ხოლო მეორე 3 (სამი) - სათადარიგო მთვლელთა სიაში. აღნიშნული მთვლელების გამოცხადებისთანავე აპარატის წარმომადგენელს შეყავდა მონაცემები კომპიუტერში, რისი მყისიერი ვიზუალიზაცია ხდებოდა სხდომის ოთახში განთავსებულ დიდ მონიტორზე, რაც დამსწრე მედიის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს აცნობდა შერჩეული მთვლელების ვინაობას. აპარატს დაევალა კომუნიკაცია ჯერ ძირითადი სიის შერჩეულ მთვლელებთან, ხოლო იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მათგანი უარს განაცხადებდა გადათვლის პროცესში მონაწილეობაზე, მარტივი რიგითობის პრინციპით მომხდარიყო სათადარიგო სიის შერჩეულ მთვლელებთან კომუნიკაცია 12 (თორმეტი) მთვლელის გამოვლენამდე. აპარატის მიერ განხორციელებული კომუნიკაციის შედეგად, 12 (თორმეტი) მთვლელი დაკომპლექტდა ძირითადი სიის 6 (ექვსი) და სათადარიგო სიის 6 (ექვსი) მთვლელისგან (იხ. დანართი №4).

საგამოძიებო კომისიის მდივნის, დავით ზილფიმიანის ინიციატივით, საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 21 ივნისის სხდომაზე განიხილა და ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დამატებითი მეთოდოლოგია ცესკოს მიერ გამოქვეყნებული არჩევნების საბოლოო შედეგების სისწორის დასადგენად. ეს მეთოდოლოგია ნაწილობრივ ეფუძნებოდა პირველად მეთოდოლოგიას, ყველაზე პრობლემური სარჩევნო უბნების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დავით ზილფიმიანის ინიციატივით განხორციელდა საგამოძიებო კომისიის მიერ შერჩეული პირველადი მეთოდოლოგიით იდენტიფიცირებული ყველაზე პრობლემატური (დისბალანსიანი) 38 (ოცდათვრამეტი) საარჩევნო უბნის მონაცემების (მისული ამომრჩევლის

[51] იხ. ცესკოს N 01-12/490 წერილის დანართი №5 (21.05.2021)
https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

ნამდვილი და ბათილი ბიულეტენების) გამოკლება ცესკოს შემაჯამებელ მონაცემებზე და ამ უკანასკნელთან მიღებული შედეგების შედარება და არსებული განსხვავების გამოვლენა.

## 2. საარჩევნო უბნების გადათვლა

2021 წლის 02 ივნისს საქართველოს პარლამენტში გაიმართა საგამოძიებო კომისიის რიგით მე-5 სამუშაო სხდომა. აღნიშნულ სხდომაზე, საგამოძიებო კომისიამ დაამტკიცა საარჩევნო ბიულეტენების ხელახალი დათვლისა და საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემების შემოწმების ინსტრუქცია[52] (იხ. დანართი №5). სხდომაზე საგამოძიებო კომისია შეთანხმდა, რომ საარჩევნო ბიულეტენების გადათვლა განხორციელებულიყო 2 (ორი) დღის განმავლობაში, 2021 წლის 03-04 ივნისს, საქართველოს პარლამენტში ორ სხვადასხვა ოთახში („ა" კორპუსი, ოთახი 304, საქართველოს კონსტიტუციის დარბაზი და „ა"კორპუსი, ოთახი 307, ჟიული შარტავას სახელობის დარბაზი). ასევე გადაწყდა, რომ „ა" კორპუსში, ოთახი 304-ში მთვლელების - მარინე გვრიტიშვილის, რეომირი ჭითანავას, ლია გაბაშვილის, მაია მაისურაძეს, ნატალია შარიქაძეს, ანა ონიანის მონაწილეობით გადათვლის პროცესზე ზედამხედველობასა და მეთვალყურეობას განახორციელებდნენ საგამოძიებო კომისიის მდივანი დავით ზილფიმიანი და წევრი ალუდა ღუდუშაური; ხოლო „ა" კორპუსში, ოთახი 307-ში, მთვლელების - ნინო ჯოხაძეს, მაია მუჩიაშვილი-ლაზარტყავას, ნანა სურგულაძეს, ნინო ამირანაშვილის, ნელი ბანეთაშვილის, მარინე ჭოღოშვილის მონაწილეობით გადათვლის პროცესზე ზედამხედველობასა და მეთვალყურეობას განახორციელებდნენ საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე გივი მიქანაძე და წევრი ფრიდონ ინჯია.

2021 წლის 01 ივნისს ცესკოსთვის გაგზავნილი წერილის საფუძველზე[53], 2021 წლის 03-04 ივნისს ცესკომ საგამოძიებო კომისიას გადასცა მოთხოვნილი საარჩევნო უბნების საარჩევნო დოკუმენტაცია. კერძოდ, საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა ერთიანი, სპეციალური და გადასატანი ყუთის სიები, ჩანაწერთა წიგნები, ნამდვილი და ბათილი ბიულეტენები, რომელიც მოთავსებული იყო სპეციალურად დალუქულ პაკეტებში. მეტი გამჭირვალობის უზრუნველყოფის მიზნით საგამოძიებო კომისია საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას და ბიულეტენების გადასათვლელად გამოყოფილ ოთახებში განთავსებას, ახორციელებდა უწყვეტი ვიდეო გადაღებით. თითოეული დღის შემთხვევაში, საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებისა და ბიულეტენების გადასათვლელად გამოყოფილ ოთახებში განთავსების ამსახველი ვიდეო ჩანაწერი (პარლამენტის შემოსასვლელიდან გადათვლის ოთახებამდე დალუქული ფუთების ამსახველი ვიდეოჩანაწერი) აიტვირთა საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, დროებითი საგამოძიებო კომისიისათვის გამოყოფილ ფანჯარაში. „ა" კორპუსის 307 და 304 ოთახების უწყვეტი ტელეტრანსლირება განხორციელდა 2021 წლის 03 ივნისის 10:00 საათიდან 2021 წლის 04 ივნისის 20:00 საათამდე, რისი ჩანაწერიც ასევე აიტვირთა პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე სპეციალური დაცვის სახელმწიფო სამსახურის მიერ 2021 წლის 03-04 ივნისს ორივე გადასათვლელ ოთახთან განთავსდა დამატებითი დაცვის პოსტები, რომლებიც უწყვეტ 24 (ოცდაოთხი) საათიან რეჟიმში უზრუნველყოფდნენ გადასათვლელი ოთახების დაცვას და იქ მხოლოდ კომისიის წევრთა, აპარატის, პარლამენტის მანდატურის სამსახურის, „ა" კორპუსის კომენდანტების, გახმოვანებაზე და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე

---

[52] იხ. დროებითი საგამოძიებოს კომისიის სხდომის ოქმი №5 (02.06.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

[53] იხ.დროებითი საგამოძიებოს კომისიის წერილი №5245/3-74/21 (01.02.2021) https://parliament.ge/parliament/commissions/52521/deputies

პასუხისმგებელი თანამშრომლებისა და მედიის წარმომადგენელთა დაშვებას. აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით 03 ივნისს განხორციელდა თბილისის შერჩეული 10 (ათი) საარჩევნო უბნის დალუქული მასალების მოწოდება ცესკოს მხრიდან, რომელთაგან 5 (ხუთი) გადათვლილი იქნა ერთ, ხოლო 5 (ხუთი) მეორე ოთახში და გადათვლის დასრულებისთანავე, იმავე დღეს განხორციელდა დალუქული მასალების უკან დაბრუნება ცესკოს წარმომადგენლებისთვის. ანალოგიური პროცესი განხორციელდა 04 ივნის 4 (ოთხი) რეგიონის 10 (ათი) საარჩევნო უბნის გადათვლისას. შესაბამისად, გადათვლის მთელი პროცესის მანძილზე შერჩეული საარჩევნო უბნების მასალები წინსწრებით არ მოტანილა და არ ყოფილა დატოვებული პარლამენტის შენობაში. ამასთანავე, გადათვლის პროცესში შესვენების გამოცხადებისას პროფესიონალი მთვლელები კომისიის და აპარატის წევრები, აგრეთვე ყველა ის პირი ვინც უფლებამოსილი იყო ყოფილიყო გადათვლის ოთახში, ტოვებდა ოთახს, ხდებოდა ოთახის დალუქვა სპეციალური დაცვის თანამშრომლის მიერ, რის თაობაზეც კეთდებოდა შესაბამისი აღნიშვნა და საგამოძიებო კომისიის ერთ-ერთი წევრის ხელმოწერა სპეციალურ სააღრიცხვო ჟურნალში.

საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლისა და საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემების შემოწმების ინსტრუქციის თანახმად, 2021 წლის 03-04 ივნისს მთვლელებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლებთან ერთად ასევე გადაეცათ შესაბამისი საარჩევნო უბნის (იხ. ცხრილი №10 და ცხრილი №11) ცესკოს მიერ დალუქულ პაკეტში მოთავსებული საარჩევნო დოკუმენტაცია:

- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი;
- ამომრჩეველთა ერთიანი, სპეციალური და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები;
- ბათილი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტი;
- ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტები (საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები/საარჩევნო ბიულეტენები).

**ცხრილი №10. 03.06.2021-ში გადათვლილი უბნების ჩამონათვალი**

| ოთახი 304 | ოთახი 307 |
|---|---|
| კრწანისი 01.04.17 | მთაწმინდა 01.01.12 |
| ვაკე 02.02.41 | საბურთალო 03.03.77 |
| საბურთალო 03.03.41 | სამგორი 05.06.92 |
| საბურთალო 03.03.81 | ჩუღურეთი 06.07.13 |
| ნაძალადევი 07.09.98 | ნაძალადევი 07.09.66 |

**ცხრილი №11. 04.06.2021-ში გადათვლილი უბნების ჩამონათვალი**

| ოთახი 304 | ოთახი 307 |
|---|---|
| მარნეული 13.22.69 | გურჯაანი 09.12.02 |
| მარნეული 13.22.89 | გურჯაანი 09.12.03 |
| ქუთაისი 23.59.85 | ქუთაისი 23.59.118 |
| ქუთაისი 23.59.98 | ბათუმი 28.79.12 |
| ბათუმი 28.79.63 | ბათუმი 28.79.33 |

შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის და საარჩევნო დოკუმენტაციის გარდა, აპარატის თანამშრომლებმა მთვლელებს ასევე გადასცეს, კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული ხელახალი დათვლის შედეგების ოქმები (დანართი №6). ხელახალი დათვლის შედეგების ოქმის შესაბამის გრაფაში, მთვლელებს უნდა აესახათ შემდეგი მონაცემები: კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების საერთო რაოდენობა, თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების ჯამი, ბათილი ბიულეტენების რაოდენობა, შენიშვნისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყოფილი შესაბამის გრაფა.

დოკუმენტაციის გადაცემის შემდეგ მთვლელები შეუდგნენ ინსტრუქციით გაწერილი პროცედურის განხორციელებას. კერძოდ, მთვლელებმა დათვლის პროცესი დაიწყეს ამომრჩეველთა ერთიან სიაში (ე.წ. სამაგიდო სია), სპეციალურ სიაში და გადასატანი ყუთის სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების დათვლით. კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერის დათვლის შედეგები მთვლელებმა ასახეს კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების გადათვლის ოქმში.

კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობის დათვლის შემდეგ, მთვლელებმა შეამოწმეს საარჩევნო სუბიექტებისთვის მიღებული ხმების/საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობა, ხოლო შემოწმების შემდგომ მათი დათვლა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე მონაწილე თითოეული სუბიექტის მიერ მიღებული ხმების მიხედვით. ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების დახარისხებისა და დათვლის შემდგომ, მთვლელებმა შეამოწმეს ბათილი საარჩევნო ბიულეტენების ბათილად ჩათვლის სისწორე და მოახდინეს ასვე მათი გადათვლა. ბიულეტენების შემოწმებისა და გადათვლის შემდეგ, როგორც საარჩევნო სუბიექტების მიღებული ხმები, ასევე ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა, მთვლელებმა ასახეს ხელახალი გადათვლის შედეგების ოქმში. ოქმის სრულად შევსების შემდგომ, მთვლელებმა დააფიქსირეს მისი შედგენის თარიღი და დრო და მოაწერეს ხელი. შედგენილი ოქმები საარჩევნო ბიულეტენების ხელახალი დათვლის დღესვე განთავსდა საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, საგამოძიებო კომისიისათვის გამოყოფილ შესაბამის განყოფილებაში.

თითოეული უბნის შედეგების ხელახლა დათვლას მთვლელები ამთავრებდნენ საარჩევნო დოკუმენტაციის სპეციალურ პაკეტში მოთავსებითა და დალუქვით. ყოველი გადათვლილი საარჩევნო უბნის მონაცემები მყისიერად ისახებოდა აპარატის თანამშრომლის მიერ თითოეულ ოთახში განთავსებულ დიდი ეკრანზე, რაც შესაძლებელს ხდიდა დამსწრე მედია საშუალებებისა და დაინტერესებული პირებისათვის ამ ინფორმაციაზე სწრაფ და იოლ წვდომას.

### 3. შერჩეული მეთოდოლოგიით მიღებული შედეგების ანალიზი

საგამოძიებო კომისიის მიერ საარჩევნო უბნების ხელახალი დათვლის შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებში დაფიქსირებული დისბალანსი გამოწვეული იყო ძირითადად სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის ხარვეზით. თუმცა ტექნიკური ხასიათის ხარვეზებთან ერთად ასევე გამოიკვეთა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის ფაქტები. ძირითადად ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრს საარჩევნო ბიულეტენზე ბეჭდის დარტყმა ან/და ხელმოწერა გამორჩა; ერთეულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა სიაში რეგისტრატორი კომისიის წევრის ხელმოწერის გამორჩენის ფაქტს, ისევე როგორც რიგ შემთხვევებში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების არასწორად

დათვლას, რომელთაც (საგამოძიებო კომისიის გადათვლის შედეგებს) არსებითი გავლენა არ მოუხდენია არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

გადათვლის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა ბიულეტენების ნამდვილობის შემოწმების საკითხი, გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობა/ბათილობა პირდაპირ კავშირშია არჩევნების შედეგებთან. საგამოძიებო კომისიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად განისაზღვრა დეტალურად შემოწმებულიყო თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ნამდვილობის საკითხი. შესაბამისად, საგამოძიებო კომისიამ შეაჯამა გადათვლის შედეგები თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების ნაწილში და მიღებული შედეგები შეადარა ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ საბოლოო მონაცემებს საგამოძიებო კომისიის მიერ შერჩეულ 20 (ოცი) პრობლემურ (დისბალანსიან) საარჩევნო უბანში. აღნიშნული შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ გადათვლის შედეგად, საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ ოქმში მოყვანილმა მონაცემებმა არსებითი ცვლილება არ განიცადა, რომელმაც თავის მხრივ გავლენა არ იქონია არჩევნების საბოლოო შედეგებზე (იხ. ცხრილი №12)

**ცხრილი №12. საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების შედეგების შედარება საგამოძიებო კომისიის გადათვლის ოქმების შედეგებთან**

| N | | მონაცემები შემაჯამებელი ოქმების შესაბამისად | მონაცემები გადათვლის ოქმების შესაბამისად | პროცენტული სხვაობა |
|---|---|---|---|---|
| | **პარტიები** | სუბიექტების მიღებული % | სუბიექტების მიღებული % | |
| | **ნამდვილი ბიულეტენები** | **13920 (100%)** | **13923 (100%)** | |
| 1 | (პარტია) „თეთრები" | 0.17 | 0.17 | 0 |
| 2 | „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის" | 3.44 | 3.44 | 0 |
| 3 | ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | 0.87 | 0.89 | 0.02 |
| 4 | „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ" | 0.47 | 0.48 | 0.01 |
| 5 | ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია" | 26.36 | 26.35 | -0.01 |
| 6 | „მომავალი საქართველო" | 0.11 | 0.07 | -0.04 |
| 7 | „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის" | 0.14 | 0.09 | -0.05 |
| 8 | "დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" | 2.73 | 2.73 | 0 |
| 9 | „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია" | 0.1 | 0.1 | 0 |
| 10 | „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია" | 0.91 | 0.91 | 0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 | „მშრომელთა სოციალისტური პარტია“ | 0.02 | 0.02 | 0 |
| 12 | „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის” | 0.12 | 0.12 | 0 |
| 13 | „რეფორმერი“ | 0.13 | 0.13 | 0 |
| 14 | „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“ | 0.15 | 0.15 | 0 |
| 16 | „ახალი ქრისტიან-დემოკრატები” | 0.02 | 0.02 | 0 |
| 17 | „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“ | 0.17 | 0.17 | 0 |
| 18 | „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ | 0.05 | 0.04 | -0.01 |
| 19 | მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“ | 0.53 | 0.53 | 0 |
| 20 | „საქართველო“ | 0.04 | 0.04 | 0 |
| 21 | „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“ | 0.42 | 0.4 | -0.02 |
| 23 | „ახალი ძალა“ | 0.08 | 0.08 | 0 |
| 24 | „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ | 1.94 | 2.06 | 0.12 |
| 25 | „თავისუფალი დემოკრატები“ | 0.15 | 0.15 | 0 |
| 26 | ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“ | 0.14 | 0.14 | 0 |
| 27 | ბლოკი „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი” | 5.23 | 5.22 | -0.01 |
| 28 | „ქართული ფესვები” | 0.06 | 0.06 | 0 |
| 30 | „შეცვალე საქართველო” | 0.03 | 0.03 | 0 |
| 31 | თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა | 0.07 | 0.07 | 0 |
| 32 | „სახალხო პარტია“ | 0.08 | 0.08 | 0 |
| 33 | „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“ | 0.01 | 0.01 | 0 |
| 34 | „სოციალური სამართლიანობისათვის“ | 0.11 | 0.11 | 0 |
| 36 | „გირჩი“ | 5.27 | 5.2 | -0.07 |
| 41 | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 42.66 | 42.73 | 0.07 |
| 42 | რეფორმატორები | 0.06 | 0.06 | 0 |
| 43 | „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) | 0.05 | 0.05 | 0 |
| 44 | „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“ | 0.56 | 0.55 | -0.01 |
| 45 | „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“ | 0.19 | 0.22 | 0.03 |
| 46 | „გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“ | 0.45 | 0.45 | 0 |
| 47 | „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია” | 0.15 | 0.16 | 0.01 |
| 48 | „არჩევანი სამშობლოსათვის“ | 0.01 | 0.01 | 0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 49 | „ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი” | 0.09 | 0.09 | 0 |
| 50 | „პროგრესული საქართველო“ | 0.01 | 0.01 | 0 |
| 51 | „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა” | 0.17 | 0.17 | 0 |
| 52 | „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი“ | 0.1 | 0.1 | 0 |
| 53 | „ტრადიციონალისტები“ | 0.04 | 0.04 | 0 |
| 54 | „ანა რეხვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“ | 0.02 | 0.01 | -0.01 |
| 55 | „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“ | 0.31 | 0.31 | 0 |
| 56 | „ლელო - მამუკა ხაზარაძე“ | 4.64 | 4.63 | -0.01 |
| 57 | მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“ | 0.02 | 0.02 | 0 |
| 60 | „საქართველოს განვითარების პარტია“ | 0.09 | 0.07 | -0.02 |

საგამოძიებო კომისიის მდივნის დავით ზილფიმიანის მიერ შემოთავაზებული დამატებითი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლითაც მოხდა ცესკოს შემაჯამებელი ოქმის მონაცემებიდან საგამოძიებო კომისიის მიერ პირველადი მეთოდოლოგიით ინდენტიფიცირებული ყველაზე პრობლემატური (დისბალანსიანი) საარჩევნო უბნების მონაცემების გამოკლება, დადგინდა, რომ განსხვავება მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ორ მონაცემს შორის რიგ შემთხვევებში საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებაში არ შეცვლილა, ხოლო რიგ შემთხვევებში შეიცვალა უმნიშვნელოდ მეასედებით (იხ.ცხრილი **№**13).

## ცხრილი №13

| სუბიექტების დასახელება | შემაჯამებელი | | 38 უბნის გარეშე | | სხვაობა | პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 (პარტია) „თეთრები” | 2 103 | 0.11% | 2 070 | 0.11% | 33 | 0 |
| 2 „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ | 72 986 | 3.79% | 72 163 | 3.80% | 823 | 0.01% |
| 3 ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | 16 286 | 0.85% | 16 048 | 0.85% | 238 | 0 |
| 4 „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ” | 9 896 | 0.51% | 9 777 | 0.52% | 119 | 0.01% |
| 5 ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია” | 523 127 | 27.18% | 516 466 | 27.20% | 6 661 | 0.02% |
| 6 „მომავალი საქართველო” | 2 206 | 0.11% | 2 182 | 0.11% | 24 | 0 |
| 7 „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ | 2 728 | 0.14% | 2 704 | 0.14% | 24 | 0 |
| 8 „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” | 60 480 | 3.14% | 59 753 | 3.15% | 727 | 0.01% |
| 9 „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“ | 1 305 | 0.07% | 1 273 | 0.07% | 32 | 0 |
| 10 „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ | 19 314 | 1.00% | 19 082 | 1.01% | 232 | 0.01% |
| 11 „მშრომელთა სოციალისტური პარტია“ | 610 | 0.03% | 604 | 0.03% | 6 | 0 |
| 12 „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის” | 739 | 0.04% | 720 | 0.04% | 19 | 0 |
| 13 „რეფორმერი“ | 2 063 | 0.11% | 2 030 | 0.11% | 33 | 0 |
| 14 „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“ | 2 165 | 0.11% | 2 136 | 0.11% | 29 | 0 |
| 16 „ახალი ქრისტიან-დემოკრატები” | 460 | 0.02% | 455 | 0.02% | 5 | 0 |
| 17 „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“ | 3 750 | 0.19% | 3 703 | 0.20% | 47 | 0.01% |
| 18 „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ | 1 048 | 0.05% | 1 035 | 0.05% | 13 | 0 |
| 19 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“ | 8 335 | 0.43% | 8 185 | 0.43% | 150 | 0 |
| 20 „საქართველო“ | 1 189 | 0.06% | 1 177 | 0.06% | 12 | 0 |
| 21 „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“ | 6 393 | 0.33% | 6 294 | 0.33% | 99 | 0 |
| 23 „ახალი ძალა“ | 1 458 | 0.08% | 1 438 | 0.08% | 20 | 0 |
| 24 „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ | 25 508 | 1.33% | 24 955 | 1.31% | 553 | -0.02% |
| 25 „თავისუფალი დემოკრატები“ | 5 188 | 0.27% | 5 143 | 0.27% | 45 | 0 |
| 26 ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“ | 1 979 | 0.10% | 1 950 | 0.10% | 29 | 0 |
| 27 ბლოკი „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი” | 60 671 | 3.15% | 59 573 | 3.14% | 1 098 | -0.01% |
| 28 „ქართული ფესვები” | 1 914 | 0.10% | 1 902 | 0.10% | 12 | 0 |
| 30 „შეცვალე საქართველო” | 1 292 | 0.07% | 1 282 | 0.07% | 10 | 0 |
| 31 თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა | 2 841 | 0.15% | 2 819 | 0.15% | 22 | 0 |
| 32 „სახალხო პარტია“ | 1 005 | 0.05% | 986 | 0.05% | 19 | 0 |
| 33 „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“ | 421 | 0.02% | 416 | 0.02% | 5 | 0 |
| 34 „სოციალური სამართლიანობისათვის“ | 2 885 | 0.15% | 2 853 | 0.15% | 32 | 0 |
| 36 „გირჩი“ | 55 598 | 2.89% | 54 294 | 2.86% | 1 304 | -0.03% |
| 41 ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | 928 004 | 48.22% | 916 409 | 48.27% | 11 595 | 0.05% |
| 42 რეფორმატორები | 1 658 | 0.09% | 1 637 | 0.09% | 21 | 0 |
| 43 „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) | 1 563 | 0.08% | 1 544 | 0.08% | 19 | 0 |
| 44 „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“ | 8 263 | 0.43% | 8 125 | 0.43% | 138 | 0 |
| 45 „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“ | 4 850 | 0.25% | 4 800 | 0.25% | 50 | 0 |
| 46 „გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“ | 4 413 | 0.23% | 4 311 | 0.23% | 102 | 0 |
| 47 „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია” | 3 124 | 0.16% | 3 081 | 0.16% | 43 | 0 |
| 48 „არჩევანი სამშობლოსათვის“ | 536 | 0.03% | 531 | 0.03% | 5 | 0 |
| 49 „ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი” | 982 | 0.05% | 964 | 0.05% | 18 | 0 |
| 50 „პროგრესული საქართველო“ | 980 | 0.05% | 962 | 0.05% | 18 | 0 |
| 51 „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა” | 3 245 | 0.17% | 3 198 | 0.17% | 47 | 0 |
| 52 „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი“ | 424 | 0.02% | 387 | 0.02% | 37 | 0 |
| 53 „ტრადიციონალისტები“ | 479 | 0.02% | 466 | 0.02% | 13 | 0 |
| 54 „ანა რეხვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“ | 334 | 0.02% | 326 | 0.02% | 8 | 0 |
| 55 „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“ | 4 753 | 0.25% | 4 665 | 0.25% | 88 | 0 |
| 56 „ლელო - მამუკა ხაზარაძე“ | 60 712 | 3.15% | 59 473 | 3.13% | 1 239 | -0.02% |
| 57 მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“ | 583 | 0.03% | 575 | 0.03% | 8 | 0 |
| 60 „საქართველოს განვითარების პარტია“ | 1 549 | 0.08% | 1 515 | 0.08% | 34 | 0 |
| | **1 924 395** | | **1 898 437** | | **25 958** | |

| | |
|---|---|
| (ყვითელი) | % - გაიზარდა |
| (ლურჯი) | % - შემცირდა |

## საგამოძიებო კომისიის მიერ მოწვეულ პირთა ახსნა-განმარტების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი

საგამოძიებო კომისიის მიერ პრობლემატური (დისბალანსიანი) საარჩევნო უბნების გადათვლის საფუძველზე გამოვლენილი ტექნიკური ხასიათის ხარვეზებიდან გამომდინარე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე კონკრეტული საარჩევნო უბნის რეგისტრატორი კომისიის წევრების, კომისიის მდივნის, კომისიის თავმჯდომარისა და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების მოწვევისა და მათგან ახსნა-განმარტების მიღების თაობაზე. გადაწყვეტილების მიღებისას აქცენტი გაკეთდა გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების დამშვებ თანამდებობის პირთა მოწვევაზე და არა მათ გამორჩევაზე, დამნიშნავი/ამრჩევი სუბიექტების მიხედვით. მსჯელობის შედეგად საგამოძიებო კომისიამ გამოავლინა 4 (ოთხი) საარჩევნო უბანი, სადაც ფიქსირდებოდა სხვადასხვა ხასიათის ტექნიკური ხარვეზები და დაადგინა მოწვევის რიგითობა თითოეული საარჩევნო ოლქისა და შესაბამისი საარჩევნო უბნის კომისიის წევრებთან მიმართებაში შემდეგი თანმიმდევრობით: რეგისტრატორი კომისიის წევრები, კომისიის მდივანი, კომისიის თავმჯდომარე და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

საგამოძიებო კომისიის გადაწყვეტილებით ლოგიკურ გაგრძელებად იქნა მიჩნეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან გასაუბრების შემდეგ ახსნა განმარტების მიღება იმ 4 (ოთხი) არასამთავრობო ორგანიზაციის („საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“ და საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“) წარმომადგენლებისგან, რომელთაც განახორციელეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სადამკვირვებლო მისია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე და რომელთა დაწერილი საჩივრები გამოყენებულ იქნა საგამოძიებო კომისიის მიერ გადასათვლელი უბნების შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმად.

საგამოძიებო კომისიამ გასაუბრების შემდეგ ეტაპად განსაზღვრა ცესკოს თავმჯდომარისგან ახსნა-განმარტების მიღების აუცილებლობა.

საგამოძიებო კომისიამ გაითვალისწინა რა წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების დღეს მომხდარი სამართალდარღვევების გამოძიების მნიშვნელობა, საგამოძიებო კომისიისათვის პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული მანდატიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლების მოწვევისა და მათგან ახსნა-განმარტების მიღების თაობაზე, იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლის გამოძიება უშუალოდ პროკურატურის კომპეტენციას განეკუთვნება, აგრეთვე პროკურატურის ზედამხედველობით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით.

საგამოძიებო კომისიამ ზემოთ ჩამოთვლილი სქემის თანახმად 4 (ოთხი) სრული სამუშაო დღის განმავლობაში განახორციელა 38 (ოცდათვრამეტი) პირისგან ახსნა-განმარტების მიღება, მათ შორის 2 (ორი) პირისგან დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით, ხოლო 36 (ოცდათექვსმეტი) პირისგან უშუალო შეხვედრის ფორმატში. გამოკითხულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის სულ 24 (ოცდაოთხი) წევრიდან 6 (ექვსი) „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“, 2 (ორი) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, 1 (ერთი) „ევროპული

საქართველოს“ დანიშნული იყო, ხოლო 15 (თხუთმეტი) კონკურსის წესით არჩეული, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

## 1. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან მიღებული ახსნა-განმარტების შედეგების ანალიზი

### 1.1 №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 02.02.41 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებები

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 14 ივნისს გამართულ სხდომაზე მოიწვია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამაზ ფოლადაშვილი და 02.02.41 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები - მამუკა გელიაშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ასმათ კვეტენაძე (კომისიის მდივანი), ანი ბექაური (რეგისტრატორი), ლიანა ბარამიძე (რეგისტრატორი), ეკა ზენდელიანი (რეგისტრატორი). საგამოძიებო კომისიის წევრებმა დასმული შეკითხვების საფუძველზე, ხსენებული პირებისგან მიიღეს შესაბამისი ახსნა-განმარტებები.

მიღებული ახსნა-განმარტებების საფუძველზე საგამოძიებო კომისიამ დაადგინა:

ვაკის 02.02.41 საარჩევნო უბანზე 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღეს ადგილი ჰქონდა ხარვეზს. საგამოძიებო კომისიისათვის მოწოდებული ინფორმაციით გამოიკვეთა, რომ ზემოხსენებულ საარჩევნო უბანზე კომისიის ზოგიერთი წევრი გულგრილად მოქმედებდა და პირნათლად არ ასრულებდა საარჩევნო კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობებს. კერძოდ, დადგინდა, რომ გადასატან საარჩევნო ყუთის სიაში დაფიქსირებული იყო 19 (ცხრამეტი) ამომრჩეველი. გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის წევრებს, საარჩევნო უბნიდან გასვლამდე რეგისტრატორმა კომისიის წევრმა, ანა ბექაურმა გადასცა 20 (ოცი) ცალი საარჩევნო ბიულეტენი, რომლებზეც არ განუხორციელებია ხელმოწერა და ბეჭდის დასმა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გადასატანი ყუთის საარჩევნო უბნიდან გაშვებამდე, განახორციელა საარჩევნო ბიულეტენების გადათვლა, მაგრამ არ შეუმოწმებია ბიულეტენების უკანა მხარეს რეგისტრატორი კომისიის წევრის მიერ იყო თუ არა გაკეთებული ხელმოწერა და დასმული ბეჭედი. გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბანზე დაბრუნებისას, საუბნო საარჩევნო კომისიამ დააფიქსირა, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში მითითებული იყო 18 (თვრამეტი) ამომრჩევლის ხელმოწერა, ხოლო ერთი ამომრჩევლის ხელმოწერის ნაკლებობა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ გადასატანი საარჩევნო ყუთის ამომრჩევლის მისამართზე მიტანისას, ამომრჩეველი არ იმყოფებოდა მითითებულ მისამართზე. აქედან გამომდინარე დადგინდა, რომ ვაკის 02.02.41 საარჩევნო უბანზე, გადასატანი ყუთის მეშვეობით, სიაში დაფიქსირებული 19 (ცხრამეტი) ამომრჩევლიდან, 18-მა (თვრამეტი) ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა.

საგამოძიებო კომისიამ, სხდომაზე მიღებული ახსნა-განმარტებებიდან დაადგინა, რომ ვაკის 02.02.41 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა, საარჩევნო ყუთის დაბრუნებისას აღმოაჩინეს, რომ გამოუყენებელ 2 (ორი) ბიულეტენზე არ იყო არც რეგისტრატორის ბეჭედი და არც ხელმოწერა. შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიამ, №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან კონსულტაციისა და მითითების საფუძველზე, არ გახსნა გადასატანი საარჩევნო ყუთი და გაუგზავნა შემდგომი რეაგირების მიზნით ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მოწვეულმა საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრმა დაადასტურა, რომ რეგისტრატორ კომისიის წევრ ანა ბექაურს გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრებისათვის ბიულეტენების გადაცემისას გამორჩა ბიულეტენების რეგისტრატორის ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმება.

საგამოძიებო კომისიისათვის ვაკის 02.02.41 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიცემული ახსნა-განმარტების საფუძველზე დადგინდა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიამ ბიულეტენებზე ხელმოწერისა და რეგისტრატორის ბეჭდის არარსებობის შესახებ შეიტყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადასატანი ყუთის წამღებმა კომისიის წევრებმა გადასატანი ყუთი დააბრუნეს საარჩევნო უბანზე, რასაც შედეგად მოჰყვა, გადასატანი საარჩევნო ყუთის დალუქვა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გაგზავნა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით ასევე გაირკვა, რომ ხსენებული სადავო შემთხვევის დაფიქსირების შემდგომ, №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან მიიღო მითითება, რომ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას, კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაში არ გაეთვალისწინებინათ არც გადასატანი ყუთის სიაში არსებული ამომრჩევლების ხელმოწერები და არც გადასატან ყუთში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა. თუმცა, საუბნო საარჩევნო კომისიამ, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული ხელმოწერების რაოდენობა მაინც ასახა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩევლების საერთო რაოდენობაში, რამაც გამოიწვია შემაჯამებელ ოქმში არსებული დისბალანსი 18 (თვრამეტი) საარჩევნო ბიულეტენების ნაკლებობით.

№02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საგამოძიებო კომისიისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნა არ ირღვევა, როდესაც შემაჯამებელ ოქმში დისბალანსი გამოწვეულია ბიულეტენების ნაკლებობით და აქედან გამომდინარე საოლქო საარჩევნო კომისიამ არ ჩათვალა საჭიროდ, რომ დაეკორექტირებინა საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმის შედგენისას მასში ასახულ მონაცემებს დაეთანხმა და ხელი მოაწერა კომისიის ყველა წევრმა. მისი განმარტებით, საოლქო საარჩევნო კომისიას ხსენებული ხარვეზის გამო მიმართეს საჩივრებით, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საგამოძიებო კომისიის სხდომაზე დაადასტურა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა საარჩევნო სუბიექტების საჩივრები, რომლითაც ითხოვდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას და შესაბამისად საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმით მიეცა შენიშვნა. რაც შეეხება რეგისტრატორი კომისიის წევრის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს, რომლის შეცდომითაც საარჩევნო ბიულეტენებზე არ მოხდა ხელმოწერისა და ბეჭდის დასმა, მისი საკითხი ასევე განიხილა №02 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიამ და ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა არ დაეკისრებინა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, ვაკის 02.02.41 საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა მოწვეულმა წევრმა დაადასტურა, რომ საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღეს, ხსენებულ საარჩევნო უბანზე ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის უხეშ დარღვევას, არჩევნების გაყალბებასა და მანიპულაციას და ამომრჩევლების მიერ გამოხატული ნება პირდაპირ ასახავდა საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირებულ მონაცემებს.

## 1.2 №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 09.12.03 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებები

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 17 ივნისს გამართულ სხდომაზე მოიწვია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მაია ჩუთლაშვილი და 09.12.03 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები - გულნარა ქოროღლიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), ნათია ქიტიაშვილი (კომისიის მდივანი), სალომე სონღულაშვილი (რეგისტრატორი), როინი ჭიღოლაშვილი (რეგისტრატორი), ირინე გუგულაშვილი (რეგისტრატორი), ნუნუ ჯოხაძე (რეგისტრატორი). საგამოძიებო კომისიის წევრებმა დასმული შეკითხვების შესაბამისად, ხსენებული პირებისგან მიიღეს ახსნა-განმარტებები, რის საფუძველზეც დადგინდა:

გურჯაანის 09.12.03 საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორი წევრის ნუნუ ჯოხაძის მიერ საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტების საფუძველზე 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, ხსენებულ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესმა მშვიდ გარემოში ჩაიარა და კენჭისყრის დღეს ადგილი არ ჰქონია ძალადობისა და არაუფლებომისილი პირების კენჭისყრის შენობაში ყოფნის ფაქტებს. მისივე ინფორმაციით, კენჭისყრის დღის საღამოს სტრესული სიტუაციიდან, დაღლილობიდან და პანდემიით შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე გადააყოლა ამომრჩეველს 3 (სამი) ბიულეტენი, რასთან დაკავშირებითაც დაწერა შესაბამისი ახსნა-განმარტება. საუბნო საარჩევნო კომისიის სხვა წევრებმა დაადასტურეს აღნიშნული ფაქტი და ასევე ის გარემოება, რომ საარჩევნო ყუთის გახსნის შემდეგ აღმოჩენილ იქნა გადაყოლილი ბიულეტენები და ისინი აღირიცხა, როგორც ბათილი ბიულეტენები.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა, ისევე როგორც სხვა რეგისტრატორმა კომისიის წევრებმა, საგამოძიებო კომისიას დაუდასტურა, რომ არჩევნების დღემ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა და ადგილი არ ჰქონია რაიმე ისეთი სახის ინციდენტს, რომელსაც შეეძლო უარყოფითი გავლენა მოეხდინა საარჩევნო პროცესზე და შედეგებზე. მისივე განმარტებით, ის რომ შემაჯამებელ ოქმში პოლიტიკური სუბიექტების გასწვრივ, რომელთაც ვერცერთი ხმა მიიღეს, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს არ ჰქონდა შესაბამისი გრაფები შევსებული „X“ ნიშნით, არ მოდის წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, თუმცა დათანხმდა, რომ ცარიელი გრაფების დატოვება შემაჯამებელ ოქმში დამატებითი ციფრების ჩაწერის თეორიულ რისკებს უშვებს.

საგამოძიებო კომისიამ გურჯაანის 09.12.03 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ახსნა-განმარტებებით დაადგინა, რომ შემაჯამებელ ოქმში ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის (№7 - „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“) მექანიკური შეცდომით დაფიქსირებული 7 (შვიდი) ხმის შესახებ, კომისიის წევრებსა და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ინფორმაცია არ გააჩნდათ. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, იმ შემთხვევაში თუ მას ხსენებულის შესახებ ინფორმაცია ექნებოდა, იგი საოლქო საარჩევნო კომისიის წინაშე დააყენებდა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

### 1.3 №09 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 07.09.66 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებები

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 17 ივნისს გამართულ სხდომაზე მოიწვია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე N09 ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ოთარ ბიწაძე,[54] 07.09.66 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები - ნანული თედელური (კომისიის თავმჯდომარე), მარინა სარდლიშვილი (კომისიის მდივანი), ლამარა სიდამონიძე (რეგისტრატორი), ირინე მაისურაძე (რეგისტრატორი), მზია სამხარაძე (რეგისტრატორი), ხატია ენუქიძე (რეგისტრატორი), მადონა გურგენიძე (რეგისტრატორი), მარინა ილაშვილი (რეგისტრატორი). საგამოძიებო კომისიის წევრებმა დასმული შეკითხვების შესაბამისად, ხსენებული პირებისგან მიიღეს შესაბამისი ახსნა-განმარტებები.

ახსნა-განმარტების მიღების შემდეგ საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ:

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ხსენებულ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის დღემ მშვიდ გარემოში ჩაიარა. მიუხედავად აღნიშნულისა, საგამოძიებო კომისიის წევრების მიერ განხორციელებული გადათვლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ პროპორციული 38 (ოცდათვრამეტი) ბათილი ბიულეტენიდან ნახევარი, 19 (ცხრამეტი) ბიულეტენი ამომრჩევლის მიერ ნების სწორ გამოხატულებას აფიქსირებდა, მაგრამ იმის გამო, რომ მათ აკლდათ რეგისტრატორი კომისიის წევრის ხელმოწერა ან/და ბეჭედი, ეს ბიულეტენები საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ბათილად იქნა ცნობილი.

რეგისტრატორი კომისიის წევრების მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებებით გამოიკვეთა, რომ გადათვლის პროცესში ბიულეტენების ბათილად ჩათვლის შემთხვევები, რეგისტრატორის ბეჭდის ან/და ხელმოწერის არ ქონის საფუძვლით, შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო მათი უყურადღებობით, ვინაიდან პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული კოვიდრეგულაციებისა და საარჩევნო უბანზე მოსული დიდი რაოდენობის ამომრჩეველთა გავლენით, საარჩევნო უბანზე შექმნილი იყო სტრესული სიტუაცია, რაც მათი მხრიდან გარკვეული შეცდომების დაშვების საფუძველი გახდა.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის განმარტებით, მის მიერ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას დაფიქსირდა 1 (ერთი) ბიულეტენით მეტობა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე. აღნიშნული გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ამომრჩეველთა სიაში, კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა შესაბამის გრაფაში რეგისტრატორის ხელმოწერა იყო გამორჩენილი 1 (ერთი) შემთხვევაში ამომრჩევლის ხელმოწერის გასწვრივ. აგრეთვე, ერთ-ერთი რეგისტრატორის მიერ შეცდომით მოხდა 1 (ერთი) ბიულეტენის ამომრჩევლისთვის გადაყოლება. კომისიის მდივნის ინფორმაციით, ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწერა შესაბამისი ახსნა-განმარტება, რომელიც აისახა ასევე სარეგისტრაციო ჟურნალში. რაც შეეხება შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირებულ დისბალანს, მისი განმარტებით მექანიკური შეცდომიდან გამომდინარე შემაჯამებელი ოქმის შევსებისას არ იქნა გათვალისწინებული ახსნა-განმარტება, რამაც საბოლოო ჯამში შემაჯამებელ ოქმში დისბალანსის არსებობა გამოიწვია.

[54] ამჟამად ოთარ ბიწაძეს აღარ უკავია ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოზიცია, მაგრამ მისი მოწვევის საჭიროება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე იკავებდა ნაძალადევის №09 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოზიციას.

### 1.4 №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 13.22.89 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებები

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 18 ივნისს გამართულ სხდომაზე მოიწვია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ანა ილურიძე და 13.22.89 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები - მაია განჯაევა (კომისიის თავმჯდომარე), ლაშა ჩხიტუნიძე (კომისიის მდივანი), ილხამ ისმაილოვი (რეგისტრატორი), ნაილა ბაირამოვა (რეგისტრატორი), ასლიდარ გუმბათოვი (რეგისტრატორი). საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ნაწილთან კომუნიკაცია შედგა თარჯიმნის ჩართულობით.

ახსნა-განმარტების მიღების საფუძველზე საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ:

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორმა წევრმა, ილხამ ისმაილოვმა საარჩევნო უბანი დატოვა მანამ, სანამ მთვლელები დაითვლიდნენ ბიულეტენებს და კომისიის მდივანი შეადგენდა შემაჯამებელ ოქმს. შესაბამისად, შემაჯამებელ ოქმზე არ ფიქსირდება მისი ხელმოწერა. აღნიშნული დაადასტურა, როგორც თვითონ ილხამ ისმაილოვმა, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიის სხვა წევრებმაც. მან საგამოძიებო კომისიას განუმარტა, რომ არ იცოდა მისი საარჩევნო უბანზე ყოფნისა და შემაჯამებელ ოქმზე ხელმოწერის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების თაობაზე. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, საოლქო საარჩევნო კომისიამ იმსჯელა, რეგისტრატორის მიერ თვითნებურად საარჩევნო უბნის მიტოვებისა და შემაჯამებელ ოქმზე ხელის არ მოწერის საკითხთან დაკავშირებით, რეგისტრატორი კომისიის წევრისა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. განხილვის შედეგად, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა ზემოხსენებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საგამოძიებო კომისიისათვის მარნეულის 13.22.89 საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის როგორც მდივანს, ასევე კომისიის სხვა წევრებს საარჩევნო კანონმდებლობით არ ჰქონდათ უფლება კონტროლი განეხორციელებინათ ამომრჩეველზე იმ კუთხით, რომ გაერკვიათ კომისიის წევრებს მოათავსებდა თუ არა ამომრჩეველი სპეციალურ კონვერტში საარჩევნო ბიულეტენს. აქედან გამომდინარე, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის განმარტებით, შეუძლებელი იყო იმის დადგენა, თუ რამ გამოიწვია 13.22.89 საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმში არსებული დისბალანსი.

№22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის 13.22.89 საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმში დაფიქსირდა დიდი რაოდენობით ბიულეტენების ნაკლებობა, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ხსენებული საარჩევნო უბნის შედეგების ბათილობის საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა. აღნიშნულის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ საარჩევნო ყუთში არსებულ ბიულეტენების რაოდენობა შესაბამისობაში იყო შემაჯამებელი ოქმში დაფიქსირებულ მონაცემებთან.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა, საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებით, ერთხმად დაადასტურეს, რომ მიუხედავად საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე კენჭისყრის დღეს არსებული დაძაბული ვითარებისა და პანდემიიდან

გამომდინარე მათთვის დაკისრებული ვალდებულებებით გამოწვეული სირთულეებისა, საარჩევნო უბანზე არსებითი ხასიათის გადაცდომებს ადგილი არ ჰქონია, რაც გავლენას მოახდენდა კენჭისყრის საბოლოო შედეგზე.

### 1.5 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას[55] ახსნა-განმარტება

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 21 ივნისს გამართულ სხდომაზე მოიწვია ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია. საგამოძიებო კომისიის წევრების მიერ დასმული შეკითხვების შესაბამისად, ცესკოს თავმჯდომარისგან მიღებული ახსნა-განმარტების საფუძველზე საგამოძიებო კომისიამ დაადგინა:

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კომპეტენციის საკითხი არ იყო მხოლოდ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის დამახასიათებელი პრობლემა. მისი განმარტებით, ხსენებული პრობლემის გამომწვევი მთავარი მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო რთული საარჩევნო პროცედურები და კოვიდპანდემიიდან გამომდინარე დაწესებული რეგულაციების გავლენით საარჩევნო უბნებზე შექმნილი სტრესული სამუშაო გარემო.

ცესკოს თავმჯდომარემ საგამოძიებო კომისიის სხდომაზე აღნიშნა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ჩასატარებლად საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე 45 000-ზე მეტი კომისიის წევრის შერჩევის საჭიროება არსებობდა. თამარ ჟვანიას განმარტებით, 51% (ორმოცდათერთმეტი) საარჩევნო უბნებში 6 (ექვსი) ვაკანტურ პოზიციაზე 6 (ექვსი) ან ნაკლები განაცხადი იყო წარდგენილი. მისი თქმით, ხსენებული დაბალი აქტივობის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო ქვეყანაში არსებული პანდემია. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე შესრულდა ეუთო/ოდირის რეკომენდაცია, რომლის თანახმად საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის შესახებ ინფორმაცია უფრო მასშტაბური იყო და მედიის საშუალებითაც გაშუქდა, განსხვავებით ბოლო არჩევნებამდე არსებული პრაქტიკისა, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევად კონკურსის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოყოფილ საჯარო ადგილებში ქვეყნდებოდა.

საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებით, თამარ ჟვანიამ დაადასტურა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე კომისიის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა გარკვეული ხასიათის შეცდომების დაშვებას, რომლის მთავარი მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის პანდემიიდან გამომდინარე დამატებითი ვალდებულებების წარმოშობა, პანდემიასთან დაკავშირებული პროცედურებისა და წესების შესრულების კუთხით, აგრეთვე ქვეყანაში შექმნილი ზოგადი პოლიტიკური დაძაბულობის ფონით.

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ცესკოს თავმჯდომარემ აღინიშნა, რომ ცალკე პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ პოლიტიკური სუბიექტები ხშირ შემთხვევაში სრულყოფილად ვერ ნიშნავდნენ დადგენილი რაოდენობის კომისიის წევრებს ან ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც დანიშნული წევრების ისეთი პირებით ჩანაცვლებას ახორციელებდნენ, რომელთაც ცესკოს ორგანიზებით ჩატარებული ტრენინგები გავლილი არ

[55] დასკვნაში თამარ ჟვანია მოხსენიებულია ცესკოს თავმჯდომარედ, რადგან მისგან ახსნა-განმარტების მიღება განხორციელდა 2021 წლის 21 ივნისს მაშინ როდესაც ის ჯერ იკავებდა ამ პოზიციას. 30 ივნისს თამარ ჟვანიამ გააკეთა განცხადება გადადგომის თაობაზე, შესაბამისად დასკვნის წარდგენის დროისთვის მას უკვე აღარ ეკავა ცესკოს თავმჯდომარის პოზიცია

ჰქონდათ. თამარ ჟვანიას განმარტებით, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ კენჭისყრის დღემდე ერთი კვირის განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაცია, პანდემიიდან გამომდინარე იზოლაციაში ყოფნის აუცილებლობით, იძულებული გახდა 900-ზე (ცხრაასი) მეტი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის ჩანაცვლება მოეხდინა. თუმცა, ასევე ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის იზოლაციაში გადაყვანისა და მათი ჩანაცვლების აუცილებლობაც დადგა.

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ცესკოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე მოქმედი ცესკოს დადგენილებით დამტკიცებული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის[56] თანახმად, შემაჯამებელ ოქმში ცარიელი უჯრის არსებობის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს უჯრების „X" სიმბოლოებით შევსების ვალდებულება არ გააჩნდა, ვინაიდან ინსტრუქცია მიუთითებს როგორც სასურველ, რეკომენდირებულ ქმედებას.

თამარ ჟვანიას მიცემული ახსნა-განმარტებით საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა არ იცნობდა ე.წ. „ბალანსის" ცნებას. ერთადერთი რეგულაცია, რაც შეიძლება ამ საკითხს შეხებოდა იყო ცესკოს დადგენილება, რომლითაც დამტკიცებული იყო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია. კერძოდ, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლისას, კომისიას გაცემულ საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობისთვის უნდა გამოეკლო გაფუჭებული ბიულეტენები და ის უნდა ყოფილიყო კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობის ტოლფასი. რაც შეეხება შემაჯამებელ ოქმებს, რომელშიც ფიქსირდებოდა ე.წ. ნაკლებობით დისბალანსი, ცესკოს თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნული არ ექვემდებარებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის მხრიდან სრულყოფილ კონტროლს.[57] ამავდროულად, მოქმედი კანონმდებლობით არჩევნებზე მხოლოდ დამკვირვებელს შეეძლო გადაემოწმებინა საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა, მისი სპეციალურ კონვერტში მოთავსებამდე.[58]

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ცესკოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის 12 (თორმეტი) წევრის (მათ შორის საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნული წევრები), საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებისა და მედიის კენჭისყრის დღის პროცესში ჩართულობა, კენჭისყრის დღის პროცედურებს იმდენად ხელმისაწვდომსა და გამჭვირვალეს ხდიდა, რომ შეუძლებელი იყო შემაჯამებელი ოქმის შედეგებზე რაიმე სახის მანიპულაცია განხორციელებულიყო ისე, რომ ზემოხსენებული პირებს ასეთი ფაქტი ვერ დაეფიქსირებინათ.

საგამოძიებო კომისიისათვის ახსნა-განმარტების მიცემისას თამარ ჟვანიამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა იმდენად უმნიშვნელო რაოდენობის განსხვავებული აზრი დააფიქსირეს, რომ

---

[56] იხ. ცესკოს დადგენილება №21/2020 „საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" (24.08.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4971467?publication=0
[57] იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" , მუხლი 65, მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი (27.12.2011) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=69
[58] იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", 41-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტი (27.12.2011) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=69

ეს ფაქტი უფრო ამყარებს საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის მაღალი სტანდარტით გამჭვირვალობის ფაქტს.

საგამოძიებო კომისიისათვის ცესკოს თავმჯდომარის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით გაირკვა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სადემონსტრაციო ოქმი იყო სწორად შევსებული, თუმცა შემაჯამებელ ოქმში მონაცემების გადატანის პროცესში დაშვებულ იქნა შეცდომები.

საგამოძიებო კომისიისათვის თამარ ჟვანიას მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე პირველადი შედეგები გამოცხადდა საარჩევნო უბნების დახურვიდან 7 საათსა და 25 წუთში, თუმცა საარჩევნო უბნის შედეგები მანამდეც ხელმისაწვდომი იყო დაინტერესებული მხარეებისთვის, ვინაიდან სხვადასხვა საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმები კენჭისყრის დღის 23:00 საათიდან ქვეყნდებოდა (იტვირთებოდა) ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ცესკოს თავმჯდომარემ აღნიშნა ის გარემოებაც, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას იღებდა უპრეცენდენტოდ დიდი რაოდენობის, 50 (ორმოცდაათი) საარჩევნო სუბიექტი, რაც მნიშვნელოვნად აღემატებოდა წინა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტების რაოდენობას და ცხადია მეტ დროს მოითხოვდა ბიულეტენების დახარისხებისა და ზოგადად ხმის დათვლის პროცესში. ასევე, სუბიექტების დიდმა რაოდენობამ პირველად განაპირობა 2 (ორი) სვეტიანი/მწკრივიანი შემაჯამებელი ოქმის არსებობა, რაც ასევე გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა ოქმის შევსების პროცესისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ორი საარჩევნო ბიულეტენის (პროპორციული და მაჟორიტარული) პირობებში, პირველადი შედეგები ცესკოს მიერ საარჩევნო უბნების დახურვიდან 8 საათის შემდეგ გამოცხადდა; შედარებისთვის, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემთხვევაში (ერთი ბიულეტენის პირობებში), ეს დრო უფრო ნაკლები იყო.

საგამოძიებო კომისიისათვის ცესკოს თავმჯდომარის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით ასევე გაირკვა, რომ შესწორების ოქმი წარმოადგენდა ისეთ სამართლებრივი მექანიზმს, რომელსაც მონაცემების მაკორექტირებელი ფუნქცია გააჩნდა და საარჩევნო კანონმდებლობით მისი გათვალისწინება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ იმ შემთხვევაში თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას რაიმე სახის შეცდომის დაშვებას ექნებოდა ადგილი, საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილი იყო შესაბამისი დასაბუთებით შეესწორებინა შემაჯამებელი ოქმი. მისი განმარტებით შესწორების ოქმის სამართლებრივი მექანიზმი წლებია მოქმედებს და გამოიყენება საარჩევნო პრაქტიკაში. რაც შეეხება, კენჭისყრის მომდევნო დღეს შედგენილ შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმს, საპარლამენტო არჩევნებზე მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრული იყო, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის შედგენის უფლება ჰქონდათ არაუგვიანეს კენჭისყრის დღის მეორე დღისა.[59]

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ცესკოს თავმჯდომარემ ასევე ყურადღება გაამახვილა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ განხორციელებულ პარალელურ დათვლაზე და განმარტა, რომ პარალელური დათვლის უპირველესი მეთოდოლოგია მდგომარეობს იმაში, რომ პარალელური დათვლისას ორგანიზაციამ არ უნდა გამოიყენოს ისეთი საარჩევნო უბნის შედეგები, სადაც

[59] იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 26-ე მუხლი, მე-2 პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტი (20.06.2020 წ. რედაქციით) https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=65

ადგილი ჰქონდა გაყალბებას ან ისეთ სერიოზულ ინციდენტებს და გადაცდომას, რომელსაც გავლენა შეეძლო მოეხდინა შედეგებზე. ორგანიზაცია, რომელიც პარალელურ დათვლას ატარებს, ზემოხსენებული უბნის შედეგებს (ინციდენტებს) პარალელური დათვლის პროცესში არ ითვალისწინებს. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" პარალელური დათვლის დაზუსტებული შედეგები თითქმის ერთი-ერთში ემთხვეოდა ცესკოს შედეგებს, ამ არასამთავრობო ორგანიზაციამ პრაქტიკულად სამართლიანად აღიარა მათ მიერ დათვლილი და გამოყენებული საარჩევნო უბნის შედეგები.

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, ცესკოს თავმჯდომარემ საპარლამენტო არჩევნებზე წარდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პირველ ტურში 862 (რვაასსამოცდაორი) საჩივარი დაიწერა, რომელიც ეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს. კერძოდ, დარღვევები ძირითადად ეხებოდა რეგისტრატორის მხრიდან ხელმოწერის გამორჩენას, უყურადღებობით ზედმეტი ბიულეტენის გაცემას, მარკირების გამორჩენას ან შემაჯამებელი ოქმის რეკვიზიტის შეცდომით შევსებას. აღნიშნული საჩივრებიდან დაკმაყოფილდა ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 224 (ორას ოცდაოთხი) საჩივარი, დარჩენილი საჩივრებიდან სასამართლოში დავა გაგრძელდა 13 (ცამეტი) შემთხვევაში, საიდანაც დაკმაყოფილდა 1 (ერთი) საჩივარი. პირველი ინსტანციის სასამართლოს 5 (ხუთი) გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით, თუმცა მათგან არცერთი დაკმაყოფილებულა.

საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ საპარლამენტო არჩევნებზე წარდგენილი საჩივრების სტატისტიკური მონაცემები ერთმანეთისგან განსხვავდება. საარჩევნო სუბიექტებს პრაქტიკულად არ ჰქონდათ დაცული საჩივრის წარდგენის წესი. საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილი საჩივრების 70%-მდე კანონით დადგენილი წესის დარღვევით იყო წარდგენილი, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში კანონით დადგენილი წესის დარღვევით წარდგენილი საჩივრების საერთო რაოდენობა შეადგენდა 20%-ს. თამარ ჟვანიამ აღნიშნა, რომ დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც საჩივარი კანონის მოთხოვნის დაუცველად იყო წარდგენილი, მაგრამ საოლქო საარჩევნო კომისიამ საკუთარი ინიციატივით განახორციელა საარჩევნო უბნის გადათვლა. კერძოდ, მსგავსი გადათვლები განხორციელდა ბოლნისის, თელავის, წყალტუბოს, ქუთაისის და ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ.

## 2. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან მიღებული ახსნა-განმარტების შედეგების ანალიზი

### 2.1 არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" წარმომადგენლის ახსნა-განმარტება

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 18 ივნისს გამართულ სხდომაზე მოიწვია არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" (საია) თავმჯდომარე ნიკა სიმონიშვილი. საგამოძიებო კომისიის წევრებმა დასმული შეკითხვების შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარისგან მიიღეს შემდეგი ახსნა-განმარტებები:

საია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს აკვირდებოდა წინასაარჩევნო პერიოდსა და კენჭისყრის დღეს. საიას თავმჯდომარის ინფორმაციით, ორგანიზაცია არჩევნებს აკვირდებოდა ქვეყნის მასშტაბით 9 (ცხრა) რეგიონში, რისთვისაც შექმნილი იყო 8 (რვა) შტაბი. საბოლოო ჯამში სადამკვირვებლო საქმიანობა გავრცელდა ქვეყნის 63%-ზე (სამოცდასამი). ორგანიზაციას შტაბში ჰყავდა ანალიტიკოსები, იურისტები, რომლებიც ინფორმაციას იღებდნენ და ამუშავებდნენ სტატიკური, პერიმეტრის და მობილური დამკვირვებლების მეშვეობით.

საიას თავმჯდომარის განმარტებით, ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი იყო არა ის, თუ როგორ გადანაწილდა საარჩევნო სუბიექტებს შორის ხმები, არამედ - რამდენად კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იყო არჩევნებთან დაკავშირებული პროცესები. საიას თავმჯდომარის ინფორმაციით საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ საიამ საპარლამენტო არჩევნებზე 109 (ასცხრა) საარჩევნო უბნის შედეგები გაასაჩივრა, რომელთა შორის იყო შემაჯამებელი ოქმები როგორც ბიულეტენების მეტობით, ასევე ნაკლებობით. საიას თავმჯდომარის განმარტებით, ბიულეტენების ნაკლებობა შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, ამომრჩეველმა ბიულეტენი ყუთში არ ჩააგდო ან ბიულეტენების დათვლის დროს ადგილი ჰქონოდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევები როდესაც დისბალანსი ფიქსირდებოდა 40 (ორმოცი) ბიულეტენის ნაკლებობით, რაც მისი განმარტებით თავისთავად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ დაიწერა შესაბამისი საჩივრები. საგამოძიებო კომისიამ ცესკოდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ 40 (ორმოცი) და მეტი ბიულეტენის ნაკლებობით საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმი ჯამში 3847 საარჩევნო უბნიდან მხოლოდ 3 (სამი) საარჩევნო უბანზე ფიქსირდებოდა.

საიას თავმჯდომარის განმარტებით, საპარლამენტო არჩევნებზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა საარჩევნო ადმინისტრაციის არაერთგვაროვანი მიდგომა საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით. კერძოდ, გადაითვალა გარკვეული საარჩევნო უბნები, ხოლო გარკვეული რაოდენობის საარჩევნო უბნები საარჩევნო ადმინისტრაციამ არ გადათვალა. მიუხედავად აღნიშნულისა, საიას თავმჯდომარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო უბნების გადათვლა განხორციელდა, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ასევე მათი წარდგენილი სარჩელების საფუძველზე. 109 (ასცხრა) საარჩევნო უბნიდან, საიას საჩივრების საფუძველზე გადაითვალა 31 (ოცდათერთმეტი) საარჩევნო უბანი, საიდანაც 5 (ხუთი) საარჩევნო უბნის შემთხვევაში მონაცემები შეიცვალა, 1 (ერთი) საარჩევნო უბნის მონაცემები გაუქმდა, ხოლო 2 (ორი) საარჩევნო უბნის შემთხვევაში, ორგანიზაციამ უარი თქვა შეტანილ საჩივრებზე, რადგან მონაცემები დაზუსტდა. შესაბამისად, საგამოძიებო კომისიას საკითხის შესწავლის საფუძველზე ჩამოუყალიბდა პოზიცია, რომ საიას მიერ წარდგენილი საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკმაყოფილდა.

ნიკა სიმონიშვილის ახსნა-განმარტებით ასევე დადგინდა, რომ შემაჯამებელი ოქმების დისბალანსები საპარლამენტო არჩევნებზე სწორდებოდა ახსნა-განმარტების საფუძველზე, რომელიც დგებოდა საარჩევნო უბნის დახურვის შემდეგ, თუმცა მისი ინფორმაციით როდესაც ხსენებული ოქმები ცესკოში იგზავნებოდა, მას ახსნა-განმარტებები თან არ ერთვოდა, ვინაიდან ეს ახსნა-განმარტებები დგებოდა მეორე დღეს საარჩევნო უბნის გადათვლის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ მეორე დღეს შედგენილი ახსნა-განმარტება შესაძლებელია დაფუძნებული ყოფილიყო კომისიის წევრის „გახსენებულ“ ინფორმაციაზე, მეორე დღეს წარმოებული ეს პროცესი მისი აზრით სანდოობას ეჭვქვეშ აყენებდა. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის თავმჯდომარის შეხედულებით შეცდომა პირველივე დღესვე უნდა გამოსწორებულიყო შესაბამისი ახსნა-

განმარტებით. აღნიშნულის თაობაზე საგამოძიებო კომისიამ ახსნა-განმარტება ჩამოართვა ცესკოს თავმჯდომარეს, აგრეთვე თვითონაც შეისწავლა საკითხი და დაადგინა, რომ რიგ შემთხვევებში ფიქსირდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ ახსნა-განმარტების მეორე დღეს დაწერა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო გადაღლილობით, სტრესული სიტუაციითა და პანდემიით გამოწვეული მდგომარეობით; თუმცა აღნიშნული პროცედურა მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში იყო, რაც ლეგიტიმურობას სძენდა შესწორების ოქმების შედგენას.

ნიკა სიმონიშვილის მიერ საგამოძიებო კომისიის სხდომაზე მიწოდებული ინფორმაციით დადგინდა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე მათი ორგანიზაციის სახელით წარდგენილი ყველა საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, რამეთუ საჩივრები წარდგენილ იქნა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებსა და უფლებამოსილი პირების მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ საარჩევნო სუბიექტების საჩივრების 2/3 არ იქნა კომპეტენტური ორგანოების მიერ განხილული ვადის დარღვევის ან არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენის საფუძველზე, საგამოძიებო კომისიამ შესთავაზა საიას თავმჯდომარეს აღნიშნულის შეფასება. ამ უკანასკნელის განმარტებით, შეუძლებელი იყო იმის დამტკიცება, საარჩევნო სუბიექტების მხრიდან დიდი რაოდენობის საჩივრების წარდგენა, რომელთა უმეტესობა, საარჩევნო კომისიების მიერ განუხილველად იქნა დატოვებული, მათი მხრიდან რაიმე კონკრეტულ ინტერესს ემსახურებოდა თუ არა. მისი მოსაზრებით საჩივრების განუხილველად დატოვების მიზეზი შესაძლებელია მისი წარმდგენის არასაკმარისი კვალიფიკაცია ყოფილიყო.

ნიკა სიმონიშვილის ინფორმაციით, საიამ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დააფიქსირა იმაზე მეტი რაოდენობის შემაჯამებელ ოქმებში ბიულეტენების მეტობის ფაქტი, ვიდრე გასულ სხვა არჩევნებზე. თუმცა, საიას თავმჯდომარის აღნიშნული განცხადება ეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ პირველად ოქმებს, შესაბამისი შესწორების ოქმის შედგენამდე. აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ საბოლოო ჯამში 3847 საარჩევნო უბნიდან შემაჯამებელი ოქმების მეტობით დისბალანსი დაფიქსირდა სულ 19 (ცხრამეტი) საარჩევნო უბანზე და ბიულეტენების მეტობის ჯამურმა მაჩვენებელმა 26 (ოცდაექვსი) შეადგინა.

### 2.2 არასამთავრობო ორგანიზაციის საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ წარმომადგენლების ახსნა-განმარტებები

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 18 ივნისს გამართულ სხდომაზე მოიწვია არასამთავრობო ორგანიზაცია საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“-ს წარმომადგენლები არნოლდ სტეფანიანი (თავმჯდომარე) და ლელა ტალიური (წარმომადგენელი). საგამოძიებო კომისიის წევრებმა დასმული შეკითხვების შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან მიიღეს შემდეგი ახსნა-განმარტებები:

არასამთავრობო ორგანიზაცია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და თბილისი). ორგანიზაციამ დაფარა 12 (თორმეტი) მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი და 24 (ოცდაოთხი) მუნიციპალიტეტი. ორგანიზაციას ჰყავდა 600 (ექვსასი) დამკვირვებელი, რომელთაგან 465 (ოთხასსამოცდახუთი) დამკვირვებელი საარჩევნო პროცესს აკვირდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე, 22 (ოცდაორი) დამკვირვებელი - საოლქო საარჩევნო კომისიებში, ხოლო 1 (ერთი) დამკვირვებელი ცესკოში. ორგანიზაციას ასევე ჰყავდა 97 (ოთხმოცდაჩვიდმეტი) მობილური ჯგუფი.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების განმარტებით, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები სხვა წინა არჩევნებთან შედარებით მათი საქმიანობის არეალში (რეგიონებში) საჩივრების განსხვავებული რაოდენობით არ გამოირჩეოდა. არასამთავრობო ორგანიზაციის დასკვნით ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაციის დამკვირვებლების მიერ საპარლამენტო არჩევნებზე გამოვლენილ ხარვეზებს არჩევნების საბოლოო შედეგებზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია,[60] რაც ახსნა-განმარტების მიცემისას ორგანიზაციის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საგამოძიებო კომისიის წინაშე.

შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით, ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საგამოძიებო კომისიას განუმარტეს, რომ ისეთი ოქმები, რომელშიც დაფიქსირდა დისბალანსი 5 (ხუთი) ბიულეტენის მეტობით, მათი ორგანიზაციის მიერ გასაჩივრდა საოლქო საარჩევნო კომისიაში, საუბნო საარჩევნო უბნის გადათვლისა და შედეგების გაუქმების მოთხოვნით, თუმცა მათი განმარტებით ეს საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, ასეთი დისბალანსიანი ოქმის მონაცემები უკვე გასწორებული იყო შესწორების ოქმით და აქედან გამომდინარე საარჩევნო უბნის გახსნისა და ბიულეტენების ხელახალი დათვლის საფუძველი არ არსებობდა.

რაც შეეხება შემაჯამებელი ოქმების შესწორების ოქმების შედგენის სამართლებრივ რეგულაციას, ორგანიზაციის წარმომადგენლების ინფორმაციით, ხსენებული ცვლილება 2017 წელს შევიდა საარჩევნო კანომდებლობაში. მათი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ შესწორების ოქმების შედგენა კანონმდებლობით განსაზღვრული აქტივობაა, ორგანიზაციისთვის მიუღებელი იყო საარჩევნო კომისიის მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორება ახსნა-განმარტებითა და სხვა დოკუმენტაციით, ვინაიდან შემაჯამებელი ოქმის მონაცემები უნდა შესწორებულიყო მხოლოდ საარჩევნო უბნის გადათვლის გზით. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ განსხვავებით სხვა არჩევნებისგან, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები გამოირჩეოდა შესწორების ოქმების რაოდენობით.

ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ასევე დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრება საარჩევნო რეფორმებთან დაკავშირებით. მათი აზრით, ხსენებული რეფორმის ფარგლებში, მნიშვნელოვანი იქნება მომავალი არჩევნებისთვის პროფესიული ნიშნით კომისიის წევრების შერჩევის პროცესის მაქსიმალური საჯაროობა და გამჭვირვალობა.

### 2.3 არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წარმომადგენლების ახსნა-განმარტებები

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 18 ივნისს გამართულ სხდომაზე მოიწვია არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წარმომადგენლები ნინო დოლიძე (აღმასრულებელი დირექტორი) და ნინო რიჟამაძე (იურისტი).

---

[60] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციის საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“ სამონიტორინგო პროგრამის საბოლოო ანგარიში, გვ.20 (თებერვალი, 2021) http://www.pmmg.org.ge/res/uploads/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%9D%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%202020.pdf

საგამოძიებო კომისიის წევრებმა დასმული შეკითხვების შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან მიიღეს შემდეგი ხასიათის ახსნა-განმარტებები:

ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა საგამოძიებო კომისიის სხდომაზე აღნიშნა, რომ, ის მიმდინარე წლის თებერვლის თვიდან შეუერთდა ხსენებულ არასამთავრობო ორგანიზაციას. ნინო დოლიძემ დეტალურად განმარტა მისი ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. კერძოდ, მისმა ორგანიზაციამ საპარლამენტო არჩევნებზე გრძელვადიანი სადამკვირვებლო მონიტორინგი დაიწყო 69 (სამოცდაცხრა) მუნიციპალიტეტში არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე. წინასაარჩევნო პერიოდში ორგანიზაციამ გამოაქვეყნა 6 (ექვსი) შუალედური ანგარიში. ორგანიზაცია აკვირდებოდა წინასაარჩევნო კამპანიას, ცენტრალურ და ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელებულ ქმედებებს იმ კუთხით, რომ დაედგინათ ადგილი ჰქონდა თუ არა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევებს. ნინო დოლიძის განმარტებით, უშუალოდ არჩევნების დღეს მისი ორგანიზაციის 980 (ცხრაასოთხმოცი) სტატიკური დამკვირვებელი იმყოფებოდა სხვადასხვა საარჩევნო უბანზე, მათ შორის რამდენიმე დამკვირვებელი აკვირდებოდა არჩევნებს საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებზე. აგრეთვე, 78 (სამოცდათვრამეტი) მობილური ჯგუფი და დამკვირვებლები საოლქო საარჩევნო კომისიებში ახორციელებდნენ არჩევნებზე მონიტორინგს. დამატებით, ორგანიზაციას სპეციალურად გამოყოფილი ჰყავდა პარალელური დათვლის პროცესის ოპერატორები არჩევნების შედეგების პარალელური დათვლისთვის და თანამშრომლები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უწევდნენ კონსულტაციებს დამკვირვებლებს.

ნინო დოლიძემ საგამოძიებო კომისიის სხდომაზე აღნიშნა, რომ წინასარჩევნო პერიოდში ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების საკითხი. მისი განმარტებით, საარჩევნო კომისიები დაკომპლექტებული იყო 12 (თორმეტი) წევრით, საიდანაც 6 (ექვსი) კომისიის წევრი იყო პარტიული და 6 (ექვსი) პროფესიული. მისი აზრით, მიუხედავად ხსენებულისა, საარჩევნო კომისიებში იკვეთებოდა მმართველი პარტიის დომინირება. საგამოძიებო კომისიამ ორგანიზაციის წარმომადგენლებისგან ვერ მოისმინა კონკრეტული მტკიცებულება გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით.

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ადგილი ჰქონდა ფიზიკური დაპირისპირების ფაქტებს ჟურნალისტებსა და დამკვირვებლებზე. მისი თქმით იყო შემთხვევები, როდესაც ხდებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. აღნიშნულთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის წევრების მიერ მოთხოვნილ იქნა კონკრეტული მტკიცებულებები. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის მიერ 21 ივნისის წერილით საგამოძიებო კომისიას წარედგინა ამონარიდები ორგანიზაციის ანგარიშიდან შესაძლო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებთან დაკავშირებით. საგამოძიებო კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალის შესწავლით დადგინდა, რომ ის შეიცავდა ინფორმაციას სავარაუდო დარღვევების თაობაზე, რაც კონკრეტული მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული.

საგამოძიებო კომისიისათვის ნინო დოლიძის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ ცესკომ არჩევნებზე პანდემის პერიოდში უსაფრთხოების ნორმების დაცვა უზრუნველყო.

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე არასამთავრობო ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი დეტალურად შეეხო ხმების დათვლისა და შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირებული დისბალანსების საკითხს. მისი განმარტებით, საპარლამენტო არჩევნებზე, მნიშვნელოვან პრობლემას

წარმოადგენდა ხმების დათვლა და დისბალანსიანი შემაჯამებელი ოქმები (მეტობა და ნაკლებობა), ასევე პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის შედგენა როგორც საარჩევნო უბანზე, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიაში. ნინო დოლიძის განმარტებით, საპარლამენტო არჩევნებზე პრობლემას წარმოადგენდა ასევე შემაჯამებელი ოქმის მონაცემების შესწორება მხოლოდ ახსნა-განმარტებების საფუძველზე, რომელიც მეორე დღეს ხდებოდა. მისი თქმით, ყველა შესაძლო პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით, ორგანიზაცია ინფორმაციას აწვდიდა საარჩევნო ადმინისტრაციას, რომელიც სხვადასხვა მიზეზით უარს აცხადებდა შინაარსობრივ მსჯელობაზე. მისი განცხადებით მსგავსი პრაქტიკის გაგრძელებას ადგილი ჰქონდა ასევე სასამართლო ეტაპზეც. საგამოძიებო კომისიის წევრების შეკითხვაზე, ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის მიერ მითითებული შესწორებების განხორციელება რამდენად შესაბამისობაში მოდიოდა მოქმედ კანონმდებლობასთან, ნინო დოლიძემ აღნიშნა, რომ განხორციელებული შესწორებები ჯდებოდა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებსა და პროცედურებში, თუმცა მისი თქმით, ეს იყო ნორმის ვიწრო სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში შეფასება.

რაც შეეხება ანგარიშებში ნახსენებ „სავარაუდო“ გადაცდომებს, ნინო დოლიძის განმარტებით, მათი მხრიდან ანგარიშში მოყვანილი ფაქტების დადასტურება შეუძლებელია, ვინაიდან ორგანიზაციის კომპეტენციაში არ შედის ფაქტების გამოძიება. საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, ანგარიშში მოყვანილ „სავარაუდო“ გადაცდომებთან დაკავშირებით ორგანიზაციის იურისტმა განმარტა, რომ ორგანიზაციის მიზანია ანგარიშებში ფაქტების ზოგადად ასახვა. რაც შეეხება ფაქტების მტკიცებით ფორმაში ასახვას, მისი თქმით, ანგარიშში ზემოხსენებული შეუძლებელია. ორგანიზაციის იურისტის განმარტებით, ისევე როგორც სხვა არჩევნებზე, ამ შემთხვევაშიც ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენდა ანგარიშში დარღვევებზე ზოგადი საუბარი არა მტკიცებით ფორმაში.

არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ წარმომადგენლებთან შეხვედრისას საგამოძიებო კომისიამ ყურადღება გაამახვილა ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით არასწორად განხორციელებულ პარალელური დათვლის შედეგებზე. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებით გაირკვა, რომ შეცდომას ადგილი ჰქონდა პარალელური დათვლის ფორმულაში და არა საარჩევნო უბნების შერჩევაში, რაც დადასტურდა იმ გარემოებით, რომ არსებული შეცდომის გამოსწორებით, პარალელური დათვლის შედეგები დაემთხვა ცესკოს შედეგებს, დასაშვები ცდომილების ზღვარის ფარგლებში. რაც შეეხება თვითონ შეცდომას, მისი განმარტებით, ფორმულა სხვა ქვეყნის მაგალითზე იყო გადმოტანილი შესაბამისი ჩანაცვლების გარეშე და საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმებთან ერთად დათვლილი იყო ბათილი ბიულეტენებიც. მან ასევე განმარტა, რომ შეცდომა იყო ისიც, რომ ზემოხსენებულთან დაკავშირებით საზოგადოებასთან განხორციელდა დაგვიანებული კომუნიკაცია.

ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის განმარტებით, როდესაც ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საარჩევნო უბნების 8%-ში ადგილი ჰქონდა ბიულეტენების მეტობას კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების ოდენობასთან შედარებით, იგულისხმებოდა ის საარჩევნო უბნები, სადაც მათ მიერ განხორციელდა ხმების პარალელური დათვლა. ორგანიზაციის მიერ არაერთხელ დაფიქსირდა, როგორც განცხადებებში, ისე ანგარიშში 8% საარჩევნო უბნებში ბიულეტენების მეტობა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობასთან შედარებით. აღნიშნული ფაქტი ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა საგამოძიებო

კომისიისთვის ახსნა-განმარტების მიცემის დროსაც დაადასტურა. საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე, გამოთქვა მზაობა, წარედგინა საარჩევნო უბნებზე შედგენილი ისეთი დისბალანსიანი შემაჯამებელი ოქმები, სადაც ფიქსირდება ბიულეტენების მეტობა, რათა რეაგირება მომხდარიყო ყველა იმ მძიმე დარღვევაზე, რომელიც 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში დაფიქსირდა. საგამოძიებო კომისიისთვის ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის მიერ 21 ივნისის წერილით წარმოდგენილი საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმები იქნა შესწავლილი და გამოვლინდა, რომ წარმოდგენილი ოქმების ნაწილს თან ერთვოდა შესწორების ოქმები, ხოლო დიდი ნაწილი იყო პირველადი ფორმის, რომლებთან დაკავშირებითაც კანონმდებლობის დაცვით შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ იქნა შესწორების ოქმები. საგამოძიებო კომისია წარმოდგენილი მასალის შესწავლის შედეგად დარწმუნდა, რომ შესწორების ოქმების გათვალისწინებით ორგანიზაციის არგუმენტაცია წარმოდგენილი ოქმების დისბალანსთან დაკავშირებით იყო უსაფუძვლო (იხ. დეტალური ინფორმაცია დასკვნაში).

### 2.4 არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“ წარმომადგენლის ახსნა-განმარტება

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 18 ივნისს გამართულ სხდომაზე მოიწვია არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო“ წარმომადგენელი ლევან ნატროშვილი (საარჩევნო პროგრამის მენეჯერი). საგამოძიებო კომისიის წევრებმა დასმული შეკითხვების შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლისგან მიიღეს შემდეგი ახსნა-განმარტებები:

ორგანიზაცია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს აკვირდებოდა როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე კენჭისყრის დღეს. ორგანიზაციის წარმომადგენლის განმარტებით, საარჩევნო პროცესზე დაკვირვების მიზნით მათ ორგანიზაციას უშუალოდ არჩევნების დღეს ჩართული ჰყავდა 600 (ექვსასი) დამკვირვებელი, აკვირდებოდნენ 400 (ოთხასი) საარჩევნო უბანს, თითოეული საარჩევნო უბნის შემთხვევაში 1 (ერთი) სტაციონალური დამკვირვებლის საშუალებით. გარდა ხსენებულისა, ლევან ნატროშვილის ინფორმაციით, ორგანიზაციას შექმნილი ჰქონდა 40-მდე (ორმოცი) მობილური ჯგუფი, რომლებიც საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა საარჩევნო უბნის მონიტორინგს ახორციელებდნენ.

ლევან ნატროშვილის განმარტებით, ორგანიზაციას დასკვნებში მოყვანილი აქვს ძირითადად წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებული „სავარაუდო“ გადაცდომები, რომელიც ვარაუდის საფუძველზე დაუდასტურებელ შემთხვევებს გულისხმობდა. ორგანიზაციის წარმომადგენელმა საგამოძიებო კომისიას დაუდასტურა, რომ მათ ანგარიშებში მოყვანილი სავარაუდო გადაცდომების მტკიცებით ფორმაში ასახვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ორგანიზაცია არ წარმოადგენს საგამოძიებო ორგანოს და ფაქტის ნამდვილად არსებობის დასადგენად ვერ განახორციელებს შესაბამის გამოძიებას.

ორგანიზაციის წარმომადგენლის განმარტებით, საარჩევნო სუბიექტის მიერ საარჩევნო კომისიებში წევრის დანიშნვა არ გულისხმობდა, მათ მიერ პოლიტიკური პარტიების ინტერესების გატარებას. მიუხედავად საარჩევნო სუბიექტის დანიშნული წევრისა, კანონმდებლობით ასეთი კომისიის წევრი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უნდა ყოფილიყო და შესაბამისად მათ არ უნდა გაეტარებინათ პოლიტიკური პარტიის ინტერესი.

ლევან ნატროშვილის აზრით, დამკვიდრებულია პრაქტიკა, როდესაც საარჩევნო სუბიექტების მიერ დანიშნული კომისიის წევრები ატარებენ პოლიტიკური პარტიის ინტერესებს.

ორგანიზაციის საარჩევნო პროგრამების მენეჯერმა საგამოძიებო კომისიის წევრებს განუმარტა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე მათი ორგანიზაციის მიდგომა იყო, გაესაჩივრებინათ ისეთი დისბალანსიანი შემაჯამებელი ოქმები, რომელშიც ფიქსირდებოდა 1 (ერთი) ბიულეტენით მეტობა ან 20 (ოცი) ბიულეტენით ნაკლებობა, რის გამოც ორგანიზაციის მიერ სულ 61 (სამოცდაერთი) საჩივარი იქნა წარდგენილი. ამ საჩივრების საფუძველზე 2 (ორი) საარჩევნო უბნის გადათვლა განხორციელდა, ხოლო 19 (ცხრამეტი) საჩივარი დარჩა განუხილველი საჩივრის წარმდგენი პირის მიერ მინდობილობის წარუდგენლობის გამო.

ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში მითითებული იყო, რომ საარჩევნო სუბიექტების საჩივრების 67% დარჩა განუხილველი კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევის ან არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენის საფუძვლით.[61] საგამოძიებო კომისიის წევრებმა ლევან ნატროშვილს შესთავაზეს ხსენებული გარემოების შეფასება საარჩევნო სუბიექტების მიერ გასაჩივრების არსებული მექანიზმის დისკრედიტაციისა და საჩივრების რაოდენობის ხელოვნური ზრდის კუთხით. ორგანიზაციის საარჩევნო პროგრამების მენეჯერის განცხადებით საარჩევნო სუბიექტების მიერ საპარლამენტო არჩევნებზე საჩივრების კანონით დადგენილი წესის დარღვევით წარდგენის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლებელია ყოფილიყო პოლიტიკური პარტიების მხრიდან საარჩევნო პროცესისა და გასაჩივრების მექანიზმის დისკრედიტაცია, რაც შესაძლოა გამოხატული ყოფილიყო საჩივრების ხელოვნურად გაზრდის ფორმითაც.

### 3. საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებისგან მიღებული ახსნა-განმარტების შედეგების ანალიზი

საგამოძიებო კომისიამ 2021 წლის 21 ივნისს გამართულ სხდომაზე მოიწვია საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები. საგამოძიებო კომისიის წევრებმა დასმული შეკითხვების შესაბამისად, თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსის ვანო ოქროპირიძესგან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსის ვლადიმერ თურმანიძესგან და ამბროლაურის რაიონული პროკურორის ზურაბ ლორიასგან მიიღეს შესაბამისი ახსნა-განმარტებები. ახსნა-განმარტების მიღების შედეგად საგამოძიებო კომისიამ დაადგინა:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსის ვლადიმერ თურმანიძის მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ საგამოძიებო კომისიის მიერ პროკურატურის წარმომადგენლების სხდომაზე მოწვევამდე 1 (ერთი) თვით ადრე გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაცია წინასაარჩევნო პერიოდთან და არჩევნების დღესთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე არ შეცვლილა აჭარისა და გურიის რეგიონებთან მიმართებაში. ვლადიმერ თურმანიძის ინფორმაციით, აჭარის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულები, რომლებზეც სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ეხებოდა ძალადობასა და სხვისი ნივთის დაზიანებას. პროკურორის განმარტებით,

[61] იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიერ მომზადებული საბოლოო ანგარიში „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისთვის“, გვ.19 (დეკემბერი, 2020) https://transparency.ge/sites/default/files/administraciuli_resursebis_gamoqeneba_sakartvelos_parlamentis_2020_clis_archevnebistvis-final_1.pdf

საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე კონკრეტულმა პირმა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში დანის გამოყენებით დააზიანა გაერთიანებული ოპოზიციის „ძალა ერთობაშია“ სარეკლამო ბანერი. ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით, პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, შეიკრიბა მტკიცებულებები და დადგინდა დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი, რომელსაც წარედგინა ბრალი. პროკურორის მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სასამართლომ ზემოხსენებულ საქმეზე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და დანაშაულის ჩამდენ პირს სასჯელის სახით განუსაზღვრა ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ასევე შეეხო, მეორე სისხლის სამართლის საქმესაც, რომელზეც სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. პროკურორის განმარტებით, 2020 წლის 22 ოქტომბერს, პოლიტიკური პარტიის „ნაციონალური მოძრაობა“ აქტივისტს, გარკვეულმა მოქალაქემ პოლიტიკური მოტივით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აჭარის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, შემთხვევიდან მეორე დღეს განხორციელდა დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის დაკავება და სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის (ძალადობა) შესაბამისად მისთვის ბრალის წარდგენა. მოცემულ საქმეზე, სასამართლომ ბრალდებული პირი დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახით განუსაზღვრა ჯარიმა 1500 (ათასხუთასი) ლარის ოდენობით.

- თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსის ვანო ოქროპირიძის საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტების საფუძველზე დადგინდა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბერს ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში მდებარე 29-ე სკოლაში განთავსებულ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ძალადობისა და ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტს. პროკურორის ინფორმაციით, ერთ-ერთი მედიასაშუალების წარმომადგენელი ლაივ რეჟიმში ახორციელებდა გადაღებას, რა დროსაც მოწმეთა ჩვენებით ადგილი ჰქონდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მხრიდან ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლას. ჟუნრალისტის მოწოდების საპასუხოდ ზემოხსენებულმა პირმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას. ამავე წლის 03 ნოემბერს, ვიდეო-ჩანაწერის დათვალიერებისა და ამოცნობის შედეგად, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი დაკავებული იქნა და სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით. პროკურორის მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მოწოდებული ინფორმაციით გაირკვა, რომ ხსენებულ საქმეზე თავდაპირველად გამოძიება დაიწყო სხვისი ნივთის განზრახ დაზიანების მუხლით, თუმცა მიყენებული ზიანი იყო უმნიშვნელო. შემდგომში გამოკითხვით გამოიკვეთა, რომ ადგილი ჰქონდა ძალადობასა და ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლას. შესაბამისად, შეიცვალა ქმედების კვალიფიკაცია და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, რის საფუძველზეც ბრალდებულს სასჯელის სახით განესაზღვრა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 165 (ასსამოცდახუთი) საათის ოდენობით. პროკურორის ინფორმაციით, ხსენებული განაჩენი ბრალდების მხარის მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თუმცა სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში.

ვანო ოქროპირიძის მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მიწოდებული ინფორმაციით გაირკვა, რომ ხსენებულ საქმეზე გამოძიება სწრაფად წარიმართა და დადგა შესაბამისი განაჩენიც,

ვინაიდან საქმეზე მტკიცებულებების შეგროვება ადვილად განხორციელდა, თუმცა ყველა სისხლის სამართლის საქმე არის ინდივიდუალური და ზოგიერთი საქმეზე გამოძიების დაწყებისას შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აუცილებლობა, რომელიც დამატებით დროს მოითხოვს. პროკურორის ინფორმაციით ბოლო პერიოდში სისხლის სამართლის საქმეების სასამართლოში დროულად განხილვის ხელისშემშლელი ფაქტორია ქვეყანაში არსებული პანდემია, ვინაიდან სასამართლო პროცესები როგორც წესი იმართება დისტანციურ რეჟიმში და იწვევს საქმეების განხილვის გაჭიანურებას.

პროკურორი ვანო ოქროპირიძე საგამოძიებო კომისიისათვის ახსნა-განმარტების მიცემისას ასევე შეეხო სხვა სისხლის სამართლის საქმესაც. კერძოდ, საქმე ეხებოდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის არასრულწლოვანი წარმომადგენლისთვის ფიზიკური დაზიანების მიყენების ფაქტს, რომელზეც ბრალდებულ პირს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით (სასამართლომ არ გაითვალისწინა პროკურატურის შუამდგომლობა 3000 (სამი ათასი) ლარიანი გირაოს შეფარდების თაობაზე). პროკურორის ინფორმაციით აღნიშნულ საქმეზე სასამართლოში მიმდინარეობს არსებითი განხილვა.

- ამბროლაურის რაიონული პროკურორის ზურაბ ლორიას მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მიცემული ახსნ-განმარტებით დადგინდა, რომ საგამოძიებო კომისიის მიერ პროკურატურის წარმომადგენლების სხდომაზე მოწვევამდე 1 (ერთი) თვით ადრე გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაციამ, წინასაარჩევნო პერიოდთან და არჩევნების დღესთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის სამოქმედო არეალში, კერძოდ კი რაჭის რეგიონში, ცვლილება განიცადა. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის დაქვემდებარებაში არსებულ 1 (ერთი) სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი იყო გამამართლებელი განაჩენი და რომელიც გასაჩივრებული იყო პროკურატურის მიერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, განაჩენი შეიცვალა და სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ საქმეზე გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი - ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პროკურორის მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მიწოდებული ინფორმაციით გაირკვა, რომ ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიგავზებთან „ქართული ოცნების“ კოორდინატორი ახორციელებდა სააგიტაციო პლაკატების გაკვრას, რა დროსაც კონფლიქტი მოუვიდა ერთ-ერთ მოქალაქესთან, რომელმაც მას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ხსენებულ საქმეზე გამოძიება დაიწყო 2020 წლის 20 ოქტომბერს 23:00 საათზე, ხოლო 2020 წლის 22 ოქტომბერს 16:00 საათზე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირი პასუხისგებაში იყო მიცემული. პროკურორის განმარტებით, ბრალდებულ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით. სასამართლოში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების განხილვასთან დაკავშირებით, პროკურორის ახსნა-განმარტებით დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე წინა სასამართლო სხდომები ინიშნება დაახლოებით 60 (სამოცი) დღის ვადაში. აღნიშნული ვადის პრაქტიკაში დაწესება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ერთის მხრივ ბრალდების მხარეს ჰქონდეს საკმარისი დრო საქმეზე სათანადო მტკიცებულებების შესაკრებად, ხოლო მეორეს მხრივ დაცვის მხარეს სასამართლო პროცესისთვის კარგად მომზადების შესაძლებლობა მიეცეს.

## დასკვნა

საგამოძიებო კომისიამ დასკვნით ნაწილში შეაჯამა მისი აქტიური საქმიანობის დაწყებიდან (2021 წლის 13 მაისი) საქმიანობის დამთავრებამდე (2021 წლის 26 ივლისის ჩათვლით), გაწეული სამუშაო და დაადგინა:

საგამოძიებო კომისიამ მანდატით მინიჭებული საქმიანობის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საგამოძიებო კომისიის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, გამოიკვლია 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებული შესაძლო დარღვევები და შეაფასა მათი გავლენა არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

ეუთო/ოდირმა (OSCE/ODIHR), ყველაზე მაღალი ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც ახორციელებდა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებას, არჩევნები შეაფასა როგორც კონკურენტული, ჩატარებული ძირითადი თავისუფლებების დაცვით. აღნიშნული შეფასება გაიზიარა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების სადამკვირვებლო მისიებმა, როგორიცაა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა (PACE), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა (OSCEPA), ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (NATOPA), ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI).

მიუხედავად ამისა 2020 წლის 01 ნოემბრიდან საარჩევნო სუბიექტების ნაწილმა უნდობლობა გამოუცხადა ჩატარებული არჩევნების შედეგებს და მხარდამჭერებს მოუწოდა საპროტესტო აქციებისკენ. მმართველმა პარტიამ ოპონენტებს შესთავაზა ასეულობით საარჩევნო უბნის დალუქული საარჩევნო დოკუმენტაციის გადათვლა, ყველა საარჩევნო უბნის ვიდეოჩანაწერების ამოღება და გაცნობა, სატელევიზიო დებატები არჩევნებთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესახებ, აგრეთვე პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა. თუმცა, ყველა აღნიშნულ შეთავაზებაზე ოპოზიციამ საჯაროდ უარი განაცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ მმართველ პარტიას საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ გააჩნდა, საგამოძიებო კომისია შეიქმნა სწორედ ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივით. საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში, უმრავლესობის წარმომადგენლების მხრიდან არაერთი საჯაროდ გაკეთებული შეთავაზების მიუხედავად, საგამოძიებო კომისიის საქმიანობას არ შეუერთდა არცერთი ის საპარლამენტო ოპოზიციური პარტია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს. უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 68-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საგამოძიებო კომისიის საჯარო სხდომას შეიძლება სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს სხვა პარლამენტის წევრი. საგამოძიებო კომისიის საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენელი დეპუტატები (გარდა ევროპელი სოციალისტებისა, რომლებიც საგამოძიებო კომისიის წევრები იყვნენ) არცერთ სხდომას არ დასწრებიან. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების მთელი პერიოდის განმავლობაში (2021 წლის 17 თებერვლიდან 26 ივლისის ჩათვლით) ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, მმართველი პარტიისა და საგამოძიებო კომისიის წევრების არაერთი საჯარო მოწოდების მიუხედავად, ერთი მტკიცებულებაც კი არ წარმოუდგენიათ საგამოძიებო კომისიის წინაშე, რაც ოდნავ მაინც გაამყარებდა იმ მრავალრიცხოვან განცხადებებს არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით, რაშიც საზოგადოებას არწმუნებდნენ ბოლო 9 (ცხრა) თვის განმავლობაში.

საგამოძიებო კომისიამ განიხილა და შეაფასა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხი და დაადგინა, რომ 2020 წლის ივნისი-ივლისის თვეში საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციაში, საქართველოს ორგანული კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", საქართველოს ორგანული კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" შეტანილმა ცვლილებებმა პოზიტიური გავლენა იქონია საარჩევნო პროცესში ჩართული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო უფლების ეფექტურად რეალიზაციის კუთხით. კერძოდ:

1. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, $2^1$ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად (29.06.2020) 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცათ აერჩიათ 120 (ასოცი) პარლამენტის წევრი პროპორციული წესით, ხოლო 30 (ოცდაათი) პარლამენტის წევრი მაჟორიტარული წესით (ნაცვლად მანამდე მოქმედი 77 პროპორციული და 73 მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტის წევრისა).

2. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, $2^1$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (29.06.2020), შეიცვალა პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატების განაწილების წესი და ის განაწილდა იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების ერთი პროცენტი მაინც მიიღეს, ასევე იმ საარჩევნო ბლოკებზე, რომელთა მიერ მიღებული ნამდვილი ხმების პროცენტული მაჩვენებელი ერთი პროცენტისა და საარჩევნო ბლოკში შემავალი პოლიტიკური პარტიების რაოდენობის ნამრავლს შეადგენდა (ნაცვლად მანამდე მოქმედი 5%-იანი ბარიერისა).

3. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, $2^1$ მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად (29.06.2020), შემცირდა პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერების მინიმალური რაოდენობა კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული პარტიებისთვის, რომლებსაც ამგვარი ხელმოწერების წარმოდგენის ვალდებულება გააჩნდათ; განისაზღვრა საარჩევნო სუბიექტების კატეგორია, რომლებიც გათავისუფლდნენ მხარდამჭერების სიის წარდგენის ვალდებულებისგან;

4. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, მე-13 პუნქტის (02.07.2020) თანახმად, შეიცვალა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის წესი. კერძოდ, ექვს წევრს ირჩევდა შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერდა, მათ შორის, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ ხუთი წლის ვადით არჩეული სამი წევრი მაინც. არჩევის პროცედურაში არ მონაწილეობდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი, თუ ის იყო შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატის ოჯახის წევრი. დაუშვებლად იქნა მიჩნეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირის არჩევა, რომელიც ბოლო საერთო არჩევნებში რომელიმე დონის საარჩევნო კომისიის წევრად პოლიტიკური პარტიის მიერ იყო დანიშნული;

5. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 24-ე პუნქტის თანახმად (02.07.2020), აიკრძალა კენჭისყრის შენობის

შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება. ასევე, კენჭისყრის შენობაში ან ამ შენობიდან 25 მეტრის მანძილზე პირის მიერ არჩევნებზე გამოცხადებული ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება (გარდა ეგზიტპოლის მიზნით განხორციელებული საქმიანობისა);

6. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, მე-12 პუნქტის თანახმად (15.07.2020), დაზუსტდა იმ საჯარო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელთა თანამშრომლებს აეკრძალათ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა და აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან უშუალოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას;
7. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 53-ე პუნქტის თანახმად (02.07.2020), ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით განისაზღვრა ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიება და ვადა;
8. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, მე-15 პუნქტის თანახმად (02.07.2020), საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში საარჩევნო სიებთან დაკავშირებით დაწესდა სავალდებულო გენდერული კვოტირების პრინციპი, კერძოდ განისაზღვრა პარტიულ სიაში სქესთა ბალანსთან დაკავშირებული სავალდებულო კვოტა პარტიის საარჩევნო რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისთვის.

ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზის საფუძველზე საგამოძიებო კომისიამ დაასკვნა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა შესაძლებლობა მისცა როგორც ახლად შექმნილ, ასევე პატარა პარტიებს დაბალი ბარიერის პირობებში, ასევე უფრო დიდი რაოდენობის პროპორციული წესით ასარჩევი პარლამენტის წევრის მანდატის პირობებში, მოეპოვებინათ ამომრჩეველთა საკმარისი ხმები, რაც რეალობაში განხორციელდა და 9 (ცხრა) საარჩევნო სუბიექტის მე-10 მოწვევის საქართველოს პარლამენტში წარმოდგენით ჩამოყალიბდა მრავალპარტიული პარლამენტი.

საგამოძიებო კომისიამ მანდატით მინიჭებული საქმიანობის ფარგლებში გამოითხოვა ინფორმაცია, გაანალიზა და შეაფასა სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაწეული საქმიანობა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, კენჭისყრის დღეს და არჩევნების შემდგომ პერიოდში იმ მიზნით, რომ დადგენილიყო თუ რამდენად უსაფრთხო გარემოში ეძლეოდათ შესაძლებლობა საარჩევნო სუბიექტებსა და ამომრჩევლებს თავისუფლად განეხორციელებინათ საარჩევნო კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლება და რამდენად ეფექტურად მოქმედებდნენ სამართალდამცავი ორგანოები გარკვეული სახის გადაცდომების პრევენციის ან შემდგომი რეაგირების მიზნით. შესაბამისად, ინფორმაციის ანალიზის შედეგად საგამოძიებო კომისიამ დაადგინა:

საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში (სსკ) დაწესებულია არჩევნებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულებებზე სპეციალური მუხლები, რომელთა ჩადენის შემთხვევაში სსკ-ით გათვალისწინებულია შესაბამისი სასჯელები. კერძოდ, სსკ-ის 162-ე მუხლი ითვალისწინებს არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლას; სსკ-ის $162^1$ მუხლი - კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობას ან ძალადობის მუქარას; სსკ-ის 164-

ე მუხლი - ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას, ხმების არასწორად დათვლას ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამებას; სსკ-ის 164[1] მუხლი - ამომრჩევლის მოსყიდვას; სსკ-ის 164[2] მუხლი - ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღებას; სსკ-ის 164[3] მუხლი - არჩევნების გაყალბებას; სსკ-ის 164[4] მუხლი - ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენას ან/და საარჩევნო ხმის ფარულობის დარღვევას.

მიუხედავად ზემოთჩამოთვლილი სპეციალური მუხლებისა, შსს-სა და საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე კენჭისყრის დღესა და არჩევნების შემდგომ პერიოდში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ისეთი ხასიათის დანაშაულებების ჩადენის ფაქტებს, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება საარჩევნო თემატიკას, თუმცა გავლენას ახდენს არჩევნებში ჩართული მხარეების საარჩევნო კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების თავისუფლად განხორციელებაზე.

საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ შსს-სა და საქართველოს პროკურატურის მიერ წინასაარჩევნო პერიოდთან და არჩევნების დღეს მომხდარ დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედებებთან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია 180 (ასოთხმოცი) სისხლის სამართლის საქმეზე, რომელთაგან დღემდე - გამოძიება მიმდინარეობს 125 (ასოცდახუთი) საქმეზე, გამოძიება სხვადასხვა საფუძვლით (მათ შორის საქართველოს პარლამენტის მიერ 2021 წლის იანვარში მიღებული კანონით „ამნისტიის შესახებ“) შეწყდა 26 (ოცდაექვსი) საქმეზე, დევნა დაიწყო 17 (ჩვიდმეტი) პირის მიმართ, დევნა შეწყდა 4 (ოთხი) პირის მიმართ, სასამართლოში წარიმართა 14 (თოთხმეტი) საქმე, რომელთაგან 5 (ხუთი) სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 2 (ორი) სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო განხილვა შეწყდა 2021 წლის იანვრის კანონით „ამნისტიის შესახებ“.

საქართველოს პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციისა და ახსნა-განმარტებების შედეგად გამოიკვეთა, რომ საქმეთა ნაწილზე გამოძიება დასრულდა და დამდგარია სასამართლოს განაჩენი ან სასამართლოში განხილვის სტადიაზეა. საგამოძიებო კომისია ყურადღება გაამახვილა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა მომხდარ (ჩადენილ) კანონდარღვევებზე სამართალდამცავ (საგამოძიებო) უწყებათა რეაგირება. საქართველოს პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზით დგინდება, რომ სამართლებრივი რეაგირება ყველა გამოვლენილ კანონდარღვევაზე იყო კანონიერი და ადექვატური, რომელთა ერთობლიობაც ქმნის მოცემულობას, რომ ერთის მხრივ პრევენციული ხასიათი და ეფექტი ჰქონდეს, ხოლო მეორეს მხრივ სასჯელის უმთავრესი პრინციპი სასჯელის გარდუვალობა იყოს გარანტირებული. აქვე აღნიშვნის საგანია პროკურატურის დისკრეციის სწორი გაგება, რაც საფუძველი გახდა სწორი კვალიფიკაციით დაწყებულიყო/წარმართულიყო სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებები, აღნიშნულის ნათელი მაგალითებია: სსკ-ის 164-ე, სსკ-ის 162-ე, სსკ-ის 154-ე, სსკ-ის 339-ე მუხლებით დაკვალიფიცირებული ქმედებები. საგამოძიებო კომისიას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების დასრულება მოკლე ვადებში, რასაც პრევენციული ეფექტი უნდა ჰქონდეს შემდგომ არჩევნებზე შესაძლო დანაშაულის ჩადენაზე.

საგამოძიებო კომისიამ შეისწავლა და დეტალური ანალიზი მოახდინა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ცესკოს გაწეულ საქმიანობის იმ მიზნით, რომ დაედგინა რამდენად ეფექტური იყო ცესკო როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე კენჭისყრის დღესა და მის შემდგომ პერიოდში, რამდენად უზრუნველყოფილი იყვნენ საარჩევნო სუბიექტები საკუთარი საარჩევნო უფლების გამოყენების შესაძლებლობით და რამდენად თავისუფლად და უსაფრთხოდ მიეცათ საშუალება ამომრჩევლებს მისულიყვნენ საარჩევნო უბანზე და თავისუფლად მოეხდინათ საარჩევნო უფლების რეალიზაცია, რამდენად ეფექტური იყო ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის

მიზნით ცესკოს მიერ განხორციელებული აქტივობები. შესწავლის საფუძველზე საგამოძიებო კომისიამ დაადგინა:

- ცესკომ ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციისა და საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისა და ამომრჩეველთა საარჩევნო კანონდემბლობით გათვალისწინებული უფლებების თავისუფლად რეალიზაციის მიზნით განახორციელა მთელი რიგი საქმიანობა, რომელმაც ეფექტური გავლენა მოახდინა არჩევნების უსაფრთხო პირობებში ჩატარებაზე. კერძოდ: ცესკომ მიიღო კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიური პროტოკოლი და დადგენილება[62], რომლითაც განისაზღვრა სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების ყველა ჯგუფის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ზოგიერთი საარჩევნო პროცედურა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები. ცესკომ ასევე მიიღო დადგენილება[63], რომლის თანახმადაც განსაზღვრა საარჩევნო კომისიების კუთვნილ ან/და საარჩევნო კომისიებისთვის გადაცემულ შენობებში შესვლისას/გამოსვლისას და შენობებში ყოფნისას/გადაადგილებისას სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები, საარჩევნო კომისიების საქმიანობისთვის საჭირო სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები, რომელთა შესრულება სავალდებულო იყო როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, ისე არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციასთან ურთიერთობისას და საარჩევნო კომისიის შენობებში მყოფი ნებისმიერი პირისთვის.

  სტაციონალურ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი პირების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათი საყოველთაო საარჩევნო უფლების რეალიზების მიზნით, ცესკომ დადგენილებით განსაზღვრა კონკრეტული წესები და პირობები. თითოეული მუნიციპალიტეტის საზღვრებში შეიქმნა სპეციალური საარჩევნო უბნები.

- საარჩევნო ადმინისტრაციამ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსი გამჭვირვალე და ყველასთვის ხელმისაწვდომად წარმართა და ცესკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის მიცემული იყო რეკომენდაციები, რათა საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე შერჩეული ყოფილიყო პროფესიონალი კომისიის წევრები.

- საარჩევნო პროცესებზე დაკვირვების მიზნით, ცესკომ საპარლამენტო არჩევნებზე დაარეგისტრირა ყველა ის ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაკვირვებისთვის საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდნენ. ცესკოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ხელი მოეწერა 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა ქცევის (ეთიკის) კოდექსს.

- 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების თავისუფლად და უწყვეტად გაშუქების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ დაარეგისტრირა 118 მედია ორგანიზაციის 6016-მა წარმომადგენელი.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ ეფექტურად განახორციელა კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობა, საგამოძიებო კომისიის მუშაობის პერიოდში

[62] იხ. ცესკოს დადგენილება №38/2020 (18.09.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4995599?publication=0
[63] იხ.ცესკოს №24/2020 დადგენილება (01.09.2020) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4982188?publication=0

გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, რომელსაც მართალია გავლენა არ მოუხდენია არჩევნების საბოლოო შედეგებზე, თუმცა ცესკოს მხრიდან საჭიროებს აქტიურ მუშაობას მომდევნო არჩევნებზე ხსენებული პრობლემების არსებობის თავიდან აცილების მიზნით. კერძოდ, საგამოძიებო კომისიის მიერ დადგინდა ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დაბალი კომპეტენციისა და დაკისრებული ვალდებულებების პირნათლად შეუსრულებლობის შემთხვევები. ამ მიზნით, საგამოძიებო კომისიის დასკვნით, მნიშვნელოვანია მკაცრად განისაზღვროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევის მაღალი სტანდარტი და მოხდეს მათი აქტიური გადამზადება კენჭისყრის დღის პროცედურების განსახორციელებლად.

საგამოძიებო კომისიამ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, კენჭისყრის დღესა და არჩევნების შემდგომ პერიოდში შესაძლო დარღვევების არსებობისა და არჩევნების საბოლოო შედეგებზე მათი გავლენის დასადგენად, შემთხვევითობით შერჩევის პრინციპის საფუძველზე შეარჩია ყველაზე პრობლემური (დისბალანსიანი) 38 (ოცდათვრამეტი) საარჩევნო უბნიდან 20 (ოცი) საარჩევნო უბანი და შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მთვლელების საშუალებით გადათვალა ზემოხსენებული 20 (ოცი) საარჩევნო უბანი. საგამოძიებო კომისიის მიერ კონკრეტული საარჩევნო უბნის პრობლემურ უბნად შეფასება გამომდინარეობდა ამ საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირებული დისბალანსიდან (საარჩევნო ბიულეტენების მეტობა ან ნაკლებობა), რასაც ემთხვეოდა მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ამ საარჩევნო უბნებზე დაწერილი საჩივრები.

2021 წლის 03-04 ივნისს საარჩევნო უბნების გადათვლის შედეგად საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ ყველაზე პრობლემურად მიჩნეულ საარჩევნო უბნების მონაცემებში ადგილი არ ჰქონია ისეთ ცვლილებას, რომელიც გავლენას იქონიებდა არჩევნების საბოლოო შედეგებზე. აღნიშნულის დასკვნის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გადათვლის შედეგად მიღებული შედეგების შედარებით ცესკოს მიერ ამ საარჩევნო უბნების შედეგებთან დაკავშირებით ოფიციალურ ვებ-გვერდზე ატვირთულ შემაჯამებელი ოქმების მონაცემებთან დაფიქსირდა უმნიშვნელო ხასიათის ცვლილებები ასახული მეასედებით კლებასა ან მეტობაში, რაც ჯდება დასაშვები ცდომილების პარამეტრებში და რასაც არ შეიძლება ჰქონოდა რაიმე სახის გავლენა საბოლოო შედეგებზე.

საგამოძიებო კომისიამ გადათვლის შედეგების შეჯამების ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ საარჩევნო უბნების შედეგების შეჯამებისას ადგილი ჰქონდა კომისიების წევრების მხრიდან სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის შეცდომებს, ასევე კომისიის მხრიდან მის დისკრეციულ უფლებამოსილებაში შემავალი ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რომელსაც საბოლოო შედეგებზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. კერძოდ, კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა სიაში გამორჩენილი იყო რეგისტრატორის ხელმოწერა, რეგისტრატორი კომისიის წევრის მიერ ერთეული ბიულეტენების გადაყოლა ამომრჩევლისთვის, საარჩევნო ბიულეტენი გაცემული იყო რეგისტრატორი კომისიის წევრის ხელმოწერის ან/და ბეჭდით დამოწმების გარეშე, საარჩევნო ბიულეტენი არასწორად იყო ჩათვლილი კომისიის მიერ ბათილ ბიულეტენად, ე.წ. „სადავო" ბიულეტენები, რომლის ნამდვილობა/ბათილობის საკითხის გადაწყვეტა კომისიის წევრების დისკრეციული უფლებამოსილება იყო. აგრეთვე, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა საარჩევნო უბანი არჩევნების დასრულებამდე მიატოვა არასაპატიო მიზეზის გამო და ხელი ვერ მოაწერა შემაჯამებელ ოქმს.

საგამოძიებო კომისიამ განახორციელა ზემოხსენებულ გადაცდომებზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და იმის გათვალისწინებით, რომ საგამოძიებო კომისიის საქმიანობის პერიოდისთვის ისინი აღარ ირიცხებოდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებად, ვერ წარუდგინა ცესკოს რეკომენდაცია მათ მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების

თაობაზე. შესაბამისად, საგამოძიებო კომისიამ მიმართა ცესკოს საუბნო საარჩევნო კომისიის 6 (ექვსი) ყოფილ წევრთან დაკავშირებით, სამომავლოდ საარჩევნო ადმინისტრაციაში მათი დასაქმების მიზანშეუწონლობის თაობაზე (იხ. დანართი №7). ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 02 ივლისის საპასუხო წერილით საგამოძიებო კომისიის რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა და ცესკოს მიერ განხორციელდა საგამოძიებო კომისიის რეკომენდაციის დაგზავნა საარჩევნო ადმინისტრაციის შესაბამისი მოხელეებისთვის (იხ. დანართი №8).

საგამოძიებო კომისიამ, მანდატით მინიჭებული საქმიანობის ფარგლებში, ასევე განიხილა საგამოძიებო კომისიის მდივნის დავით ზილფიმიანის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგია. კერძოდ, აპარატმა დაამუშავა ინფორმაცია, თუ რა პროცენტული შედეგი ექნებოდათ პოლიტიკურ სუბიექტებს 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარალამენტო არჩევნებზე თუ ყველა საარჩევნო უბნის ჯამურ მონაცემს გამოაკლდებოდა საგამოძიებო კომისიის მიერ მონაცემთა დამუშავების საფუძველზე გამოვლენილი ყველაზე პრობლემური 38 (ოცდათვრამეტი) საარჩევნო უბნის შედეგი. დამუშავებულმა ინფორმაციამ აჩვენა, რომ მონაცემთა ცვლილება იმდენად მცირე იყო (ცვლილებები ასახული მეასედებით კლებასა ან მეტობაში), რომ არსებით გავლენას ვერანაირად იქონიებდა არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

საგამოძიებო კომისიამ ცესკოდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე შემაჯამებელ ოქმზე დაფიქსირებულ განსხვავებულ აზრს, დაადგინა, რომ 3 847 (სამი ათას რვაას ორმოცდაშვიდი) საარჩევნო უბანზე ოპოზიციას (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) ჰყავდა დანიშნული 11 000-ზე მეტი კომისიის წევრი. ამ საარჩევნო უბნებზე შედგენილი შემაჯამებელი ოქმებიდან, განსხვავებული აზრი მხოლოდ 8 (რვა) შემთხვევაში დაიწერა პროპორციულ შემაჯამებელ ოქმთან დაკავშირებით და 6 (ექვსი) შემთხვევაში - მაჟორიტარულ შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით. ცესკოდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად საგამოძიებო კომისიამ დაასკვნა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე მხოლოდ 8 (რვა) საარჩევნო უბნის შემთხვევაში კომისიის წევრი არ დაეთანხმა საარჩევნო უბნის შედეგებს, რაც იმას გულისხმობს რომ ყველა დანარჩენ შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები დაეთანხმნენ შესაბამისი საარჩევნო უბნის შედეგებს, შემაჯამებელი ოქმის მონაცემებთან დაკავშირებით კითხვები არ დაუსვამთ და საბოლოო შედეგები არ გაუპროტესტებიათ. აღნიშნულს ასევე ამყარებს საგამოძიებო კომისიის მიერ ახსნა-განმარტებების მიღების დროს გამოკითხული საუბნო საარჩევნო კომისიის ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ევროპული საქართველოს დანიშნული კომისიის წევრების განცხადებები, სადაც ისინი მიუთითებენ მათ საარჩევნო უბნებზე არჩევნების ჩატარების მოქმედ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაზე და არ ასახელებენ გაყალბების ან რაიმე სახის უხეში დარღვევის თუნდაც ერთ ფაქტს.

საგამოძიებო კომისიამ გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია ცესკოდან, დაამუშავა და ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე წინასწარი შედეგები გამოცხადდა საარჩევნო უბნების დახურვიდან 7 (შვიდი) საათსა და 25 (ოცდახუთი) წუთში; 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე - 5 (ხუთი) საათსა და 30 (ოცდაათი) წუთში; 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე - 8 (რვა) საათში. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, საგამოძიებო კომისიამ ასევე დაადგინა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, პირველად დაფიქსირდა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის, 50 (ორმოცდაათი) საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობა, განსხვავებით წინა საპარლამენტო არჩევნებისგან, როდესაც მაგალითად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე წარმოდგენილი იყო 25 (ოცდახუთი)

საარჩევნო სუბიექტი, ხოლო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე - 16 (თექვსმეტი) საარჩევნო სუბიექტი. ხსენებული საკითხის შესწავლა გამომდინარეობდა საგამოძიებო კომისიის იმ მიზნიდან, რომ დადგენილიყო ხომ არ ჰქონდა ადგილი 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე წინასწარი შედეგების გამოცხადების დაგვიანების ფაქტს. თუმცა, საგამოძიებო კომისიამ ინფორმაციის ანალიზისა და ცესკოს თავმჯდომარისგან მიღებული ახსნა-განმარტების საფუძველზე დაასკვნა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე, გაორმაგებული საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობის პირობებში საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ბიულეტენების დახარისხებისა და დათვლისთვის მეტი დროის საჭიროება ობიექტურად ლოგიკურ შესაბამისობას წარმოადგენდა. საგამოძიებო კომისიამ მიიჩნია, რომ 7 (შვიდი) საათსა და 25 (ოცდახუთი) წუთში წინასწარი შედეგების გამოცხადება იყო ადექვატური იმ პროცესთან მიმართებაში, რომელსაც საუბნო საარჩევნო კომისიებში ადგილი ჰქონდა. თუმცა აქვე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი შედეგები გამოცხადდა საარჩევნო უბნების დახურვიდან 7 (შვიდი) საათსა და 25 (ოცდახუთი) წუთში, საარჩევნო უბნების დახურვიდან რამდენიმე საათში დათვლილი საარჩევნო უბნების შედეგების ამსახველი ოქმები იტვირთებოდა ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

საგამოძიებო კომისიამ დისბალანსიანი შემაჯამებელი ოქმების შესწავლის, მოწოდებული ინფორმაციის ანალიზისა და დამუშავების საფუძველზე დაადგინა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, პროპორციულ ნაწილში დისბალანსის გამომწვევი ნაკლები ბიულეტენების ჯამური რაოდენობა შეადგენდა 3088-ს (სამი ათას ოთხმოცდარვა), ხოლო მეტი ბიულეტენების ჯამური რაოდენობა - 26-ს (ოცდაექვსი), რაც საერთო ჯამში ბიულეტენების საერთო რაოდენობის 0.16% იყო. საგამოძიებო კომისიამ შეადარა დისბალანსის გამომწვევი ბიულეტენების საერთო რაოდენობის სტატისტიკური ინფორმაცია წინა საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებულ ანალოგიურ მონაცემებს და დაასკვნა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დისბალანსის გამომწვევი ბიულეტენების პროცენტული მაჩვენებელი იყო იგივე რაც 2016 წელს, მცირედით მეტი ვიდრე 2012 წელს და თითქმის 7-ჯერ ნაკლები ვიდრე 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე (იხ. ცხრილი №14).

**ცხრილი №14. 2008-2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დისბალანსის გამომწვევი ბიულეტენების რაოდენობათა ჯამი**

| საპარლამენტო არჩევნები | დისბალანსის გამომწვევი ბიულეტენების რაოდენობათა ჯამი | % (მონაწილეთა ხმებიდან) |
|---|---|---|
| 2008 | 19 799 | 1.07% |
| 2012 | 3 068 | 0.14% |
| 2016 | 2 896 | 0.16% |
| 2020 | 3 114 | 0.16% |

საგამოძიებო კომისიამ დისბალანსის გამომწვევი ბიულეტენების გარდა, ასევე შეისწავლა 2008, 2012, 2016 და 2020 წლების საპარლამენტო არჩევნებზე ბათილი ბიულეტენების სტატისტიკური ინფორმაცია და დაადგინა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებული ბათილი ბიულეტენების საერთო რაოდენობა (პროცენტული მაჩვენებლით) ნაკლები იყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონაცემებზე და მცირედით აღემატებოდა 2008 და 2012 წლების არჩევნების მონაცემებს. (იხ.ცხრილი №15)

**ცხარილო №15. 2008-2020 წლების საპარლამენტო არჩევნებზე ბათილი ბიულეტენების რაოდენობა**

| წელი | ბათილი ბიულეტენების პროცენტული რაოდენობა |
|---|---|
| 2008 | 3.03% |
| 2012 | 2.84% |
| 2016 | 3.43% |
| 2020 | 3.28% |

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ საგამოძიებო კომისიისათვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე მათთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა დისბალანსიანი შემაჯამებელი ოქმები, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შედგენილ იქნა შესაბისი შესწორების ოქმები, რითაც უმეტეს შემთხვევაში გასწორდა დისბალანსები (საარჩევნო ბიულეტენების მეტობით ან ნაკლებობით). არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ძირითად შემთხვევაში მიუღებელი იყო ხსენებული შესწორების ოქმები იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მათი ნაწილი შედგა არა უშუალოდ კენჭისყრის, არამედ მის მომდევნო დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, საარჩევნო უბნების გადათვლის გარეშე. საგამოძიებო კომისიას უყურადღებოდ არ დარჩენია ის ფაქტიც, რომ რიგი ოპოზიციური პარტიებისა, რომლებიც არჩევნების დასრულებისთანავე ცდილობდნენ არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხის ეჭვქვეშ დაყენებას, სამანიპულაციოდ იყენებდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ პირველად შემაჯამებელ ოქმებს შესწორების ოქმების გარეშე. ამით მათ შედარება მოჰყავდათ ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ატვირთულ საუბნო საარჩევნო კომისიების შესწორებულ შემაჯამებელ ოქმებთან და ხელოვნურად წარმოჩენილი დისბალანსით, მიუთითებდნენ გამოგონილ გაყალბებაზე.

საგამოძიებო კომისიამ ყველაზე პრობლემატური (დისბალანსიანი) უბნების გადათვლისას და შემდგომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისგან, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და ცესკოს თავმჯდომარისგან ახსნა-განმარტებების მიღებისას გამოარკვია, რომ ოქმებში ასახული დისბალანსის მიზეზი იყო შემდეგი ხასიათის ხარვეზები: ადამიანური შეცდომა, პანდემიისა და სტრესული გარემოს გავლენა, რიგ შემთხვევებში უპასუხისმგებლო დამოკიდებულება (გულგრილობა), კომპეტენციის ნაკლებობა. მიუხედავად აღნიშნულისა, გადათვლისა და ახსნა-განმარტებების შედეგებმა ცხადყო, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ხარვეზებს არსებითი გავლენა არჩევნების საბოლოო შედეგზე არ ჰქონია.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ არჩევნების მარეგულირებელი კანონმდებლობით, მსგავსი ხარვეზების პრევენციის მიზნით შექმნილი არის ე.წ. „გადაზღვევის“ მექანიზმი, რაც შესწორების ოქმის შედგენის და დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა. 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ[1]“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა, რომ საუბნო საარჩევნო კომისია საჭიროების შემთხვევაში,

არაუგვიანეს კენჭისყრის დღის მომდევნო დღისა ადგენდა საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებების ან/და სხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისას. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გამოთქმული პრეტენზიები შესწორების ოქმებთან დაკავშირებით და ოპოზიციური პარტიების ნაწილის მიერ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის და გამოგონილი გაყალბების არსებობის დასაბუთების მცდელობა, უსაფუძვლო და კანონმდებლობასთან შეუსაბამო იყო. აღნიშნულის თაობაზე ყურადღება გამახვილდა საგამოძიებო კომისიის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან ახსნა-განმარტებების მიღების დროს, რომლის ფარგლებშიც ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ განხორციელებული შესწორებები მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოდიოდა.

არაუფლებამოსილი პირის მიერ ან ვადის დარღვევით (ყოველი სამი საჩივრიდან ორი) დიდი რაოდენობის საჩივრების წარდგენა შესაძლოა წარმოადგენდეს რიგი საარჩევნო სუბიექტების მიერ ხელოვნურად ინსცენირებულ, წინასწარ დაგეგმილ კოორდინირებულ აქტივობას საარჩევნო დავების განმხილველი მექანიზმებისა და მთლიანად, ჩატარებული არჩევნების დისკრედიტაციის მიზნით. საარჩევნო სუბიექტების მიერ შესაბამის უწყებებში წარდგენილი საჩივრების 67% არ იქნა განხილული არაუფლებამოსილი პირის მიერ საჩივრის წარდგენის ან წარდგენისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევის გამო. ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი სარჩელებიდან მხოლოდ 15 (თხუთმეტი) სარჩელი დარჩა განუხილველი კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის გამო, რაც სასამართლოში წარდგენილი სარჩელების მხოლოდ 13%-ს წარმოადგენს.

ცესკოს და საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებით, განხორციელდა საარჩევნო უბნების უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის - 39 (ოცდაცხრამეტი) ყველაზე პრობლემური საარჩევნო უბნის გადათვლა, რომელმაც დაადასტურა, რომ საარჩევნო ხარვეზებს ვერ ექნებოდა გავლენა საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგებზე. გადათვლის შედეგად, 39-დან (ოცდაცხრამეტი) 27 (ოცდაშვიდი) უბანზე შედეგების კორექტირება არ გახდა საჭირო.

მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში, ასევე მათ წარმომადგენლებისგან საგამოძიებო კომისიის მიერ ახსნა-განმარტების მიღებისას, ყურადღება გამახვილდა წინასაარჩევნო პერიოდში ზეწოლის, მუქარის, ამომრჩევლის მოსყიდვის და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საკითხებზე. თუმცა, დადგინდა, რომ ანგარიშებში შესაბამისი მონაცემები თითქმის ყველა შემთხვევაში წარმოდგენილია არა ფაქტის, არამედ მხოლოდ ვარაუდის სახით, რაც გამოიხატება ისეთი ჩანაწერებით, როგორიცაა - „ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა", „ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენება" და ა.შ. არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ბრალდებების მართებულობას დაადასტურებდა.

მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში ასახულია ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის საკითხი. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, მმართველი პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენელი პოლიტიკოსების მიერ მოსახლეობისთვის გაწეული სოციალური დახმარება ანგარიშებში მთელი რიგი ობიექტური გარემოებების გაუთვალისწინებლად არის განხილული. უპირველეს ყოვლისა, არ არის გათვალისწინებული პანდემიით შექმნილი განსაკუთრებული სოციალური სირთულეები და საგანგებო მდგომარეობა. გარდა ამისა, ყურადღება არ არის გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ ზემოაღნიშნული სოციალური დახმარების გაწევა მხოლოდ მარტ-ივნისში წარმოებდა, პანდემიის გავრცელებასთან ერთად დაიწყო და არჩევნების დანიშვნამდე ჯერ კიდევ ორი თვით ადრე შეწყდა. სოციალური დახმარების გაწევის პერიოდში, შესაბამისი პოლიტიკოსები ჯერ არ იყვნენ საარჩევნო კანდიდატებად დასახელებული და რეგისტრირებული. მეტიც, მათ დიდ ნაწილს კენჭი არ უყრია როგორც მაჟორიტარ დეპუტატს ან

საერთოდ არ მიუღია კანდიდატის სტატუსით მონაწილეობა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" ანგარიშის მიხედვით, სავარაუდო მოსყიდვის მონაცემების თანაფარდობა მმართველი პარტიისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შორის დაახლოებით თანაბარია (58/42%). შესაბამისად, ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო ფაქტები სინამდვილესაც რომ შეესაბამებოდეს, იგი არჩევნების შედეგზე ვერავითარ არსებით გავლენას ვერ მოახდენდა. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას", მან საარჩევნო პერიოდში ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის სულ 8 (რვა) ფაქტი დააფიქსირა, რომელთაგან მხოლოდ 3 (სამი) უკავშირდება მმართველი პარტიის წარმომადგენლებს, ხოლო 5 (ხუთი) - ოპოზიციის წარმომადგენლებს.

2020 წლის 4 ნოემბერს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ გაავრცელა ერთობლივი განცხადება, სადაც აღინიშნა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი პარტიის მხრიდან ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციული რესურსის „უპრეცედენტო" გამოყენებას. თუმცა, ამ განცხადების მართებულობა არ დასტურდება ამავე ორგანიზაციების ანგარიშებით და უნდა შეფასდეს, როგორც სინამდვილის უხეში დამახინჯება. ამას ცხადყოფს ის გარემოებაც, რომ მოგვიანებით გამოქვეყნებულ ანგარიშებში ამავე ორგანიზაციებმა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მიმართ სიტყვა „უპრეცედენტო" ხმარებიდან ამოიღეს.

ამომრჩევლის მოსყიდვის ანალოგიურად, ამ შემთხვევაშიც სადამკვირვებლო ორგანიზაციები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე თითოეულ შემთხვევაში მხოლოდ ვარაუდის დონეზე მიუთითებენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" ანგარიშის თანახმად, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების სავარაუდო შემთხვევები, ძირითადად, ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებში მაჟორიტარი დეპუტატების ჩართულობასა და სააგიტაციო ღონისძიებებზე საჯარო მოსამსახურეების დასწრებას უკავშირდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში არ ირღვეოდა კანონი. გარდა ამისა, აღწერილი სავარაუდო შემთხვევები არჩევნების საბოლოო შედეგებზე ვერავითარ არსებით გავლენას ვერ იქონიებდა.

როგორც საერთაშორისო დამკვირვებლების, ისე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში აღიარებულია, რომ კენჭისყრის დღემ საარჩევნო უბნების უდიდეს ნაწილში მშვიდ გარემოში ჩაიარა და ამომრჩეველს ჰქონდა სრული შესაძლებლობა, საარჩევნო ყუთთან თავისი ნება თავისუფლად გამოეხატა.

მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში, ზემოაღნიშნულ „სავარაუდო შემთხვევებზე" მითითებით, საუბარია „წაშლილ ზღვარზე სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის". ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების სავარაუდო შემთხვევების მოცულობისა და ხარისხის, აგრეთვე მტკიცებულებების არარსებობის გათვალისწინებით, აღნიშნული შეფასება ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" ანგარიშში მითითებულია სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების 14 (თოთხმეტი), ხოლო „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ანგარიშში - 25 (ოცდახუთი) შემთხვევა. ანგარიშებში არ არის წარმოდგენილი არავითარი მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას რაიმე პოლიტიკური სარჩული შეიძლებოდა ჰქონოდა.

ანგარიშებში, აგრეთვე, მიმოხილულია სავარაუდო ზეწოლის, მუქარისა და თვალთვალის ფაქტები ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიმართ. არცერთი ეს ფაქტი არ არის

დადასტურებული მტკიცებულებით. გარდა ამისა, ამ შემთხვევაშიც, პოლიტიკური პარტიებს ჰქონდათ სუბიექტური ინტერესი, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე ესაუბრათ ზეწოლასა და მუქარაზე მათი წევრებისა და მხარდამჭერების მიმართ. აქედან გამომდინარე, შესაბამისი ბრალდებები დამაჯერებლობას არის მოკლებული.

მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებით იქმნებოდა მცდარი აღქმა, რომ, თითქოს, დაფინანსების თვალსაზრისით, მმართველი პარტია სარგებლობდა ჭარბი უპირატესობით ოპოზიციურ პარტიებთან მიმართებით. სინამდვილეში, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის სახელწიფო ბიუჯეტიდან და კერძო შემოწირულობებით მიღებული თანხის ჯამურმა ოდენობამ ყველა პარტიისთვის 38 607 364 ლარი შეადგინა, საიდანაც მმართველ პარტიას 45% ხვდა წილად, რაც რამდენიმე პროცენტით ჩამორჩება მმართველი პარტიის მიერ 2016 და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების პროცენტულ მაჩვენებელს.

განსხვავებით წინა არჩევნებისგან, როდესაც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია თუ პოლიტიკური სუბიექტი სრულიად უსაფუძვლოდ, ყოველგვარი ფაქტებისა და მტკიცებულებების გარეშე, საარჩევნო სიებსა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გამოყენებაზე ამახვილებდა საზოგადოების ყურადღებას, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან მიმართებით ანგარიშებში საარჩევნო სიებში არსებულ შესაძლო ხარვეზებზე ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობების კანონსაწინააღმდეგო გამოყენებაზე რაიმე ჩანაწერი არ გვხვდება. მეტიც, ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) საბოლოო ანგარიშის თანახმად, ეუთო/ოდირის (OSCE/ODIHR) სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას, დაინტერესებული მხარეების უმრავლესობამ ამომრჩეველთა სიების მიმართ ნდობა გამოხატა.

საგამოძიებო კომისიამ შეისწავლა არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" ჩატარებული ხმის მიცემის პარალელური დათვლასთან დაკავშირებული საკითხი და გამოავლინა, რომ ორგანიზაციის მიერ განხორციელებულმა პარალელური დათვლის არასწორმა შედეგებმა პირდაპირი გავლენა მოახდინა პოლიტიკური პროცესების ესკალაციაზე, გაამყარა ოპოზიციის დიდი ნაწილის უსაფუძვლო ბრალდებები გაყალბებულ არჩევნებთან დაკავშირებით, ქვეყანას მიაყენა რეპუტაციული ზიანი და სერიოზულად შელახა თავად ორგანიზაციის იმიჯი.

ორგანიზაციამ 1 ნოემბერს, ნაცვლად დაანონსებული 11 საათისა, ბუნდოვანი მიზეზით, 3 საათის დაგვიანებით, 14 საათზე გამოაქვეყნა პარალელური დათვლის შედეგები, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ცესკოს მიერ გამოქვეყნებული როგორც პირველადი, ისე საბოლოო შედეგებისგან. აღნიშნული გარემოება ოპოზიციის დიდი ნაწილის მიერ 6 კვირის განმავლობაში გამოიყენებოდა როგორც ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი არჩევნების გაყალბების მტკიცებისას.

მმართველმა პარტიამ პარალელური დათვლის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღეში საჯარო ბრიფინგზე ეჭვქვეშ დააყენა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი შედეგები, ხოლო 2 კვირის თავზე მიმართა ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს და მოუწოდა ეღიარებინა უხეში უზუსტობა, რაზეც ამ უკანასკნელისგან უარი მიიღო. თუმცა, მოგვიანებით, მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით განხორციელებული არაერთი კომუნიკაციის საფუძველზე, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, ჩაეტარებინა შიდა აუდიტი, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ პარალელური დათვლის შედეგები არასწორი იყო.

საგამოძიებო კომისიის საქმიანობით გამოიკვეთა, რომ პარალელური დათვლის არასწორი შედეგები შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო როგორც უხეში შეცდომით, ისე მიზანმიმართულად განხორციელებული ქმედებით. ორგანიზაციის მიერ არასწორად იყო

გამოყენებული ფორმულა, რომლის კორექტირების შემდეგ პარალელური დათვლის შედეგები ცესკოს შედეგებს დაემთხვა.

პარალელური დათვლის არასწორ შედეგებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ეჭვს იწვევს შემდეგი გარემოებები: 1. პარალელური დათვლის შედეგების გამოცხადება სრულიად ბუნდოვანი მიზეზით დაგვიანდა რამდენიმე საათით; 2. არასწორ ფორმულაზე მმართველი პარტიის მხრიდან არაერთხელ არგუმენტირებულად მითითების მიუხედავად, ორგანიზაციამ უზუსტობა რამდენიმე კვირის განმავლობაში არ აღიარა; 3. ორგანიზაციამ პარალელური დათვლის არასწორ შედეგებთან ერთად, გამოაქვეყნა უხეშად მანიპულირებული მონაცემები საარჩევნო უბნების ოქმებში 8% მეტობის დისბალანსთან დაკავშირებით, რისი სიმცდარეც საგამოძიებო კომისიის მიერ ფაქტების გადამოწმების შედეგადაც დადასტურდა.

ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე, საგამოძიებო კომისიამ დაასკვნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" დაარღვია ხელმოწერილი 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა ქცევის (ეთიკის) კოდექსი.

არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" წარმომადგენლებთან 2021 წლის 18 ივნისის შეხვედრის ფორმატში, საგამოძიებო კომისიამ მოითხოვა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პარალელური დათვლის ფარგლებში გამოვლენილი 8% საარჩევნო უბნების ჩამონათვალი, სადაც მათი არაერთი საჯარო განცხადებითა და არჩევნებთან დაკავშირებული ანგარიშში მოყვანილი ინფორმაციით, შემაჯამებელ ოქმებში ფიქსირდებოდა დისბალანსი ბიულეტენების მეტობით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერებთან შედარებით. აღნიშნულის საპასუხოდ, 2021 წლის 21 ივნისს არასამთავრობო ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარმოდგენილ იქნა 71 საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმი, რომელთაგან მხოლოდ 28 (ოცდარვა) შემაჯამებელ ოქმს ერთვოდა შესწორების ოქმი (26 შემთხვევაში) ან საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება (1 შემთხვევაში) ან ახსნა-განმარტება (1 შემთხვევაში). 43 (ორმოცდასამი) შემაჯამებელი ოქმი წარმოდგენილი იყო პირველადი ფორმით, დამატებითი დოკუმენტაციის გარეშე.

საგამოძიებო კომისიამ აღნიშნული დოკუმენტაცია გადაუგზავნა ცესკოს და მოითხოვა წერილობითი პოზიციის დაფიქსირება. ცესკოს 2021 წლის 28 ივნისის წერილით დგინდება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" მიერ წარმოდგენილი 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმების ძირითად ნაწილს არ ერთვოდა საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი შესწორების ოქმი ან/და ახსნა-განმარტება, რომელთა გათვალისწინებით ე.წ. დისბალანსი საუბნო შემაჯამებელ ოქმებში არ ფიქსირდებოდა. აღნიშნული შესწორების ოქმები და ახსნა-განმარტებები საუბნო შემაჯამებელ ოქმებთან ერთად განთავსებულია ცესკოს ვებ-გვერდზე. ამასთანავე, საარჩევნო ადმინისტრაციამ წარმოდგენილ წერილში მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ ცესკოს თავმჯდომარემ მიმდინარე წლის 22 იანვარს წერილობით მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციას „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" და სთხოვა წარედგინა პარალელური დათვლის უბნების საერთო რაოდენობიდან კონკრეტულად რამდენ და რომელ შემაჯამებელ ოქმებში დააფიქსირა ორგანიზაციამ და მისმა დამკვირვებლებმა აღნიშნული ე.წ. მეტობით დისბალანსი, რაც არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან არ განხორციელებულა.

საგამოძიებო კომისიის მიერ შესწავლილ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" წარმოდგენილი იმ საუბნო

საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმები, სადაც ამ უკანასკნელის განცხადებით ფიქსირდებოდა დისბალანსი მეტობით. საგამოძიებო კომისიამ გამოავლინა, რომ წარმოდგენილი ოქმების ნაწილს (28 შემაჯამებელ ოქმს) თან ერთვოდა შესწორების ოქმები ან საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ან ახსნა-განმარტება, ხოლო ნაწილი (43 შემაჯამებელი ოქმი) იყო პირველადი ფორმის, რომლებთან დაკავშირებითაც კანონმდებლობის დაცვით შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი შესწორების ოქმები, საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებები და ახსნა-განმარტებები არ იყო წარმოდგენილი, თუმცა ეს უკანასკნელი ატვირთული იყო ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. საგამოძიებო კომისიამ დამატებით შესწავლის შედეგად გამოავლინა, რომ ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი 71 (სამოცდათერთმეტი) შემაჯამებელი ოქმიდან 1 (ერთი) ოქმს არ ერთვოდა რაიმე სახის დოკუმენტაცია და შესწავლის შედეგად მეტობით დისბალანსი ვერ იქნა გამოვლენილი, 6 (ექვსი) შემაჯამებელ ოქმს ერთვოდა საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, 9 (ცხრა) შემაჯამებელ ოქმს - ახსნა-განმარტება, ხოლო 55 (ორმოცდათხუთმეტი) შემაჯამებელ ოქმს - საუბნო საარჩევნო კომისიის შესწორების ოქმი. აღნიშნული მონაცემებიდან საგამოძიებო კომისიისთვის ცხადი გახდა, რომ 79% შემთხვევაში შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი უშუალოდ საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ იქნა შედგენილი. 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარების დროს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა საუბნო საარჩევნო კომისიის შესწორების ოქმით, ახსნა-განმარტებით ან საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით შემაჯამებელ ოქმებში გამოვლენილი ხარვეზების კორექტირებას როგორც არჩევნების, ასევე არჩევნების მომდევნო დღეებში. შესაბამისად, გაურკვეველია შესწორების ოქმების, ახსნა-განმარტების და საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების უგულვებელყოფა ორგანიზაციის მიერ, რაც კანონის დაცვით იყო განხორციელებული, მითუმეტეს როდესაც ამ შესწორების ოქმების უდიდესი ნაწილი შედგა საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ. შესწავლის შედეგად საგამოძიებო კომისიამ გამოავლინა დისბალანსი მეტობით 6 (ექვსი) შემაჯამებელ ოქმში (ჯამში 6 ბიულეტენით). მეტობით დისბალანსიან შემაჯამებელ ოქმებზე ცესკოდან მიღებულ ინფორმაციასთან გამოვლენილი 6 (ექვსი) შემაჯამებელი ოქმის შედარებისას დადგინდა, რომ ეს ოქმები შედის იმ 19 (ცხრამეტი) შემაჯამებელ ოქმში რაც ცესკოს მიერ აღიარებულია პრობლემატურ (მეტობით დისბალანსიან) შემაჯამებელ ოქმებად. საგამოძიებო კომისია ზემოხსენებულის საფუძველზე დარწმუნდა, რომ ორგანიზაციის არგუმენტაცია წარმოდგენილი ოქმების დისბალანსთან და 8% საარჩევნო უბნებში მეტობის დისბალანსის დაფიქსირებასთან დაკავშირებით იყო უსაფუძვლო და არგუმენტ მოკლებული.

საგამოძიებო კომისიამ არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი ოქმების შესწავლისას გამოავლინა სამი მათგანი, სადაც ფიქსირდება სხვადასხვა ხასიათის უზუსტობა. ესენია: გლდანის №08.10.17, ონის №19.43.11 და ოზურგეთის №24.60.43 საარჩევნო უბნები. აღნიშნულ ფაქტების შესწავლის შედეგად დადგინდა:

1. გლდანის №08.10.17 საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმში დაშვებული ტექნიკური ხასიათის უზუსტობასთან დაკავშირებით, „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრს" №10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილი ჰქონდა საჩივარი, რომლითაც ითხოვდა საარჩევნო კომისიის შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას. საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №040/2020 განკარგულებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (საჩივარი შინაარსობრივად ეხებოდა სხვა საარჩევნო უბნებსაც) აღნიშნული საჩივარი და ზემოხსენებული საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. ონის №19.43.11 საარჩევნო უბანთან დაკავშირებით, ცესკოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ აღნიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიაში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლების მხრიდან საჩივარი არ დაწერილა. მიღებული ინფორმაციით ასევე დგინდება, რომ ონის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაცია წარდგენილ იქნა იმ ფორმით, რაც განთავსებულია საარჩევნო ადმინისტრაციის ვებგვერდზე. შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისია არ ფლობდა იმ ინფორმაციას, რაც არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" მიერ წარმოდგენილ იქნა საგამოძიებო კომისიისთვის და მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა დისციპლინური გადაცდომის თაობაზე მანამ, სანამ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილება შეუწყდებოდათ.

3. ოზურგეთის №24.60.43 საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმში დაშვებული ტექნიკური ხასიათის უზუსტობასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციას „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" №60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში წარდგენილი ჰქონდა საჩივარი, რომლითაც ითხოვდა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნისთვის და თავმჯდომარისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას. ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2020 წლის 4 ნოემბრის №94/2020 განკარგულებით დაკმაყოფილდა საჩივარი და ზემოხსენებული საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გლდანის №08.10.17 და ოზურგეთის №24.60.43 საუბნო საარჩევნო კომისიების შემთხვევაში, შემაჯამებელ ოქმებში დაშვებულ სხვადასხვა ხასიათის უზუსტობებთან დაკავშირებით, საარჩევნო ადმინისტრაციამ პასუხისმგებლობა დააკისრა საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრებს, რომლებიც საარჩევნო კანონმდებლობით უშუალოდ იყვნენ პასუხისმგებელნი შემაჯამებელი ოქმის შედგენაზე. რაც შეეხება ონის №19.43.11 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს, მათ მიმართ ვერ განხორციელდა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად საგამოძიებო კომისიის მიერ შესაბამისი რეკომენდაციის გაცემა, რადგან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 25-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე. შესაბამისად, საგამოძიებო კომისიამ წერილით მიმართა ცესკოს ონის №19.43.11 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და მდივნის საარჩევნო ადმინისტრაციაში სამომავლოდ დასაქმების მიზანშეუწონლობის თაობაზე (იხ. დანართი №9). ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 08 ივლისის საპასუხო წერილით გათვალისწინებული იქნა საგამოძიებო კომისიის რეკომენდაცია და ინფორმაცია კონკრეტული პირების სამომავლოდ საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმების მიზანშეუწონლობის თაობაზე გაზიარებულ იქნა საარჩევნო ადმინისტრაციის შესაბამის მოხელეებთან (იხ. დანართი №10).

საგამოძიებო კომისიამ მანდატით მინიჭებული საქმიანობის პერიოდში გამოვლენილ სხვადასხვა გარემოებებთან დაკავშირებით დაადგინა, რომ საპარლამენტო არჩევნებზე გამოიკვეთა ისეთი საკითხები, რომელიც საგამოძიებო კომისიას უნდა გაეთვალისწინებინა ანგარიშის რეკომენდაციის ნაწილში, თუმცა ამ საკითხების მნიშვნელოვანი ნაწილი დარეგულირდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 2021 წლის საგაზაფხულო და რიგგარეშე სესიებზე შეტანილი ცვლილებებით. კერძოდ:

1. იქმნება ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იქნებიან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი და დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ შერჩეული საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ექსპერტები. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი ცესკოს წარუდგენს რეკომენდაციებს დავების განხილვის პროცესთან დაკავშირებით, რომელსაც ასევე შესაძლებელია მიენიჭოს დამატებითი ფუნქციები, კერძოდ, კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის პროცესზე დაკვირვება. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის რეკომენდაციებით, საარჩევნო დავების განხილვის პრაქტიკა დაიხვეწება და საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან დავების განხილვისას არათგვაროვანი მიდგომის შესაძლებლობა გამოირიცხება;

2. საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებული იქნებიან კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-6 დღისა საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო უბნებიდან შემთხვევითი შერჩევით კომისიის სხდომაზე გამოავლინონ 5 საარჩევნო უბანი, გახსნან ამ საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული პაკეტები და ხელახლა დათვალონ საარჩევნო ბიულეტენები. გარდა ამისა, საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებული იქნება, გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები იმ შემთხვევაში, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, ისე, რომ მას არ ახლავს შესწორების ოქმი, გადასწორებულია საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ან/და ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა. ზემოხსენებულ შემთხვევებში, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო უბნების გადათვლა, ფაქტობრივად გამორიცხავს არჩევნების საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით შეკითხვების არსებობას.

   საქართველოს ორგანული კანონს „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 70-ე მუხლს დაემატა $4^1$ პუნქტი, რომლის საფუძველზეც საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდის დალუქვისა და მასზე კომისიის ყველა წევრის მიერ ხელის მოწერის შემდეგ აკრძალულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის შედგენა.

   საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ამოღებულ იქნა 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ$^1$“ ქვეპუნქტი, რომლითაც საუბნო საარჩევნო კომისია საჭიროების შემთხვევაში, არაუგვიანეს კენჭისყრის დღის მომდევნო დღისა ადგენდა საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებების ან/და სხვა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების არსებობისას.

3. აიკრძალა კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. ასევე აიკრძალა კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა. რეგულაციის გამკაცრება საშუალებას მისცემს ამომრჩეველს უფრო მეტად თავისუფალ გარემოში გამოხატოს არჩევნებზე ნება და შეამცირებს ამომრჩევლის ნების გამოხატვაზე ზემოქმედების შემთხვევებს;

4. აიკრძალა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლების, იქ დასაქმებული სხვა პირების სამსახურებრივი ნიშნით შეკრება;

5. მოქნილი გახდა ცესკოში და საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივრების შეტანის წესი და გაიზარდა საარჩევნო დავების განხილვის ვადები. კერძოდ:

- საოლქო საარჩევნო კომისიაში, ცესკოში საჩივრის შეტანა დასაშვებია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით;

- საუბნო საარჩევნო კომისიის/საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 4 (ოთხი) კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში;

- საოლქო საარჩევნო კომისიის/საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში. ცესკოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

- საარჩევნო პერიოდში/სარეფერენდუმო პერიოდში ცესკოს, სწავლების ცენტრის ან/და მათი სატენდერო კომისიების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში, რომელიც საჩივარს იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიერ ცესკოს, სწავლების ცენტრის ან/და მათი სატენდერო კომისიების ქმედებებთან/გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს

თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც სარჩელს იხილავს მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

- საარჩევნო დავაზე განცხადების/საჩივრის საარჩევნო კომისიაში შეტანის უფლება ექნებათ სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლების მქონე პირებს, აგრეთვე ამ პირთა სახელით – მათი განცხადების, მიმართვის ან წარდგინების საფუძველზე – ელექტრონულ რეესტრში რეგისტრირებულ პირებს.

საარჩევნო დავების პროცედურებთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, საგამოძიებო კომისიამ დაასკვნა, რომ გასაჩივრების წესის გამარტივება და საარჩევნო დავების განხილვის ვადის გაზრდა, შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს, საარჩევნო კომისიების დონეზე დამატებითი რესურსის გამოყოფის გარეშე ისარგებლონ საჩივრის შეტანის უფლებით და ფაქტობრივად გამორიცხავს მათი წარდგენილი საჩივრების განუხილველად დატოვების შესაძლებლობას არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენის ან/და კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის დარღვევის საფუძვლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კომისიამ:

1. შეისწავლა სამართალდამცავი ორგანოების (შსს და საქართველოს პროკურატურა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ცესკოს მიერ მოწოდებებული ინფორმაცია;

2. ყველაზე პრობლემურად მიჩნეული 38 (ოცდათვრამეტი) საარჩევნო უბნებიდან შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე გამოავლინა და გადათვალა 20 (ოცი) საარჩევნო უბანი. გადათვლის შედეგად მიღებული მონაცემები შეადარა ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ შემაჯამებელ ოქმებში დაფიქსირებულ საბოლოო მონაცემებს;

3. ყველაზე პრობლემურად მიჩნეული 38 (ოცდათვრამეტი) საარჩევნო უბნების შემაჯამებელი ოქმების მონაცემები გამოაკლო ცესკოს მიერ შემაჯამებელ ოქმში ასახულ მონაცემებს და განახორციელა მათ შორის მონაცემების შედარებითი ანალიზი;

4. მიიღო ახსნა-განმარტებები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისგან, საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და ცესკოს თავმჯდომარისგან, მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებისგან (სულ 38 პირისგან);

5. შეისწავლა 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში ასახული ინფორმაცია და არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

საგამოძიებო კომისიამ, მანდატით მინიჭებული საქმიანობის ფარგლებში, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომ პერიოდში ყველა შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საკითხების მოძიების, გაანალიზების და დამუშავების შედეგად დაადგინა, რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ცესკომ უზრუნველყო კოვიდუსაფრთხო გარემოს შექმნა საარჩევნო უბნებზე, არჩევნები იყო კონკურენტუნარიანი და ძირითადი თავისუფლებები იყო უზრუნველყოფილი და არჩევნების დროს საქართველოს მოქალაქეთა მიერ გამოხატული თავისუფალი ნება პროპორციულად აისახა ცესკოს მიერ გამოქვეყნებულ შემაჯამებელ ოქმში.

შესაბამისად, საგამოძიებო კომისიამ დაასკვნა, რომ გაწეული საქმიანობის, შესწავლილი მასალისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ადგილი არ ჰქონია ისეთი ხასიათის დარღვევას, რომელსაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

# რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები ჩამოყალიბდა საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შედეგად. წარმოდგენილი რეკომენდაციები დაყოფილია მიზნობრივი უწყებების მიხედვით.

საგამოძიებო კომისია რეკომენდაციას უწევს საქართველოს პარლამენტს განახორციელოს შემდეგი სახის საკანონმდებლო ცვლილებები:

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად დამატებით განისაზღვროს საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობის შეზღუდვა ვადით ერთიდან ორ წლამდე. შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 28-ე მუხლის, მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე" ქვეპუნქტი: „საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმიანობის შეზღუდვა ვადით 1-დან 2 წლამდე";

2. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად დამატებით განისაზღვროს თანამდებობიდან გათავისუფლება და კომისიის რიგით წევრად დატოვება. შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 28-ე მუხლის, მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ" ქვეპუნქტი: „საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) თანამდებობიდან გათავისუფლება და კომისიის რიგით წევრად დატოვება".

3. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორებისთვის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 87-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია გაორმაგდეს და ნაცვლად მოქმედი ჯარიმის 500 ლარის ოდენობისა, განისაზღვროს 1 000 ლარის ოდენობით.

საგამოძიებო კომისია რეკომდენაციას უწევს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განახორციელოს შემდეგი სახის აქტივობები:

1. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „შ" ქვეპუნქტის საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სპეციალური სწავლების წესისა და პირობების შესახებ დასამტკიცებელი დადგენილებით განსაზღვროს საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრის შემაჯამებელ ოქმში შესაბამისი მონაცემებების ცარიელი გრაფების, მათ შორის საარჩევნო სუბიექტების გასწვრივ არსებული ცარიელი გრაფების, „X" სიმბოლოთი სავალდებულოდ შევსება - გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დადგენილებით ცარიელი გრაფების „X" სიმბოლოთი შევსება არის სასურველი და არა სავალდებულო და რადგან საგამოძიებო კომისიის მიერ ამგვარი რეგულირების გამო გამოწვეული არაერთი ხარვეზი იქნა გამოკვეთილი;

2. დადგენილებით განსაზღვროს შესაბამისი პროცედურა, რათა კონვერტის გარეშე აღმოჩენილი ან/და ერთ კონვერტში არსებული ერთი და იგივე სახეობის საარჩევნო ბიულეტენის ბათილად მიჩნევის მიზეზი გადათვლისას დადგენადი იყოს - გამომდინარე იქიდან, რომ საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საარჩევნო ბიულეტენი ბათილია თუ დათვლისას აღმოჩნდება, რომ იგი კონვერტის გარეშეა და ასევე, თუ კონვერტში ორი ერთი და იგივე სახეობის საარჩევნო ბიულეტენებია მოთავსებული, მაგრამ საარჩევნო ბიულეტენების გადათვლისას ნებისმიერ ეტაპზე, ძირითად შემთხვევებში გაუგებარი და დაუსაბუთებელია საარჩევნო ბიულეტენების ასეთად მიჩნევა და ბათილ საარჩევნო ბიულეტენებში მოხვედრა;

3. დადგენილებით განსაზღვროს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის ფორმაში მიღებული ბიულეტენების რაოდენობის, წლისა და თვის ბეჭდური სახით ასახვის ვალდებულება, რათა გამარტივდეს აღნიშნული ოქმის შევსების წესი და თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები, რომლებიც ასევე გამოკვეთილ იქნა საგამოძიებო კომისიის მიერ;

4. გაანალიზოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით სხვადასხვა სუბიექტების მიერ წარდგენილი საჩივრები და წარმოებული დავები, ჩამოაყალიბოს ერთგვაროვანი მიდგომა საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით და მოახდინოს აღნიშნული კომპონენტის სასწავლო პროცესში ინტეგრირება საარჩევნო ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლებისთვის, რომლებიც უფლებამოსილი არიან ასეთი დავები განიხილონ;

5. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შესაძლებლობის ფარგლებში გააძლიეროს სასწავლო ღონისძიებები და საჭიროების შემთხვევაში, გაამკაცროს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა სასწავლო პროგრამებში/ღონისძიებებში კომისიის წევრთა მონაწილეობასთან დაკავშირებით;

6. დახვეწოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგები და მაქსიმალური ყურადღება გაამახვილოს და მეტი სასწავლო საათი დაუთმოს შემდეგ საკითხებს: შემაჯამებელი ოქმის შევსება, შემაჯამებელი ოქმების ასლების გაცემა, საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის წესი;

7. ჩართული მხარეების დაინტერესების შემთხვევაში უზრუნველყოს მიზნობრივი და ფოკუსირებული სწავლება/განმარტება კონკრეტულად საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 78-ე მუხლის მოთხოვნათა შესახებ, რომელიც განცხადების/საჩივრის წარდგენის პროცედურებს ეხება;

8. საოლქო საარჩევნო კომისიებთან ერთად უზრუნველყოს აქტიური და ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის წარმოება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევად და არსებულ აპრობირებულ საინფორმაციო კამპანიას დაამატოს ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების უმაღლეს სასწავლებლებში შეხვედრები სტუდენტებთან მათი კონკურსში მონაწილეობის მიღების დაინტერესების მიზნით;

9. იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან ერთად დაგეგმოს და განახორციელოს მოსამართლეთა გადამზადება საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 2021 წლის ივნისში დამტკიცებულ ცვლილებებსა და ამ ანგარიშის საფუძველზე გატარებულ დამატებით საკანონმდებლო ცვლილებებსა და ცესკოს მიერ მიღებულ დადგენილებებზე;

10. ყოველ მომდევნო არჩევნების ჩატარების დღემდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით ადრე შეიმუშავოს და ხელმოსაწერად წარადგინოს შესაბამისი არჩევნებისთვის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ სამადკვირვებლო ორგანიზაციათა ქცევის (ეთიკის) კოდექსი.

საგამოძიებო კომისია რეკომენდაციას უწევს საოლქო საარჩევნო კომისიებს განახორციელონ შემდეგი სახის აქტივობები:

საარჩევნო ბიულეტენებზე საარჩევნო უბნის კომისიის უფლებამოსილი წევრის მიერ ხელმოწერის ან/და ბეჭდის კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილას დასმის გარეშე ბიულეტენების გაცემის შემთხვევაში, აგრეთვე, შემაჯამებელი ოქმის შევსების პროცესში შეცდომების დაშვებისას, გადაცდომის ჩამდენი პასუხისმგებელი პირის მიმართ გამოიჩინონ მეტი სიმკაცრე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრის ნაწილში;

საგამოძიებო კომისია რეკომდენდაციას უწევს საქართველოს პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განახორციელონ შემდეგი სახის ღონისძიებები:

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან (წინასაარჩევნო პერიოდში და კენჭისყრის დღეს მიმდინარე მოვლენებთან) დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტის გათვალისწინებით ობიექტური შეფასებისთვის აუცილებელი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები განახორციელონ და გამოძიება შესაძლებლისდაგვარად მოკლე ვადაში დაასრულონ.

დანართი №1. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმეებზე

| სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი | | | |
|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს |
| სსკ-ის 126-ე მუხლი | ძალადობა | 2 | 2 |
| სსკ-ის 162 პრიმა და 187-ე მუხლები | 1.კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა. 2.ნივთის დაზიანება ან განადგურება | 1 | 1 |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლი | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | 1 | 1 |
| | | 4 | 4 |

## დანართი №2. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეებზე რეგიონების მიხედვით

| ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება შეწყდა (საქმე) | სასამართლოში წარიმართა |
| სსკ-ის 126-ე მუხლი | ძალადობა | 10 | 7 | 1 | 2 |
| სსკ-ის 164-ე მუხლი | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 4 | 4 | | |
| სსკ-ის 126-ე, 154-ე და 187-ე მუხლი | 1.ძალადობა 2.ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა 3.ნივთის დაზიანება ან განადგურებ | 1 | | | 1 |
| სსკ-ის 115-ე, 339-ე, 150-ე და 151-ე მუხლი | 1.თვითმკვლელობამდე მიყვანა 2.ქრთამის მიცემა 3.იძულება 4.მუქარა | 1 | | | 1 |
| სსკ-ის 115-ე მუხლი | თვითმკვლელობამდე მიყვანა | | 1 | | |
| | | 16 | 12 | 1 | 4 |

| ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება შეწყდა (საქმე) | სასამართლოში წარიმართა |
| სსკ-ის 126-ე მუხლი | ძალადობა | 3 | | 2 | 1 |
| სსკ-ის 126-ე მუხლი და და 187-ე მუხლი | 1.ძალადობა 2. ნივთის დაზიანება განადგურებით | 1 | 1 | | |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლი | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | 4 | 3 | | 1 |
| სსკ-ის 164-ე მუხლი | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 1 | 1 | | |
| სსკ-ის 154-ე მუხლი | ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა | 1 | 1 | | |
| სსკ-ის 120-ე მუხლით | ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება | 1 | 1 | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლი და 124-ე მუხლი | 1.ნივთის დაზიანება ან განადგურება 2.ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით | 1 | | 1 | |
| სსკ-ის 117-ე მუხლი და 236-ე მუხლი | 1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება 2.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | 2 | 2 | | |
| სსკ-ის  126-ე მუხლი და 126-ე პრიმა მუხლი | 1.ძალადობა  2.ოჯახში ძალადობა | 1 | | | 1 |
| | | 15 | 9 | 3 | 3 |

| გურიის პოლიციის დეპარტამენტი | | | |
|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს |
| სსკ-ის 126-ე მუხლი | ძალადობა | 1 | 1 |
| სსკ-ის 164-ე მუხლი | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, მეხის არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 1 | 1 |
| | | 2 | 2 |

| შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტი | | | |
|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს |
| სსკ-ის 126-ე მუხლი | ძალადობა | 1 | 1 |
| სსკ-ის 164-ე მუხლი | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 1 | 1 |
| სსკ-ის 164-ე პრიმა მუხლი | ამომრჩევლის მოსყიდვა | 1 | 1 |
| | | 3 | 3 |

| სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტი | | | | |
|---|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | სასამართლოში წარიმართა |
| სსკ-ის 162 პრიმა და 187-ე მუხლები | 1.კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა. 2.ნივთის დაზიანება ან განადგურება | 1 | | 1 |
| სსკ-ის 164-ე მუხლი | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, მების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 1 | 1 | |
| სსკ-ის 181-ე მუხლები | გამოძალვა | 1 | 1 | |
| | | 3 | 2 | 1 |

| კახეთის პოლიციის დეპარტამენტი | | | |
|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს |
| სსკ-ის 126-ე მუხლი | ძალადობა | 1 | 1 |
| სსკ-ის 164-ე მუხლი | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, მების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 2 | 2 |
| | | 3 | 3 |

| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტი | | | |
|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს |
| სსკ-ის 126-ე მუხლი | ძალადობა | 2 | 2 |
| სსკ-ის 164-ე მუხლი | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, მების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 1 | 1 |
| | | 3 | 3 |

| სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი | | | | |
|---|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება შეწყდა (საქმე) |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლი | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | 2 | 2 | |
| სსკ-ის 126-ე მუხლი | ძალადობა | 1 | | 1 |
| სსკ-ის 164-ე მუხლი | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 1 | 1 | |
| | | 4 | 3 | 1 |

| იმერეთის,რაჭა-ლეჩხუნისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება შეწყდა (საქმე) | სასამართლოში წარიმართა |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით | ძალადობა | 4 | | 1 | 3 |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლი | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | 2 | 1 | | 1 |
| | | 6 | 1 | 1 | 4 |

| მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტი | | | |
|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს |
| სსკ-ის 164-ე მუხლი | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 2 | 2 |
| | | 2 | 2 |

## დანართი №3. პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეებზე რეგიონების მიხედვით

**თბილისის პროკურატურა**

| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება | | დევნა დაიწყო (პირები) | დევნა შეწყდა (2021 წლის 11 იანვრის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე) (პირები) | სასამართლოში განხილვა (საქმე) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | დანაშაულის ნიშნების არარსებობის | 2021 წლის 11 იანვრის "ამნისტიის შე | | | მიმდინარეობს არსებითი განხილვა | გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენ | გასაჩივრებულია პროკურატურის მიერ | საქმე შეწყდა 2021 წლის 11 იანვრის "ამნ |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | ნივთის დაზიანება ან განადგურება | 7 | 2 | 7 | | | | | | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით | | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^{1}$ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“ | ძალადობა | 6 | 5 | | | | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით | | 4 | 4 | | | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^{1}$ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით | | 2 | | 1 | | | | 1 | | | |
| სსკ-ის 126 მუხლის $1^{1}$ ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით | | | | | | | | | | | |
| სსკ-ის 164-ე მუხლით | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 2 | 2 | | | | | | | | |
| სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით | მუქარა | 2 | 2 | | | | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ძალადობა 2. ნივთის დაზიანება განადგურებით | 3 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის $164^{1}$ მუხლის პირველი ნაწილით | ამომრჩევლის მოსყიდვა | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის $164^{1}$ მუხლის მეორე ნაწილით | | | | | | | | | | | |
| სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით | ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა | 2 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 19,177 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით | დანაშაულის მცდელობა, ქურდობა | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 339-ე მუხლის პირველი ნაწილით | ქრთამის მიცემა | 1 | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი და 162-ე მუხლის პირველი ნაწილებით | 1.ნივთის დაზიანება ან განადგურება 2. არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა | | 1 | | | | | | | | |
| სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა 2. ძალადობა | | | | | 1 | | | 1 | | |
| | | 32 | 22 | 8 | | 2 | | 1 | 1 | | |

**დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა**

| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება | | დევნა დაიწყო (პირები) | დევნა შეწყდა (2021 წლის 11 იანვრის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე) (პირები) | სასამართლოში განხილვა (საქმე) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო | 2021 წლის 11 იანვრის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე | | | მიმდინარეობს არსებითი განხილვა | გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი | გასაჩივრებულია პროკურატურის მიერ | საქმე შეწყდა 2021 წლის 11 იანვრის "ამნისტიის" შესახებ კანონის საფუძველზე |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | ნივთის დაზიანება ან განადგურება | 7 | 6 | 1 | | 1 | | 1 | | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით | | | | | | | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^{1}$ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“ | ძალადობა | | | | | | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით | | 5 | | | 1 | 3 | | 1 | | 1 | 1 |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^{1}$ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით | | | | | | | | | | | |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | 2 | 1 | | | 1 | | 1 | | | |
| სსკ-ის $164^{1}$ მუხლის პირველი ნაწილით | ამომრჩევლის მოსყიდვა | | | | | | | | | | |
| სსკ-ის $164^{1}$ მუხლის მეორე ნაწილით | | 2 | 2 | | | | | | | | |
| სსკ-ის 120-ე მუხლის პირველი ნაწილი | ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება | 1 | | | | | | | | | 1 |
| სსკ-ის 120-ე მუხლით | | | | | | 1 | | | | | |
| | | 17 | 9 | 1 | 1 | 6 | | 3 | | 1 | 2 |

| სამეგრელო ზემო-სვანეთის საოლქო პროკურატურა | | | |
|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | 2 | 2 |
| სსკ-ის 150-ე მუხლით პირველი ნაწილი | იძულება | 1 | 1 |
| | | 3 | 3 |

| სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება შეწყდა (საქმე) | | დევნა დაიწყო (პირები) | დევნა შეწყდა (2021 წლის 11 ივნისის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე) (პირები) | სასამართლოში განხილვა (საქმე) |
| | | | | დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო | 2021 წლის 11 ივნისის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე | | | მიმდინარეობს არსებითი განხილვა |
| სსკ-ის 164-ე მუხლით | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 1 | 1 | | | | | |
| სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით | მუქარა | | | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ძალადობა 2. ნივთის დაზიანება განადგურებით | 1 | | | | | | |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | | | | | 1 | | 1 |
| სსკ-ის $164^1$ მუხლის პირველი ნაწილით | ამომრჩევლის მოსყიდვა | | | | | | | |
| სსკ-ის $164^1$ მუხლის მეორე ნაწილით | | 1 | 1 | | | | | |
| სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით | გამოძალვა | 1 | 1 | | | | | |
| სსკ-ის 229-ე მუხლის პირველი ნაწილით | აფეთქება | 1 | 1 | | | | | |
| | | 5 | 4 | | | 1 | | 1 |

| შიდა ქართლის საოლქო პროკურატურა | | | |
|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით“ | ძალადობა | 1 | 1 |
| სსკ-ის 164-ე მუხლით | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 3 | 3 |
| სსკ-ის $164^1$ მუხლის პირველი ნაწილით | ამომრჩევლის მოსყიდვა | 1 | 1 |
| | | 5 | 5 |

| კახეთის საოლქო პროკურატურა | | | | |
|---|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება<br>დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | ნივთის დაზიანება ან განადგურება | 2 | 1 | 1 |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით | ძალადობა | 1 | 1 | |
| სსკ-ის 164-ე მუხლით | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 2 | 2 | |
| სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით | მუქარა | 1 | | 1 |
| | | 6 | 4 | 2 |

| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და გურიის პროკურატურა | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | | | გამოძიება შეწყდა (საქმე) | | | | სასამართლოში განხილვა (საქმე) |
| | | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო | 2021 წლის 11 იანვრის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე | დევნა დაიწყო (პირები) | დევნა შეწყდა (2021 წლის 11 იანვრის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე) (პირები) | გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | ნივთის დაზიანება ან განადგურება | 6 | 3 | 2 | | 1 | | 1 |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“ | ძალადობა | 2 | 2 | | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით | | 3 | | | 1 | 3 | 2 | 1 |
| სსკ-ის 164-ე მუხლით | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 2 | 2 | | | | | |
| სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით | მუქარა | | | | | | | |
| სსკ-ის $164^1$ მუხლის პირველი ნაწილით | ამომრჩევლის მოსყიდვა | 1 | | 1 | | | | |
| სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილი | ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით | 1 | 1 | | | | | |
| | | 15 | 8 | 3 | 1 | 4 | 2 | 2 |

| ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი | მუხლის დასახელება | გამოძიება დაიწყო | გამოძიება მიმდინარეობს | გამოძიება შეწყდა (საქმე): დანაშაულის ნიშნების არარსებობის გ | დევნა დაიწყო (პირები) | სასამართლოში განხილვა (საქმე): მიმდინარეობს არსებითი განხილვა | სასამართლოში განხილვა (საქმე): გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | ნივთის დაზიანება ან განადგურება | 11 | 7 | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით“ | ძალადობა | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით | | 4 | 1 | 1 | | | |
| სსკ-ის 126 მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით | | 2 | 1 | | 1 | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და და 120-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ძალადობა 2.ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება | | | | 1 | | 1 |
| სსკ-ის 164-ე მუხლით | ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით | მუქარა | 4 | 3 | 1 | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ძალადობა 2. ნივთის დაზიანება განადგურებით | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 162 მუხლის პირველი ნაწილი | არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 162 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით | კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას, ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა | 2 | 2 | | 1 | 1 | |
| სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით | ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 120-ე მუხლით | ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 150-ე მუხლით | იძულება | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და 124-ე მუხლით | 1.ნივთის დაზიანება ან განადგურება 2.ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით | 1 | | 1 | | | |
| სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით | 1.ნივთის დაზიანება ან განადგურება 2.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის $1^1$ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და187-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ძალადობა 2.ნივთის დაზიანება ან განადგურება | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით | ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | 1 | | 1 | | | |
| სსკ-ის 117-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით | 1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება 2.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 239-ე მუხლის პირველი ნაწილით | 1.ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება 2.ხულიგნობა | 1 | 1 | | | | |
| სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილი | ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება | | | | 1 | | |
| სსკ-ის 126-ე მუხლის 1 პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით და 118-ე მუხლის მე-3 ნაწილი | 1. ძალადობა 2. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება | | | | | 1 | |
| | | 36 | 25 | 4 | 4 | 2 | 1 |

დანართი №4

ა) საგამოძიებო კომისიის მიერ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მთვლელების ვინაობა

ძირითადი მთვლელები

| N | სახელი | გვარი | უბანი |
|---|---|---|---|
| 1 | ნატალია | შარიქაძე-მიგინეიშვილი | 04.05.59 (ისანი) |
| 2 | ლელა | ალექსაშვილი | 04.05.04 (ისანი) |
| 3 | ნათელა | დიხამინჯია | 03.03.66 (საბურთალო) |
| 4 | მზია | ხარაძე | 04.05.76 (ისანი) |
| 5 | ნინო | გოგიაშვილი | 04.05.57 (ისანი) |
| 6 | ნანა | მამულაშვილი | 07.09.07 (ნაძალადევი) |
| 7 | ნელი | ბანეთაშვილი | 04.05.65 (ისანი) |
| 8 | ლამარა | ჟღენტი | 01.01.01 (მთაწმინდა) |
| 9 | ნინო | ჯოხაძე | 01.01.06 (მთაწმინდა) |
| 10 | რეომირი | ჭითანავა | 03.03.28 (საბურთალო) |
| 11 | ანა | ონიანი | 03.03.39 (საბურთალო) |
| 12 | ლია | გაბაშვილი | 04.05.55 (ისანი) |

სათადარიგო მთვლელები

| N | სახელი | გვარი | უბანი |
|---|---|---|---|
| 1 | ნინო | ამირანაშვილი | 02.02.75 (ვაკე) |
| 2 | ქეთევან | ფოლადაური | 04.05.16 (ისანი) |
| 3 | მაია | მუჩიაშვილი-ლაბარტყავა | 04.05.44 (ისანი) |
| 4 | მაია | მაისურაძე | 04.05.09 (ისანი) |
| 5 | მარინე | ჭოღოშვილი | 01.01.22 (მთაწმინდა) |
| 6 | თამთა | ხოშტარია | 03.03.21 (საბურთალო) |
| 7 | მარიამ | ორაგველიძე | 04.05.15 (ისანი) |
| 8 | ანა | გარშაულიშვილი | 04.05.57 (ისანი) |
| 9 | მარინე | გვრიტიშვილი | 03.03.10 (საბურთალო) |
| 10 | ნანა | სურგულაძე | 03.03.01 (საბურთალო) |
| 11 | ხათუნა | ხვიჩია | 04.05.58 (ისანი) |
| 12 | შორენა | შენგელია | 04.05.06 (ისანი) |

ბ) მთვლელები, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს გადათვლის პროცესში მონაწილეობის მიღებაზე

ძირითადი მთვლელების სიიდან

| N | სახელი | გვარი | უბანი |
|---|---|---|---|
| 1 | ნატალია | შარიქაძე-მიგინეიშვილი | 04.05.59 (ისანი) |
| 2 | ნელი | ბანეთაშვილი | 04.05.65 (ისანი) |
| 3 | ნინო | ჯოხაძე | 01.01.06 (მთაწმინდა) |
| 4 | რეომირი | ჭითანავა | 03.03.28 (საბურთალო) |
| 5 | ანა | ონიანი | 03.03.39 (საბურთალო) |
| 6 | ლია | გაბაშვილი | 04.05.55 (ისანი) |

სათადარიგო მთვლელების სიიდან

| N | სახელი | გვარი | უბანი |
|---|---|---|---|
| 1 | ნინო | ამირანაშვილი | 02.02.75 (ვაკე) |
| 2 | მაია | მუჩიაშვილი-ლაბარტყავა | 04.05.44 (ისანი) |
| 3 | მაია | მაისურაძე | 04.05.09 (ისანი) |
| 4 | მარინე | ჭოღოშვილი | 01.01.22 (მთაწმინდა) |
| 5 | მარინე | გვრიტიშვილი | 03.03.10 (საბურთალო) |
| 6 | ნანა | სურგულაძე | 03.03.01 (საბურთალო) |

**დანართი №5. საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლისა და საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემების შემოწმების ინსტრუქცია**

- **მთვლელებს გადაეცემათ შესაბამისი საარჩევნო უბნის:**

➢ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი;

➢ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი;

➢ ამომრჩეველთა ერთიანი, სპეციალური და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები პაკეტები;

➢ ბათილი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტი;

➢ ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტები (საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები/საარჩევნო ბიულეტენები);

- მთვლელებმა, უნდა დაითვალონ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში, ამომრჩეველთა სპეციალურ და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- კომისიის აპარატის თანამშრომლებმა მთვლელების მიერ დათვლილი ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა უნდა შეიტანონ შესაბამის ოქმში;
- მთვლელებმა უნდა დაითვალონ ბათილი საარჩევნო ბიულეტენები;
- მთვლელებმა უნდა დაითვალონ თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმები/საარჩევნო ბიულეტენები;
- მთვლელებმა უნდა გამოაცხადონ თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმებისა და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
- კომისიის აპარატის თანამშრომლებმა უნდა შეიტანონ ბათილი ბიულეტენების და საარჩევნო სუბიექტების მიღებული ხმების/საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა შესაბამის ოქმში.
- მთვლელებმა საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შედეგები უნდა შეადარონ შესაბამისი საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემებს **(ჩანაწერთა წიგნის მონაცემებს).**
- კომისიის აპარატის თანამშრომლებმა შესაბამის ოქმში უნდა ასახონ ედრება თუ არა ხელახლა დათვლის შედეგები კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემებს, უარყოფით შემთხვევაში ოქმში ასახონ რა მონაცემებშია განსხვავება/სხვაობა.
- კომისიის აპარატის თანამშრომელმა უნდა დააფიქსიროს გადათვლის დაწყების და დასრულების, აგრეთვე შესვენების დრო და კომისიის წევრის, მთვლელისა თუ აპარატის თანამშრომლის მიერ ოთახის დატოვებისა და შემოსვლის დრო ყოველ ჯერზე, რაც დანართის სახით უნდა დაერთოს სხდომის ოქმს.

# დანართი № 6. გადათვლის ოქმი

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით კენჭისყრის შედეგების გადათვლის ოქმი

| № | საარჩევნო ოლქი | № | საარჩევნო უბანი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | **არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა** (ხელმოწერების ჯამი ყველა სახის სიაში) | | | | |
| მიღებული ხმათა რაოდენობა | 1 | (პარტია) „თეთრები” | | | | |
| | 2 | „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია – ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“ | | | | |
| | 3 | ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | | | | |
| | 4 | „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა – ქდმ” | | | | |
| | 5 | ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია” | | | | |
| | 6 | „მომავალი საქართველო” | | | | |
| | 7 | „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ | | | | |
| | 8 | "დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” | | | | |
| | 9 | „გაჩეჩილაძე – მწვანეთა პარტია“ | | | | |
| | 10 | „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ | | | | |
| | 11 | „მშრომელთა სოციალისტური პარტია“ | | | | |
| | 12 | „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის” | | | | |
| | 13 | „რეფორმერი“ | | | | |
| | 14 | „ბეჟან გუნავა – ქართული არჩევანი“ | | | | |
| | 16 | „ახალი ქრისტიან-დემოკრატები” | | | | |
| | 17 | „ირაკლი ოქრუაშვილი – გამარჯვებული საქართველო“ | | | | |
| | 18 | „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ | | | | |
| | 19 | მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსი“ | | | | |
| | 20 | „საქართველო“ | | | | |
| | 21 | „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“ | | | | |
| | 23 | „ახალი ძალა“ | | | | |
| | 24 | „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ | | | | |
| | 25 | „თავისუფალი დემოკრატები“ | | | | |
| | 26 | ეკა ბესელია – პ.პ. „სამართლიანობისთვის“ | | | | |
| | 27 | ბლოკი „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი” | | | | |
| | 28 | „ქართული ფესვები” | | | | |
| | 30 | „შეცვალე საქართველო” | | | | |
| | 31 | თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა | | | | |
| | 32 | „სახალხო პარტია“ | | | | |
| | 33 | „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“ | | | | |
| | 34 | „სოციალური სამართლიანობისათვის“ | | | | |
| | 36 | „გირჩი“ | | | | |
| | 41 | ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო | | | | |
| | 42 | რეფორმატორები | | | | |
| | 43 | „ზვიადის გზა“ (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის) | | | | |
| | 44 | „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი – ქართული იდეა“ | | | | |
| | 45 | „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“ | | | | |
| | 46 | „გია ჟორჟოლიანი – სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“ | | | | |
| | 47 | „ზვიად ძიძიგური – საქართველოს კონსერვატიული პარტია” | | | | |
| | 48 | „არჩევანი სამშობლოსათვის“ | | | | |
| | 49 | „ჯონდო ბაღათურია – ქართული დასი” | | | | |
| | 50 | „პროგრესული საქართველო“ | | | | |
| | 51 | „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა” | | | | |
| | 52 | „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი“ | | | | |
| | 53 | „ტრადიციონალისტები“ | | | | |
| | 54 | „ანა რეხვიაშვილი – სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“ | | | | |
| | 55 | „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“ | | | | |
| | 56 | „ლელო – მამუკა ხაზარაძე“ | | | | |
| | 57 | მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“ | | | | |
| | 60 | „საქართველოს განვითარების პარტია“ | | | | |
| 2 | | **ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა** | | | | |

მთვლელი ________________________________________________

მთვლელი ________________________________________________

მთვლელი ________________________________________________

მთვლელი ________________________________________________

მთვლელი ________________________________________________

მთვლელი ________________________________________________

**შენიშვნა:**

შედგენის თარიღი:------------------------ შედგენის დრო:------------------------------

დანართი №7

# 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საგამოძიებო კომისია

საქართველოს პარლამენტი

6691/3-74/21 2 30062021

**6691/3-74/21**
**30-06-2021**

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებული საარჩევნო დარღვევებისა და არჩევნების საბოლოო შედეგებზე მათი შესაძლო გავლენის გამოსაკვლევად, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 17 თებერვლის 238-IVმს-Xმპ დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია.

2021 წლის 14, 17 და 18 ივნისს საგამოძიებო კომისიამ ახსნა-განმარტებები მიიღო ვაკის 02.02.41, ნაძალადევის 07.09.66, გურჯაანის 09.12.03 და მარნეულის 13.22.89 საუბნო საარჩევნო კომისიის რეგისტრატორი წევრებისგან, მდივნებისგან, თავმჯდომარეებისგან და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებისგან.

საგამოძიებო კომისიის საქმიანობის ფარგლებში გამოვლინდა რიგი ტექნიკური ხასიათის გადაცდომები. კერძოდ:

1. ვაკის 02.02.41 საარჩევნო უბანზე ერთ-ერთმა რეგისტრატორმა, ანი ბექაურმა გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის ორ წევრს ხელმოუწერელი და უბეჭდო 20 ბიულეტენი გაატანა, რითაც დაირღვა საარჩევნო ბიულეტენების გაცემის კანონით დადგენილი წესი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე იკვეთება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მამუკა გელიაშვილის პასუხისმგებლობაც, ვინაიდან, მას როგორც საარჩევნო უბანზე ყველაზე საპასუხისმგებლო თანამდებობის მქონე პირს, უნდა გაეკონტროლებინა საუბნო საარჩევნო კომისიის თითოეული წევრის მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ამასთან, ახსნა-განმარტების მიღების ეტაპზე დადგინდა, რომ მამუკა გელიაშვილმა არ შეასრულა ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მითითებებიც. ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განმარტებით დგინდება, რომ საარჩევნო ბიულეტენების გაცემის წესის დარღვევასთან დაკავშირებით მამუკა გელდიაშვილს ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიამ, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, პასუხისმგებლობის ზომად შენიშვნა შეუფარდა.
2. გურჯაანის 09.12.03 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა ნათია ქიტიაშვილმა შემაჯამებელი ოქმის შედგენისას დაუშვა ტექნიკური ხასიათის შეცდომა. კერძოდ, მან შემაჯამებელ ოქმში საარჩევნო სუბიექტს „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის", რომელიც მე-7 ნომრით მონაწილეობდა კენჭისყრაში, მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობად მიუთითა - 7, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს საერთოდ არ ჰქონდა ამომრჩევლეთა მხრიდან ბიულეტენი მინიჭებული. აღნიშნული გარემოება, დადასტურდა საგამოძიებო კომისიის მიერ გურჯაანის 09.12.03 საარჩევნო უბნის საარჩევნო დოკუმენტაციის გადათვლის ეტაპზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ საარჩევნო უბნის მდივნის მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესაც ეკისრება. მოცემულ შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარე, გულნარა ქორიღლიშვილი მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოკიდებოდა შემაჯამებელი ოქმის შედგენის პროცესზე ზედამხედველობას.

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

3. მარნეულის 13.22.89 საარჩევნო უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრმა, ილხამ ისმაილოვმა, ხმის მიცემის პროცესის დასრულების შემდეგ, ისე დატოვა საარჩევნო უბანი, რომ არ დასწრებია ბიულეტენების დათვლის პროცესსა და შესაბამისად, ხელიც არ მოუწერია შემაჯამებელ ოქმზე, რისი ვალდებულებაც მას საარჩევნო კანონმდებლობით ჰქონდა დაკისრებული. ამასთან, საარჩევნო კომისიის წევრების ახსნა-განმარტებებით გამოვლინდა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მაია განჯაევას არ მოუხდენია რეაგირება ილხამ ისმაილოვის მიერ საარჩევნო უბნის ნაადრევ დატოვებასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დროებით საგამოძიებო კომისიას უფლება აქვს, განსახილველ საკითხზე ინფორმაციის მოსმენის, კონტროლისა და შემოწმების შედეგად საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში დასვას საკითხი იმ შესაბამისი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე, რომელიც ვალდებულია აღკვეთოს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა, ხოლო, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით, შესაბამისი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე დასვას გამოძიების დაწყების, ადმინისტრაციული ან დისციპლინური წარმოების აღძვრის, უკანონო მფლობელობიდან სახელმწიფო ქონების გამოთხოვის ან სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხი.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 25-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოხსენებული პირების მიმართ ვერ განხორციელდება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით ანი ბექაურის, მამუკა გელიაშვილის, ნათია ქიტიაშვილის, გულნარა ქოროღლიშვილის, ილხამ ისმაილოვისა და მაია განჯაევას საარჩევნო ადმინისტრაციაში სამომავლოდ დასაქმების მიზანშეუწონლობის თაობაზე.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, გთხოვთ, 7 დღის ვადაში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე
გივი მიქანაძე



დანართი №8

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

689-02-02-2-202107021432

N 02-02/689
02/07/2021

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების
შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის
თავმჯდომარეს გივი მიქანაძეს

ბატონო გივი,

თქვენი 2021 წლის 30 ივნისის №6691/3-74/21 წერილის (ცესკოში რეგისტრაციის №1471) პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მითითებული გარემოებები, რეკომენდაციის ფორმით, მიეწოდებათ საოლქო საარჩევნო კომისიებს და აღნიშნული ასევე გათვალისწინებული იქნება, ცესკოს მიერ, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსების მიმდინარეობისას.

პატივისცემით,

გიორგი შარაბიძე

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 138, 0131, თბილისი, საქართველო
www.cesko.ge
(995 32) 2 510051

დანართი №9

საქართველოს პარლამენტი

## 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საგამოძიებო კომისია

6932/3-74/21 2 06072021

6932/3-74/21
06-07-2021

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ გიორგი შარაბიძეს

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობასთან დაკავშირებული საარჩევნო დარღვევებისა და არჩევნების საბოლოო შედეგებზე მათი შესაძლო გავლენის გამოსაკვლევად, საქართველოს პარლამენტის 2021 წლის 17 თებერვლის 238-IVმს-Xმპ დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია.

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 21 ივნისს არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" მიერ წარმოდგენილ იქნა 71 საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმი. საგამოძიებო კომისიამ, თქვენთვის მომართვის პარალელურად, შეისწავლა აღნიშნული შემაჯამებელი ოქმები და გამოავლინა სამი მათგანი, სადაც ფიქსირდება სხვადასხვა ხასიათის უზუსტობა. ესენია: გლდანის N08.10.17, ონის N19.43.11 და ოზურგეთის N24.60.43 საარჩევნო უბნები.

აღნიშნულ ფაქტებზე საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან რეაგირების შესწავლის ფარგლებში დადგინდა, რომ გლდანის N08.10.17 და ოზურგეთის N24.60.43 საუბნო საარჩევნო კომისიების შემთხვევაში, შემაჯამებელ ოქმებში დაშვებულ სხვადასხვა ხასიათის უზუსტობებთან დაკავშირებით, საარჩევნო ადმინისტრაციამ პასუხისმგებლობა დააკისრა საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრებს, რომლებიც საარჩევნო კანონმდებლობით უშუალოდ იყვნენ პასუხისმგებელნი შემაჯამებელი ოქმის შედგენაზე.

ონის N19.43.11 საარჩევნო უბანის შემთხვევაში, თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ აღნიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიაში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლების მხრიდან საჩივარი არ დაწერილა. მიღებული ინფორმაციით ასევე დგინდება, რომ ონის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაცია წარდგენილ იქნა იმ ფორმით, რაც განთავსებულია საარჩევნო ადმინისტრაციის ვებგვერდზე. შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისია არ ფლობდა იმ ინფორმაციას, რაც „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების" მიერ წარმოდგენილ იქნა საგამოძიებო კომისიისთვის და მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა დისციპლინური გადაცდომის თაობაზე მანამ, სანამ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ეკა მაისურაძეს და მდივანს, მზია მეტრეველს საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილება შეუწყდებოდათ.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 25-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოხსენებული პირების მიმართ ვერ განხორციელდება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

თბილისი 0114, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით ეკა მაისურაძის და მზია მეტრეველის საარჩევნო ადმინისტრაციაში სამომავლოდ დასაქმების მიზანშეუწონლობის თაობაზე.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, გთხოვთ, 7 დღის ვადაში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე
გივი მიქანაძე



დანართი №10

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

734-02-02-2-202107081754

N 02-02/734
08/07/2021

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების
შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი
საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს გივი მიქანაძეს

ბატონო გივი,

თქვენი 2021 წლის 6 ივლისის №6932/3-74/21 წერილის (ცესკოში რეგისტრაციის №1569; 07.07.2021) პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მითითებული გარემოებები, რეკომენდაციის ფორმით, მიეწოდებათ საოლქო საარჩევნო კომისიებს და, აღნიშნული ასევე, გათვალისწინებული იქნება ცესკოს მიერ, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსების მიმდინარეობისას.

პატივისცემით,

გიორგი შარაბიძე

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 138, 0131, თბილისი, საქართველო
www.cesko.ge
(995 32) 2 510051